ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

24 თებერვალი პარასკევი 2012

№045(13651) ფასი 80 თეთრი



მამუკა გორგოძე

ლელოს [illegible] დააჯილდოებს



# ციფრები ამტკიცებენ: შერმადინი ბარსასთან საუკეთესო იყო...

# 32, 14, 8, 19

## ...მაგრამ გმირობა ნავარომ წაართვა

**გიორგი შერმადინმა** ევროლიგის მორიგი ტურის მატჩში ყველაზე მეტი ითამაშა (32:11 წუთი), ყველაზე მეტი ჩააგდო (14 ქულა), ყველაზე მეტი მოხსნა (8), ყველაზე მეტჯერ მასზე დაჯარიმდნენ (8-ჯერ) და, რაც მთავარია, მარგი ქმედების კოეფიციენტი ყველაზე მაღალი ჰქონდა (19)... თან ვისთან? - „ბარსელონასთან".

სტატისტიკის გარდა რა სჭირდება კალათბურთელს მატჩის გმირობისთვის? გადამწყვეტ მომენტში თავის გამოდება და გამარჯვება. 22 წლის, 216 სმ სიმაღლის ქართველი ცენტრი ბოლო წამებზე **ხუან კარლოს ნავაროს** სნაიპერობაში გაეჯიბრა: სირენამდე 42 წამით ადრე საჯარიმოს ხაზიდან ორივე ტყორცნა ზუსტად შეასრულა და „კანტუ" წინ გაიყვანა - 62:61. საპასუხო შეტევაში **მაძარინომ** წესების დარღვევით შეაჩერა ნავარო, რომელმაც აუღელვებლად ჩააგდო ორივე საჯარიმო და გიორგის მატჩის გმირობა ჩამოართვა. აკი ვთქვით, გმირობისთვის გამარჯვებაც საჭიროაო. „კანტუმ" მინიმალური სხვაობით, 62:63 წააგო.

დამაჯერებლად ითამაშა მეორე ქართველმა კანტუელმა **მანუჩარ მარკოიშვილმა**, რომელმაც 25 წუთში ორი სამქულიანი გამოიყენა (4-დან) და 6 ქულას 6 მოხსნა მიამატა. სწორედ მანუს დამსახურებაა კატალონიელთა ამერიკელმა ფორვარდმა **პიტ მაიკლმა** მხოლოდ 6 ქულა რომ ჩააგდო.

მატჩის ვიცე სნაიპერი ნავარო გახდა - 13 ქულას მოუყარა თავი.

**ვაჟა სიმონიშვილი**



# გასავარდნი გავარდა, ევროპის ლიგა იქოქება

8



# პეიგმა კარი გააღო:

## ახალი სისტემა, განახლებული შემადგენლობა



13

ალექსანდრე კოტრაშვილის ფოტო



3

## სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ... ვინ არის ნიკა ყიფიანი?

# ალბანეთთან ახალი სახეებით

2

ქართული ფეხბურთი

ეროვნული ნაკრები

# ქეცბაიას სია და დებიუტანტები

საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **თემურ ქეცბაიამ** იმ ფეხბურთელთა სია დაასახელა, რომლებიც 29 თებერვალს ალბანეთის ნაკრებთან გასამართავი ამხანაგური მატჩისთვის ეროვნულ გუნდში არიან გამოძახებულები:



თემურ ქეცბაია

მეკარეები: **ნუკრი რევიშვილი** ("კრასნოდარი", რუსეთი), **გიორგი ლორია** (თბილისის "დინამო"), **როინ კვასხვაძე** ("ზესტაფონი").

მცველები: **უჩა ლობჟანიძე** ("კრივბასი", უკრაინა), **ალეკო ამისულაშვილი** ("კრასნოდარი", რუსეთი), **გურამ კაშია** ("ვიტესი", ჰოლანდია), **გია გრიგალავა** ("ვოლგა", რუსეთი), **მამუკა კობახიძე** ("ზესტაფონი"), **ზურაბ ხიზანიშვილი** ("კაისერი", თურქეთი), **აკაკი ხუბუტია** ("სამსუნი", თურქეთი), **დავით კვირკველია** ("ანორთოსისი", კვიპროსი).

ნახევარმცველები: **შოთა გრიგალაშვილი, თორნიკე გორგიაშვილი** (ორივე – 'ზესტაფონი"), **მურთაზ დაუშვილი** ("კარპატი", უკრაინა), **ჯაბა კანკავა** ("კრივბასი", უკრაინა), **ჯანო ანანიძე** ("სპარტაკი", რუსეთი), **ლევან ყენია** ("შალკე", გერმანია), **ირაკლი ძარია** (თბილისის "დინამო").

თავდამსხმელი: **დავით თარგამაძე** ("ილიჩივეცი", უკრაინა), **ალექსანდრე კობახიძე** ("არსენალი", უკრაინა), **ვლადიმერ დვალიშვილი** ("პოლონია", პოლონეთი), **ნიკა გელაშვილი** ("ბოხუმი", გერმანია), **ოთარ მარცვალაძე** ("კრასნოდარი", რუსეთი).

სიაში ორი ახალწვეულია - თბილისის "დინამოს" მოთამაშე ირაკლი ძარია და "ზესტაფონის" 19 წლის მცველი მამუკა კობახიძე. ყველაზე მეტი, ოთხი მოთამაშე ქეცბაიამ სწორედ საქართველოს ჩემპიონ "ზესტაფონიდან" გამოიძახა. ეს კი **ილია კოკაიას** კლუბის გამართულ სელექციაზე მეტყველებს.

**მერაბ მამულაშვილი**

# ირაკლი ძარიას ორმაგი სიხარული

საქართველოს ეროვნულ ნაკრებში გამოძახებულ მოთამაშეთა შორის **თემურ ქეცბაიამ ირაკლი ძარიაც** დაასახელა. 22 წლის საყრდენი ნახევარმცველი 6 წელი "ზესტაფონში" თამაშობდა, თბილისის "დინამოში" კი წლეულს გადავიდა.

*"ნაკრებში პირველად გამომიძახეს, რაც ჩემთვის ძალიან მოულოდნელი და უზომოდ სასიხარულო ამბავია. ყველა მოთამაშის ოცნება თავის ქვეყნის ნაკრებში თამაშია. ამ ნდობისთვის დიდი მადლობა თემურ ქეცბაიას. შევეცდები, მისი ნდობა გავამართლო"* – ამბობს ძარია.

ახალგაზრდა ფეხბურთელს არ დავიწყებია მადლიერების გამოხატვაც: *"არ შეიძლება, ეს რომ არ ვთქვა: მე რომ ნაკრებში მოვხვდი, ეს ჩემი კლუბების დამსახურებაა - "ზესტაფონისა" და "დინამოსი". "ზესტაფონში" ექვსი წელი ვთამაშობდი და მთელი ცხოვრება ამ კლუბისა და მისი პრეზიდენტის მადლიერი ვიქნები, რადგან ბევრი რამ შემძინეს. თბილისის "დინამოს" ყველა ფეხბურთელი ნაკრების პოტენციური კანდიდატია და ამიტომაც გადმოვედი. მიხარია, ამ დიდი კლუბის წევრი რომ გავხდი, მენდობიან და მათამაშებენ. ნაკრებში ხომ "დინამოდან" გამომიძახეს".*

ბოლო ტურში "დინამომ" ბოლნისის "სიონს" 90-ე წუთზე სწორედ ძარიას გატანილი ბურთის წყალობით მოუგო. თუმცა გოლი უცნაურად გავიდა და ძნელი გასარკვევი იყო, ირაკლიმ ბურთი კარში როგორ გააგზავნა.

*"ორთაბრძოლისას მცველმა ხელი მკრა, ვიქცეოდი და დღემდე ვერ მივმხდარვარ, როგორ დავარტყი, ბურთი კისერზე მომხვდა თუ ზურგზე, ფაქტია, რომ კარში უცნაური ტრაექტორიით ჩაეშვა და ეს ოფიციალურ შეხვედრაში თბილისის "დინამოს" მაისურით გატანილი ჩემი პირველი გოლი იყო"* – თქვა ირაკლიმ.

**მერაბ მამულაშვილი**



ინტერვიუ მამუკა კობახიძესთან



მამუკა კობახიძე

# საკლუბო გამოცდილება და სანაკრებო პერსპექტივა

**გუშინ** საქართველოს ნაკრებში გამოძახებულ ფეხბურთელთა სია გამოქვეყნდა. ეროვნულ გუნდში პირველად უხმეს მამუკა კობახიძეს. "ზესტაფონის" 19 წლის მცველისთვის მიმდინარე სეზონი საკმაოდ წარმატებულია – გუნდის ძირითად შემადგენლობაშიც ხშირად ხვდება და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც დამკვიდრდა. მამუკას ეროვნულ ნაკრებში გამოძახებით მიღებულ შთაბეჭდილებებზე ვესაუბრეთ და საკლუბო საკითხებსაც შევეხეთ.

**- პირველ რიგში, სასიამოვნო სიახლეს გილოცავ.**

- დიდი მადლობა. ძალიან გახარებული ვარ, ასეთი პატივი რომ მხვდა წილად. ბედნიერი ვარ, ასეთი შანსი რომ მომეცა და მის გამოსაყენებლად ყველაფერს ვილონებ.

**- ელოდი, რომ ეროვნულ ნაკრებში ასეთ ახალგაზრდულ ასაკში მოხვდებოდი?**

- ამას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, მაგრამ რადგან ასე მოხდა, ვალდებული ვარ, ამ გამოწვევას ღირსეულად დავხვდე. ამისთვის ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც მზად ვარ და თუ თემურ ქეცბაია ალბანეთთან თამაშის საშუალებას მომცემს, შევეცდები, საკუთარი შესაძლებლობები მაქსიმალურად წარმოვაჩინო. თუ თამაშმა არ მომინია, ძალიან არც ამაზე დამწყდება გული, რადგან ნაკრებთან ერთად ვარჯიშიც ბევრს შემძენს. ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის ხომ ეს განსაკუთრებული სტიმულია.

**- "ზესტაფონში" წარმატებული თამაშის გარდა, შენი ეროვნულ ნაკრებში მოხვედრა, ალბათ, ახალგაზრდულში ასპარეზობამაც განაპირობა.**

- ახალგაზრდულ ნაკრებში ორი ოფიციალური მატჩი ჩავატარე, რითაც დიდი გამოცდილება შევიძინე. ალბათ, ქეცბაიასთან რეკომენდაცია ახალგაზრდულის მაშინდელმა თავკაცმა სოსო ჭედიამ გაგიწია. კარგად მესმის, რომ უახლოეს პერიოდში, შესაძლოა, ეროვნულ გუნდში ვერ დავმკვიდრდე და თუ ალექსანდრე ჩივაძე გამომიძახებს, ახალგაზრდულში თამაშს დიდი სიამოვნებით გავაგრძელებ.

**- როგორ ფიქრობ, როდის იქნები მზად ეროვნული ნაკრების ძირითად შემადგენლობაში სათამაშოდ?**

- ძნელი სათქმელია, თუმცა მგონია, რომ ეს დრო არც ისე შორსაა. თუ ტრავმებმა ხელი აღარ შემიშალა, პროგრესირებას სწრაფი ტემპით გავაგრძელებ და მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის მექნება იმის ჯანსაღი ამბიცია, რომ ეროვნულ ნაკრებში სტაბილურად ვთამაშობდე. თუმცა ისიც კარგად მესმის, რომ კახა კალაძის ნაკრებიდან წასვლის მიუხედავად, ეროვნული გუნდის დაცვის ხაზში კვლავ დიდი კონკურენციაა.

**- გასაგებია, რომ უახლოეს შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ნაკრების შანსები მიზერულია. სამომავლოდ თუ აქვს ჩვენს ეროვნულ გუნდს იმის პერსპექტივა, რომ ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად იბრძოლოს?**

- ახალგაზრდა ფეხბურთელების კარგი თაობა მოდის და ეს ბიჭები თავის სიტყვას იტყვიან. ვფიქრობ, კარგი შანსი გვექნება იმისთვის, რომ ევროპის 2016 წლის ჩემპიონატზე მოვხვდეთ. ამის პერსპექტივას ის ფაქტი გვიზრდის, რომ 2016 წლიდან ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე 24 გუნდი გავა.

**- სანაკრებო კონკურენციას შევეხეთ და ისიც აღვნიშნოთ, რომ "ზესტაფონის" დაცვის ცენტრშიც ძლიერი კონკურენტები გყავს.**

- გიორგი ონიანი, ედიკ საჯაია და გიორგი ხიდეშელი მართლაც მაღალი დონის მცველები არიან და მათთან კონკურენცია და მათ გვერდით თამაში ბევრს მაძლევს. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ კარიერაში წინ მივიწევ. ხიდეშელის გამოჯანმრთელებით დაცვის ცენტრში კონკურენცია კიდევ უფრო იზრდება, მაგრამ ამისთვის თითოეული ჩვენგანი მზადაა და კარგად გვესმის, რომ კონკურენციის გარეშე ვერც გუნდი გაიზრდება და ვერც ფეხბურთელი.

**- ეროვნული ჩემპიონატი "ზესტაფონმა" ორი გამარჯვებით განაახლა. რამდენად დამაკმაყოფილებლად მიგაჩნია საკუთარი და გუნდის თამაშის ხარისხი?**

- ახალგაზრდული ნაკრების მატჩისას დავშავდი, მერე კლუბშიც მივიღე ტრავმა და სრულყოფილად მხოლოდ ესპანური შეკრება გავიარე. საბედნიეროდ, პრობლემები აღარ მაქვს და დღეისთვის ნორმალურ ფორმაში ვარ. მოხარული ვარ, რომ ახლად გამოჯანმრთელებულს გიორგი ჭიაბრიშვილმა ძირითად შემადგენლობაში თამაშის შესაძლებლობა მომცა, რაც ფორმის აღდგენაში ძალიან დამეხმარა. რაც შეეხება "ზესტაფონის" თამაშს, "გაგრას" ისეთ კლიმატურ პირობებში შევხვდით, რომ ხარისხზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. მხოლოდ იმაზე ვფიქრობდით, როგორმე გამარჯვება მოგვეპოვებინა და ეს შევძელით. რაც შეეხება "ბაიასთან" მატჩს, ეს შეხვედრა გუნდმა მაღალ დონეზე ჩაატარა და უფრო დიდი ანგარიშით გამარჯვებაც გვმართებდა. კიდევ ერთი-ორი ტური და "ზესტაფონის" რეალურ ძალას ყველა დაინახავს.

**- კონკურენტებიდან რომელ კლუბებს გამოარჩევდი?**

- ჩემი აზრით, ჩემპიონობისთვის ბრძოლაში "ზესტაფონის" ერთადერთი რეალური კონკურენტი თბილისის "დინამო" იქნება, რომელსაც სეზონის მეორე ნახევარში, ალბათ, სერიოზული ჩავარდნა აღარ ექნება.

**- იქნება "ზესტაფონი" ზაფხულისთვის საიმისოდ მომწიფებული, რომელიმე ევროტურნირის ჯგუფურ ეტაპზე რომ მოხვდეს?**

- ფაქტია, რომ ჩვენი კლუბი ვითარდება და ყოველწლიურად ძლიერდება. ევროთასებზე წარმატების მიღწევა ძალიან ძნელია, მაგრამ შარშანდელმა გამოცდილებამ დაგვანახა, რომ ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრის ძალა შეგვწევს. შევეცდებით, წელს ევროპაში კიდევ უფრო წარმატებით ვითამაშოთ და ჯგუფამდე მივიდეთ.

**- საკუთარ გეგმებზე რას იტყვი? ახლო მომავალში კარიერის საზღვარგარეთ გაგრძელებაზე ფიქრობ თუ ეს ჯერ ნაადრევად მიგაჩნია?**

- ჩემი ასაკის ბევრი ქართველი ფეხბურთელი უკვე უცხოურ კლუბში თამაშობს, მაგრამ მე არსად მეჩქარება. "ზესტაფონი" საქართველოს საუკეთესო კლუბია და აქ ფეხბურთელი თავს კომფორტულად გრძნობს. როცა 19 წლის ხარ და ძლიერ გუნდში მნიშვნელოვან მოთამაშედ მიგიჩნევენ, საზღვარგარეთ წასვლა არ უნდა იჩქარო. ჯერ "ზესტაფონში" ჩამოვყალიბდები ძლიერ მცველად, დანარჩენს კი მომავალი გვიჩვენებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:25

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

● სადაურსა სად წაიყვან...

# რუსული ფეხბურთის ქართველი იმედი

## ნიკა ყიფიანი: არ მავიწყდება, ქართველი რომ ვარ


ნიკა ყიფიანი

ამას წინათ "ლელო" წერდა რუსეთში მოთამაშე ქართველ ფეხბურთელ **ნიკა ზურაბის ძე ყიფიანზე.** რუსეთის 16-წლამდელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ვიაჩესლავ დაევმა** 1997 წლის 25 იანვარს დაბადებული ცენტრალური ნახევარმცველი თურქეთში ორკვირიან შეკრებაზე წაიყვანა. ყიფიანი მოსკოვის "ლოკომოტივის" 17-წლამდელთა გუნდის ბომბარდირი და ლიდერია. როგორც ამბობენ, ნიკა გამორჩეული ტალანტია და რუსები მასზე დიდ იმედებს ამყარებენ.

მაგრამ ეს ბავშვი საქართველოში, თბილისშია დაბადებული, დიდუბეში იზრდებოდა და რუსეთში თამაშის მიუხედავად, სამშობლო არ ავიწყდება. მიზეზთა გამო, 15 წლის ცენტრალურ ნახევარმცველს რამდენიმე დღით თურქეთიდან საქართველოში ჩამოსვლა მოუხდა, ჩვენც მოგვეცა საშუალება და გავესაუბრეთ.

"თავიდან "ნორჩ დინამოში" ვვარჯიშობდი. რუსეთში ექვსი წლის წინ გადავედი, რადგან ჩემი ოჯახის წევრები სამუშაოდ წავიდნენ. თავიდან რინატ დასაევის საფეხბურთო აკადემიაში ვვარჯიშობდა. სამი წლის წინათ კი მოსკოვის "ლოკომოტივის" ასაკობრივ გუნდში ამიყვანეს. ამ გუნდში გამოსვლის დროს შემნიშნეს რუსეთის ნაკრების სელექციონერებმა და მიმიწვიეს. გუნდის შემადგენლობაში უკვე ორი შეხვედრა ჩავატარე, დანიისა და რუსეთის 17-წლამდელთა ნაკრებებთან. 9 თებერვლიდან ნაკრებთან ერთად თურქეთში ვემზადებოდი, 15 მარტიდან კი იტალიაში დაგეგმილ შეკრებაზეც გავემგზავრები" - ამბობს ყიფიანი.

ნიკა თავიდან სხვა პოზიციაზე თამაშობდა: "ახლა კი ვარ გამხდარი, მაგრამ ბავშვობაში მსუქანი ვიყავი, სწრაფად ვერ დავრბოდი და კარგადაც ვერ ვთამაშობდი. ამიტომ დაცვაში მაყენებდნენ. მერე ფეხბურთს სერიოზულად მოვეკიდე, სიმაღლეში მოვიმატე, წონაში დავიკელი და ბოლო ნახევარი წელია, ნახევარდაცვაში გადამიყვანეს.

... ჩემებს ურეკავდნენ და სხვა კლუბში გადაყვანას მთავაზობდნენ, მაგრამ მშობლებმა ჩემი მოსკოვის "ლოკომოტივში" დარჩენა ამჯობინეს, რადგან რუსეთში ფეხბურთელის გასაზრდელად კარგი პირობებია. ჯერ 15 წლის ვარ, 17-18 წლის რომ გავხდები, მერე უკვე კარგი იქნება ევროპაში თამაში.

ვიცი, რომ საქართველოშიც დაინტერესდნენ, ჩემებს დაუკავშირდნენ, ასაკობრივი ნაკრების ყურადღების ცენტრშიაო. რუსეთში ვთამაშობ და იმ ხალხის მიმართ მადლობის მეტი რა მეთქმის, ყურადღებას არ მაკლებენ. წინსვლისთვის მეც "ლოკომოტივში" დამკვიდრება და მომზადება მირჩევნია. მაგრამ, ადრე თუ გვიან არჩევანის გაკეთება მომიწევს, მე კი ქართველი ვარ. და თუ დიდ ნაკრებზე მიდგება ლაპარაკი, საქართველოს ეროვნულ გუნდში ვითამაშებ".

ნიკა ამბობს, რომ გვარის გამო რუსები სულ ინტერესდებიან, დიდი დინამოელის, **დავით ყიფიანის** ნათესავი ხომ არ არის: "ნაკრების ვარჯიშზე რომ გამოვცხადდი, მწვრთნელით დაწყებული, მასაჟისტით დამთავრებული ყველა მეკითხებოდა, დავით ყიფიანი შენი ვინ იყოო. მეამაყება, ასეთი დიდი ფეხბურთელის მოგვარე რომ ვარ, მაგრამ ახლო ნათესაობა არ გვაკავშირებს".

**მერაბ მამულაშვილი**

# ქართული ფეხბურთის ფეოლა გარდაიცვალა



გუშინ მეხივით გავარდნილმა ამბავმა საფეხბურთო სამყარო დაამწუხრა - 65 წლისა რევაზ გაგუა გარდაიცვალა!

არიან ადამიანები, რომლებსაც პროფესიონალიზმის გამო აღიარებენ. "რეზო მასწ"-ი მეორე, უფრო იშვიათების კატეგორიაში ჩაიწერება, რადგან პროფესიონალიზმთან ერთად, ყველას კეთილშობილებითაც შეაყვარა თავი.

დამსახურებები? ყველას ვერ გავიხსენებთ: მისი გაწვრთნილი 16-წლამდელთა ნაკრები პირველი ქართული საფეხბურთო ნაკრები იყო, რომელმაც 1997 წელს გერმანიაში ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე იასპარეზა.

ბევრს უთქვამს, 10 ასეთი ბავშვთა მწვრთნელი რომ გვყავდეს, ქართული ფეხბურთის ბედს ძაღლი არ დაჰყეფდაო. ბატონი რეზო თავადაც ვერ იხსენებდა ყველა გაზრდილსა და წარმოჩენილს, რადგან 50-დე მათგანმა ითამაშა ეროვნულ და ასაკობრივ ნაკრებებში და ბევრი გამოგვრჩება: კაკო დევაძე, გიორგი ნემსაძე, გოჩა გუჯაბიძე, დავით ყიზილაშვილი, ზურაბ ხიზანიშვილი, შალვა აფხაზავა, გიორგი ლოლაძე, ვალერი აბრამიძე, დათო დილმელაშვილი, ედიკ საჯაია, ლადო ბურდული, გიორგი დეკანოსიძე, ლაშა ჯაკობია, ირაკლი შენგელია, გიორგი სომხიშვილი, ოლეგ გველესიანი, ლადო კაკაშვილი; მისი ვაჟი ვალერი გაგუა ზემოთ ნახსენები ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა; ერთმა მათგანმა, ანდრო ნინიადისმა (კიურჯიევი), საბერძნეთის ნაკრებსა და პირეოსის "ოლიმპიაკოსში" ითამაშა.

რევაზ გაგუა ქართული ფეხბურთის ნამდვილი "ფეოლა" იყო: ეხერხებოდა და უყვარდა კიდეც ნიჭიერი ბავშვების შერჩევა, მათი შვილებივით გაზრდა და გზაზე დაყენება.

ქართული ფეხბურთი კი ასეთი ადამიანების მხრებზე იდგა და დგას. ამიტომაც მისი სახელიც ამიერიდან ქართული ფეხბურთისგან განუყოფელი იქნება.

**მერაბ მამულაშვილი**

● ლეგიონერი

# მერაბ გიგაური: იმედია, მალე ვითამაშებ

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებმა თურქეთში პირველ საკვალიფიკაციო რაუნდში პოლონეთსა და ლუქსემბურგს სძლია, ხოლო მასპინძელ თანატოლებთან ფრედ ითამაშა და ელიტრაუნდში გავიდა.

შვეიცარიის ქალაქ ნიონში ჩატარებულ კენჭისყრაზე 19-წლამდელთა ევროჩემპიონატის ელიტ-რაუნდში **გიორგი დევდარიანის** გაწვრთნილები ჯგუფში ბოსნიასთან, ხორვატიასთან და ავსტრიასთან ერთად მოხვდნენ.

ელიტრაუნდს 25-30 მაისს ხორვატია უმასპინძლებს, ფინალურ ეტაპზე კი, რომელსაც 3-15 ივლისს ესტონეთი უმასპინძლებს, ჯგუფებიდან მხოლოდ პირველადგილოსნები ითამაშებენ.

სამი თვე არც ისე დიდი დროა და ცხადია, დავინტერესდით, რა ფორმაში არიან ნაკრების პოტენციური კანდიდატები.

ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე ქუთაისის "ტორპედოდან" პოლონეთის ექსტრაკლასას "იაგელონიაში" იჯარით წასული მერაბ გიგაური თავის პერსპექტივაზე გველაპარაკება.

"მიმდინარე სეზონში "იაგელონიაში" სულ ორჯერ ვითამაშე და ორივეჯერ შეცვლაზე. ყველა დანარჩენ მატჩში სათადარიგოთა სკამზე ვიყავი, ძირითადად დუბლშემადგენლობაში ვთამაშობ და სათამაშო პრაქტიკა არ მაკლია. მეორე წრეში ერთი შეხვედრა გვქონდა "კორონასთან", განაცხადში ვიყავი და თავიდან მოედანზე შეშვებას მპირებდა, მაგრამ მცირე ტრავმის გამო, მწვრთნელი რისკს მოერიდა და არ მათამაშა. მისი დამოკიდებულება მაინც მაიმედებს, რომ სულ სკამზე არ დავრჩები. პირველი მოსამზადებელი ეტაპი გდანსკში გვქონდა და ხუთივე საკონტროლო შეხვედრა მათამაშა. 2-კვირიან თურქულ შეკრებაზე კი ორჯერ ვითამაშე, რადგან ფეხის თითი ისე მაგრად მტკიოდა, ნორმალურად სიარულიც მიჭირდა. ახლა ყველაფერი კარგად არის და ჩვეულებრივად ვვარჯიშობ.

აქვე ვიტყვი, რომ "იაგელონიაში" ახლოს გავიცანი და დავუახლოვდი ნიკა ძალამიძეს. კიდევ უფრო დავრწმუნდი, რომ ნიჭიერი მოთამაშეა. მწვრთნელი ნიკას ემადლიერება და მასზე დიდ იმედებს ამყარებს" - ამბობს მერაბ გიგაური.

**მერაბ მამულაშვილი**



● ტორპედო

# რევაზ გოცირიძე: დრო გვიჩვენებს

...2004 წელს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის გამარჯვებული "ოქროს მატჩით" გამოვლინდა, "ვიტ ჯორჯიამ" "სიონი" 2:0 დაამარცხა, ბოლნისელებს პირველი გოლი **რევაზ გოცირიძემ** გაუტანა, იმ სეზონში ის ჩემპიონატის ბომბარდირი გახდა, ახლა კი მიმდინარე ეროვნულში ჯერ 7 გოლი აქვს გატანილი და მეგოლეებში დაწინაურებულ **ჩისკოს** სამი ბურთით ჩამორჩება.

წინა ტურში ქუთაისის "ტორპედომ" "გაგრას" 5:2 რომ მოუგო, ტორპედოელმა გოცირიძემ ორი გოლი გაიტანა. "ტორპედოს" ბოლო დროს მეგოლე ფორვარდის პოზიცია გაუხდა პრობლემად და გოცირიძის დუბლი ამ მხრივაც უნდა იყოს ფასეული.

"გოლის შეგდება მოსამზადებელ პერიოდში მართლაც გვიჭირდა, დიდი დატვირთვების ფონზე ვთამაშობდით, ახალი ფეხბურთელები დავიმატეთ, ახლა კი თანდათან უმჯობესდება ყველაფერი, "გაგრასთან" ხუთი გოლი გავიტანეთ და იმედია, კიდევ ბევრს გავიტანთ" – გვითხრა "ტორპედოს" ცენტრფორვარდმა.

ქუთაისელთა გუნდმა "გაგრასთან" სამი თავდამსხმელით ითამაშა, გოცირიძეს ფლანგებიდან **გრიგოლ დოლიძე** და **თორნიკე თარხნიშვილი** ეხმარებოდნენ. თურქულ შეკრებაზე კი "ტორპედომ" ორი თავდამსხმელით თამაშიც მოსინჯა, გოცირიძის მეწყვილე **ნიკა საბანაძე** გახლდათ.

"თავდამსხმელი ვარ და ძალიან გამიხარდება, თუ ხელმეორედ გავხდები ჩემპიონატის ბომბარდირი, თუმცა მთავარი ეს არ არის – "ტორპედომ" რაც შეიძლება მაღალ შედეგს უნდა მიაღწიოს. ვფიქრობ, 2003-04 წლების სეზონთან შედარებით ურიგო ფორმაში ნამდვილად არ ვარ, დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს" – პროგნოზებში ფრთხილია გოცირიძე.

ის ჯანმაგარი თავდამსხმელია, ორთაბრძოლაში ძნელად დასაჯაბნი, მას შეუძლია მეტოქის კარისკენ ზურგით მდგომმა ბურთი შეიმაგროს და, ასე ვთქვათ, გუნდი ამოიყვანოს. „ვიტ ჯორჯიას" შემდეგ მან არაერთ უცხოურ თუ ქართულ გუნდში ითამაშა, საკმაოდ გამოცდილია, ნაირგვარი სტილის გუნდებს მორგებია.

"ჩვენი გუნდი ისე თამაშობს, რომ ცენტრფორვარდისგან ბურთის შემაგრება მიზანი არ არის. სწრაფი პასები , მყისიერი შეტევა, იერიშის დაცვიდან ორგანიზება – ასეთი "ტორპედოს" სათამაშო კონცეფცია – ბურთი გაგორდეს და მეტოქის კარამდე სწრაფად მივიდეს" – განგვიმარტა გოცირიძემ.

**დავით თავართქილაძე**



● ფუტსალი

# არჩილ სებისკვერაძე: ჩიტალაძეს კი არა, კლუბს ვეხმარებით!



ქართულ ფუტსალში არსებულ დაპირისპირებაზე "ლელოს" მკითხველი კარგად არის ინფორმირებული. ფუტსალის ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტები, გამგეობის წევრები, ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრების წევრები, კლუბების წარმომადგენლები ასოციაციის გამგეობის რიგგარეშე სხდომის მოწვევასა და ფუტსალის ასოციაციის პრეზიდენტისა და ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან გადაყენებას ითხოვდნენ.

მათ ღია წერილით მიმართეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, ზვიად სიჭინავას და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრს, ლადო ვარძელაშვილს. ერთ-ერთი ბრალდებაში ეწერა - "ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ზაალ ჩიტალაძე ფეხბურთელების ხელფასიდან პროცენტს ითხოვს".

რედაქციაში "ალგოსა" და საქართველოს ნაკრების მოთამაშე **არჩილ სებისკვერაძე** დაგვიკავშირდა და კომენტარის გაკეთება ისურვა: "გამგეობის წევრების ბრალდება, რომ ჩიტალაძე ფეხბურთელების ხელფასიდან პროცენტს ითხოვს, ტყუილია. გადამხდელებში გვიგულისხმეს მე, კახა მაისაია და გიორგი ტიკურიშვილი. "ალგომ" სამივე აზერბაიჯანულ კლუბ "ეკოლში" გაგვანათხოვრა. ჯერ ერთი, მე რას ვაკეთებ და ვის ვუხდი ფულს, არავის საქმე არ არის. მეორეც, ზაალ ჩიტალაძეს არც ერთი არ ვუხდით პროცენტებს და ამას გავიმეორებთ ყველგან, სადაც ეს საჭირო იქნება.

აზერბაიჯანში წავედით იმ პირობებზე, რომელიც გვაწყობდა. რადგან ასე აინტერესებთ, გეტყვით: "ეკოლში" გაშვებისთვის სამივე "ალგოს" მადლიერები ვართ და მოვილაპარაკეთ, რომ მადლიერება კონკრეტული საქმით გამოგვეხატა და საამისოდ ჩვენი ხელფასებიდან 10-10 პროცენტი კლუბში ჩაგვერიცხა. თანხა ჩვენს მეგობრებს მოხმარდებათ და არა ჩიტალაძესა და ფხოველიშვილს - ეს მათი მოთხოვნა ნამდვილად არ ყოფილა. ეს ამბავი დამახინჯებულად გაიგეს და ჩიტალაძეს ბრალდებად გადაუმოწმებელი ინფორმაცია წაუყენეს".

ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ზაალ ჩიტალაძე** კი ამბობს, რომ ის "ალგოს' აღარ წვრთნის: "ოქტომბრიდან, ანუ სანაკრებო შესარჩევი ციკლის შემდეგ "ალგოს" მთავარი მწვრთნელი აღარ ვარ, რადგან მსურს ჩემი პროფესია უკეთ ავითვისო და განვვითარდე, როგორც სპეციალისტი. როდესაც სწავლის გაგრძელება გსურს, ამავე დროს კლუბის მწვრთნელობა ძნელია. ჩემს ადგილზე მეორე მწვრთნელი ნიკოლოზ ჩალაძე დაინიშნა. შეიძლება, მალე სტაჟირებაზე წავიდე რუსეთსა და პორტუგალიაში. ასე რომ, მოთამაშეების პროცენტებთან არანაირი კავშირი არ გამაჩნია".

**მერაბ მამულაშვილი**

# ვირტუალური მსჯელობა

ესეც ასე: გამოტოვებული ტურიც ჩატარდა და, როგორც მოსალოდნელი იყო, „ვირტუალური ცხრილიც“ საგრძნობლად შეიცვალა! ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, საუკეთესო რვა გუნდში „კოლხეთი“ ალზევდა და ფოთელთა ზედიზედ ორმა მოგებამაც გვარიანი თავსატეხი გააჩინა. თანაც, ხომ არ გგონიათ, მხოლოდ კონკურენტებს ვგულისხმობთ, - ჩვენც საკმარისად გავწვალდით, ვირტუალური ცხრილის ახალი ვარიანტი შეგვედგინა. ჰო, აქამდე ხომ მხოლოდ „გაგრა“ და „სპარტაკი“ ენაცვლებოდნენ ერთმანეთს და რვაგუნდიანი ცხრილიც ამ ორი გუნდის შედეგების გათვალისწინებით იცვლებოდა. ახლა კი, როგორც უკვე ალვნიშნეთ, ყველაფრის ახლიდან გაკეთებამ მოგვიწია და წინდაწინ იმასაც ვიტყვით, რომ არანაკლები ცვლილებ(ებ)ის მოლოდინშიც უნდა ვიყოთ. ანუ, პირველი ეტაპის დასრულებამდე ორი ტურით ადრე „ჩვეულებრივ ცხრილში“ ისეთი სიტუაციაა შექმნილი, რომ საუკეთესო რვა გუნდში დარჩენილ ორ ვაკანტურ ადგილზე პრეტენზიას ოთხი გუნდი აცხადებს: „ვიტ ჯორჯია“, „კოლხეთი“, „სპარტაკი“ და „დილა“. ერთი შეხედვით, ამათ შორის „გაგრაც“ უნდა მოვიხსენიოთ, მაგრამ ზამთრის პაუზის დროს კიდევ უფრო გაახალგაზრდავებულ გუნდს, ჩვენი აზრით, რვა საუკეთესოში მოხვედრის მინიმალური შანსი აქვს. ჯერ ერთი, კალენდარი უნდა ვახსენოთ: მომდევნო ტურში „გაგრა“ „დილას“ უნდა ეთამაშოს, შემდეგ კი - „დინამოს“. ამას გარდა, კონკურენტებმაც ქულები უნდა დაკარგონ. ისე, დარჩენილი ორი ტურის მატჩებს თუ გადავხედავთ, დალხენილი ფინიში არც ზემოთ ნახსენებ ოთხეულს ელოდება, თუმცა „ვიტ ჯორჯიაც“, „კოლხეთიც“ და „სპარტაკიც“ შესაბამისად სამი და ორი ქულით უსწრებენ „გაგრას“. აი, „დილა“ კი იმყოფება ჩვეულებრივ ცხრილში ბოლოსწინა ადგილზე, მაგრამ კონკურენტებთან შედარებით ერთით მეტი მატჩი აქვს ჩასატარებელი. ეს გამოტოვებული შეხვედრა („მეტალურგთან“) 1 მარტს გაიმართება (ანუ, ბოლო ტურის წინ) და მანამდე, ვეჭვობთ, რაიმე იყოს გარკვეული. ისე, „დილა“ - „მეტალურგის“ მატჩის გადადებამ აზრთა სხვადასხვაობაც გამოიწვია; ერთი მხრივ, რა უფლება გვაქვს, რომ ოფიციალურ ვერსიას არ დავუჯეროთ: მოგეხსენებათ, 29 თებერვალს საქართველოსა და ალბანეთის ნაკრებების ამხანაგური მატჩი სწორედ იმ სტადიონზე („მიხეილ მესხზე“) უნდა ჩატარდეს, „დილასა“ და „მეტალურგს“ რომ უნდა ეთამაშათ. მოკლედ, სანაკრებო ინტერესები რომ უფრო მაღლა დააყენეს, ამაში გასაკვირი არც არაფერია და მართლაც „უცნაური თებერვლის“ გამო, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის მოედნის საფარიც 29 თებერვლამდე „დასვენებული“ იქნება. თუმცა, ხმამაღლა არავის უთქვამს, მაგრამ „ხმადაბლა“ ასეთი კითხვებიც გვესმოდა: „დილა“ — „მეტალურგის“ მატჩი სხვა სტადიონზე რატომ არ ჩატარდაო? ამ „სხვაში“ კი, ალბათ, თბილისის რომელიმე სტადიონს გულისხმობდნენ („შატილს“, „ბენდელას“, „მარაკანას“, „მერანს“), მით უფრო, რომ იმავე „შატილზე“, „ბენდელასა“ და „მარაკანაზე“ წინა ტურის მატჩები ჩატარდა. ოლონდ, სხვა საკითხია, თუ რამდენად შეესაბამება ეს სტადიონები უმაღლესი ლიგის მოთხოვნებს და „დილასა“ თუ „მეტალურგის“ ხელმძღვანელებს იქ, თამაშზე უარი რომ ეთქვათ, ვერც ვერავინ გაამტყუნებდა...

**ჩემპიონატის რეალური და ვირტუალური ცხრილები 24 თებერვლისთვის**

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 13 | 9 | 3 | 1 | 24 | 8 | 30 |
| 2 | მეტალურგი | 13 | 6 | 3 | 4 | 13 | 14 | 21 |
| 3 | ტორპედო | 12 | 6 | 2 | 4 | 15 | 11 | 20 |
| 4 | დინამო | 13 | 5 | 3 | 5 | 22 | 20 | 18 |
| 5 | მერანი | 12 | 5 | 1 | 6 | 12 | 14 | 16 |
| 6 | კოლხეთი | 13 | 3 | 4 | 6 | 11 | 17 | 13 |
| 7 | ვიტ ჯორჯია | 12 | 3 | 3 | 6 | 9 | 15 | 12 |
| 8 | ბაია | 12 | 2 | 3 | 7 | 7 | 15 | 9 |

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 20 | 15 | 3 | 2 | 39 | 15 | 48 |
| 2 | ტორპედო | 20 | 13 | 2 | 5 | 31 | 17 | 41 |
| 3 | დინამო | 20 | 12 | 3 | 5 | 37 | 22 | 39 |
| 4 | მერანი | 20 | 9 | 3 | 8 | 22 | 23 | 30 |
| 5 | მეტალურგი | 19 | 8 | 6 | 5 | 21 | 20 | 30 |
| 6 | ბაია | 20 | 7 | 4 | 9 | 19 | 21 | 25 |
| 7 | კოლხეთი | 20 | 6 | 6 | 8 | 19 | 24 | 24 |
| 8 | ვიტ ჯორჯია | 20 | 6 | 6 | 8 | 21 | 24 | 24 |
| 9 | სპარტაკი | 20 | 6 | 5 | 9 | 18 | 25 | 23 |
| 10 | გაგრა | 20 | 6 | 3 | 11 | 20 | 29 | 21 |
| 11 | დილა | 19 | 5 | 4 | 10 | 23 | 25 | 19 |
| 12 | სიონი | 20 | 1 | 5 | 14 | 11 | 36 | 8 |

შენიშვნა: თანაბარი ქულების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება:

*1. მოგებათა მეტი რაოდენობა;*
*2. ურთიერთშეხვედრები;*
*3. გატანილი და მილებული ბურთების უკეთესი სხვაობა;*
*4. გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;*
*5. სტუმრად გატანილი გოლების მეტი რაოდენობა;*
*6. ფეარ პლეი;*
*7. წილისყრა.*



ზურაბ მენთეშაშვილი საქართველოს ჩემპიონატს წინა ტურში დაუბრუნდა




## საპირისპირო ტენდენცია

ჩემპიონატის პირველ ეტაპზე (უფრო ზუსტად, ზამთრის პაუზამდე) არაერთხელ ალგვინიშნავს ჩვენი ფეხბურთელების საშური შედეგიანობა. თუმცა, განახლდა ჩემპიონატი და აშკარად საპირისპირო ტენდენციასთან გვაქვს საქმე, ეგ კი არა, წინა ტურში, საერთოდაც, სეზონის ანტირეკორდი დამყარდა: ხუთ მატჩში 7 გოლი გავიდა! ამ შედეგს „გაუმჯობესებაც“ ემუქრებოდა (მით უფრო, რომ „დილა“-„მეტალურგი“ გადაიდო), მაგრამ „ტორპედომ“ და „გაგრამ“ უხვგოლიანი მატჩი ჩაატარეს (5:2). სხვათა შორის, ამ სეზონში მეორე შემთხვევაა, როცა ერთ მატჩში 7 გოლი გავიდა: პირველ ტურში, „ვიტ ჯორჯია“ - „დილას“ (4:3) შეხვედრის მერე ასეთი უხვგოლიანი პაექრობა აღარც ყოფილა. სხვათა შორის, „ტორპედომ“ პირველად შეძლო ერთ მატჩში 5 გოლის გატანა, თუმცა, ისიც ალსანიშნავია, რომ ქუთათურთა საყვარელმა გუნდმა ბოლო ორ ტურში ოთხი ბურთი გაუშვა. არადა, ზამთრის პაუზამდე ჩემპიონატში ყველაზე ნაკლები გოლი (13) სწორედ „ტორპედოს“ ჰქონდა გაშვებული, ახლა კი საუკეთესო შედეგით ქვეყნის ჩემპიონი „ზესტაფონი“ მოიწონებს თავს.

## ბომბარდირთა დავა

ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირთა სამეულში არაფერი შეცვლილა; ან, როგორ შეიცვლებოდა, როცა არც ერთს... არ უთამაშია: **ჩისკო** („დინამო“) დაასვენეს, **ჯაბა დვალი** („ზესტაფონი“) ტრავმირებულია, ხოლო **დიმიტრი ტატანაშვილის** („მეტალურგი“) გუნდის მატჩი გადაიდო. სამაგიეროდ, ამ სამეულს **რევაზ გოცირიძე** მიუახლოვდა: „ტორპედოს“ 31 წლის ცენტრფორვარდმა „დუბლი“ შეასრულა და ჩემპიონატში უკვე 7 გოლი დაუგროვდა. სხვათა შორის, ამ ტურში კიდევ ერთი „დუბლი“ ვიხილეთ: გოცირიძის მსგავსად მეტოქის კარში ორი გოლი კიდევ ერთმა ტორპედოელმა, 27 წლის **გიორგი დათუნაიშვილმა** გაიტანა. აქვე, ალვნიშნავთ, რომ სეზონის დაწყებიდან „დუბლი“ ყველაზე მეტჯერ დიმიტრი ტატანაშვილმა (ოთხჯერ) და ჩისკომ (სამჯერ) შეასრულეს.

## გამართლებული ტრანსფერები

ზამთრის პაუზის დროს ჩვენს ჩემპიონატში რომ ფეხბურთელების აქტიური „მიდი-მოდია“, არახალი ამბავია. გამონაკლისი არც ეს სატრანსფერო სეზონი იყო და რამდენიმე ათეულმა ფეხბურთელმაც შეიცვალა გუნდი. თანაც, ზოგიერთმა მათგანმა უკვე „მოასწრო“ და თავის ახალ გუნდში გოლ(ებ)ი გაიტანა. ასე მაგალითად, „კოლხეთის“ ახალწვეულმა, 22 წლის **ილია პავლიაშვილმა** ზედიზედ მეორე შეხვედრაში გამოიჩინა თავი, ხოლო მისმა თანაგუნდელმა, 23 წლის **ბექა ტულუშმა** უმაღლეს ლიგაში სადებიუტო გოლი გაიტანა. ამათ გარდა „ზესტაფონის“ ყოფილი ფეხბურთელებიც უნდა ვახსენოთ, ამჯერად სხვა გუნდებში რომ ასპარეზობენ: 19 წლის **მიხეილ სარდალიშვილმა** „გაგრას“ მაისურით პირველი გოლი გაიტანა, ხოლო 24 წლის **ირაკლი ძარიას** გოლი სულაც გადამწყვეტი აღმოჩნდა „დინამო“-„სიონის“ დაპირისპირებაში.

## გოგუას დაბრუნება

ზოგის აზრით, გასული ტურის უმთავრესი მოვლენა ... გადადებული მატჩი („დილა“-„მეტალურგი“) იყო, ზოგიც იმ შეხვედრისკენ „იშვერდა ხელს“, წამყვანმა უცხოურმა საბუქმეიქერო კანტორებმა უცბად რომ გააქრეს და ფსონების მიღება შეწყვიტეს („მერანი“ — „კოლხეთი“); რა თქმა უნდა, ყველა აზრს აქვს „არსებობის უფლება“ და, აქედან გამომდინარე, არც იმ გადადებულ მატჩსა თუ მარტვილური შეხვედრის შედეგსაც „კუდებს არ გამოვაბამთ“. მით უფრო, რომ გასულ ტურში სხვაც არაერთი დასამახსოვრებელი ფაქტი დაფიქსირდა; ბოლოს და ბოლოს, „სიონის“ 28 წლის მეკარის, **მინდია ბობლიაშვილის** შთამბეჭდავი თამაში რად ღირს — 90 წუთი რომ უმკლავდებოდა „დინამოს“ მრავალფეროვან შეტევებს. ამ შეხვედრაში სხვაც იყო ღირშესანიშნავი — ხანგრძლივი პაუზის მერე „დინამოს“ შემადგენლობაში 26 წლის **ლევან ხმალაძე** გამოჩნდა, ხოლო 28 წლის ესპანელმა **ანდრეუ გერაუმ** (უფრო ზუსტად, ანდრეუმ) საქართველოს ჩემპიონატში სადებიუტო შეხვედრა ჩაატარა. თუმცა, ჩვენი აზრით, XIX ტურის უმთავრესი მოვლენა მაინც **გოგიტა გოგუას** გამოჩენა იყო: 28 წლის ნახევარმცველი საქართველოს ჩემპიონატში 7-წლიანი პაუზის მერე დაბრუნდა! „სიონთან“ მატჩის პირველ ტაიმში გოგუამ მართლაც შთამბეჭდავად ითამაშა, მარცხენა ფლანგზე თავისი მეურვეც ხომ გააწამა და „საფირმო“ შორეული დარტყმებითაც არაერთხელ დაემუქრა მეტოქის კარს. ისე, „დინამოს“ მოწინააღმდეგეებს სერიოზულზე სერიოზული თავსატეხი ექნებათ: როგორია, მარცხნიდან გოგიტა გოგუა რომ შეუტევს, მარჯვნიდან - **გიორგი მერებაშვილი**, ცენტრიდან კი - ჩისკო...

**გია ტუხაშვილი**



გოგიტა გოგუა (მარცხნივ) 7 წლის შემდეგ ისევ საქართველოშია

ფოტო: www.fcdinamo.ge

ინგლისის ნაკრები



ჯოლეონ ლესკოტი



სტიუარტ პირსი

# ლესკოტი ნაკრებს მიღმა

ინგლისის ნაკრების დროებით მთავარმა მწვრთნელმა **სტიუარტ პირსმა** ჰოლანდიასთან 29 თებერვლის მატჩისთვის შემადგენლობა დაასახელა. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ გუნდს "ჩელსის" კაპიტანი **ჯონ ტერი** ვერ ეხმარება, პირსის რჩეულთა შორის მაინც ვერ მოხვდა "მანჩესტერ სიტის" მცველი **ჯოლეონ ლესკოტი.** *"მე უკვე მაცნობეს, რომ ნაკრებს მიღმა დავრჩი. თავის გამოჩენის შანსს სხვა ფეხბურთელები მიიღებენ,"* - განუცხადა ლესკოტმა ESPN-ს წინა საღამოს. პირსს "ნარინჯისფრებთან" შეხვედრაში ექსპერიმენტული გუნდით ასპარეზობა აქვს გადაწყვეტილი, რასაც შემადგენლობაც მოწმობს. ლესკოტის გარდა იქ ვერ მოხვდნენ **რიო ფერდინანდი** და **ფრენკ ლემპარდი.** პირსს ორი ახალწვეული ჰყავს, **ტომ კლევერლი** და **ფრეიზერ კემპბელი.**

**მეკარეები:** სკოტ კარსონი (ბურსასპორი), ჯო ჰარტი (მანჩესტერ სიტი), რობერტ გრინი (ვესტ ჰემი)

**მცველები:** გარი კეჰილი, ეშლი კოული (ორივე ჩელსი), ლეიტონ ბეინსი (ევერტონი), ფილ ჯონსი, კრის სმოლინგი (ორივე მანჩესტერ იუნაიტედი), მიკა რიჩარდსი (მანჩესტერ სიტი), კაილ უოლკერი (ტოტენჰემი)

**ნახევარმცველები:** გარეთ ბერი, ადამ ჯონსონი, ჯეიმს მილნერი (ყველა მანჩესტერ სიტი), ტომ კლევერლი, ეშლი იანგი (ორივე მანჩესტერ იუნაიტედი), სტიუარტ დაუნინგი, სტივ ჯერარდი (ორივე ლივერპული), სკოტ პარკერი (ტოტენჰემი), ტეო უოლკოტი (არსენალი)

**თავდამსხმელები:** დარენ ბენტი (ასტონ ვილა), ფრეიზერ კემპბელი (სანდერლენდი), დენიელ სტარიჯი (ჩელსი), უეინ რუნი, დენი უელბეკი (მანჩესტერ იუნაიტედი).

ამბები

## ცვლილებები ჩელსიში

"დეილიექსპრესის" ცნობით, მომავალ ზაფხულს "ჩელსიში" დიდი ცვლილებები იგეგმება. თუკი **რომან აბრამოვიჩმა ანდრე ვილაში ბოაში** თანამდებობაზე დატოვა, პორტუგალიელი სპეციალისტი იმ ფეხბურთელებს, რომელთაც მის სამწვრთნელო შესაძლებლობებში ეჭვი ეპარებათ, გუნდიდან აუცილებლად გაუშვებს. აჯანყებულ ვარსკვლავებს შორის კი ისეთი ავტორიტეტული "არისტოკრატების" გვარები სახელდება, როგორებიც არიან **ეშლი კოული, მიკაელ ესიენი** და **ფრენკ ლემპარდი.** ვილაშ ბოაშმა სამეული "ოპოზიციონერული განწყობების" გამო "ნაპოლისთან" ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში ძირითადს მიღმა დატოვა. ამ ფეხბურთელების ტრანსფერზე დაყენება ლონდონურ კლუბს საშუალებას მისცემს, შემადგენლობა თვალსაჩინოდ გააახალგაზრდავოს და პლუს, სოლიდური თანხები დაზოგოს სახელფასო ფონდში. მიღებული ფულით კი "ჩელსი" რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელს გადაიბირებს. ისეთებს, როგორებიც არიან **ედენ აზარი, ტეო უოლკოტი** და **გონსალო იგუაინი.**

## ახალი კონტრაქტი რედნაპს



ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიდან **ფაბიო კაპელოს** გადადგომის შემდეგ მის შემცვლელად ყველაზე ხშირად "ტოტენჰემის" 64 წლის დამრიგებელი **ჰარი რედნაპი** სახელდება. კლუბის წარმომადგენელთა განცხადებით, თუკი მწვრთნელმა წასვლა გადაწყვიტა, ისინი წინააღმდეგობის გაწევას არ შეეცდებიან. ამასთან, ჩრდილოლონდონელები კვალიფიციურ სპეციალისტთან გამოთხოვებას არც მთლად უბრძოლველად აპირებენ. კლუბის პრეზიდენტი **დენიელ ლევი** რედნაპს ახალ, გაუმჯობესებულ კონტრაქტსა და სოლიდურ სატრანსფერო ბიუჯეტს სთავაზობს, რათა ნაკრებში მუშაობაზე ხელი აალებინოს. "დეილი მიროროს" მტკიცებით, "ტოტენჰემს" ამის შანსი იქამდე ექნება, ვიდრე საფეხბურთო ასოციაცია რედნაპთან მოლაპარაკებები ოფიციალურად არ დაუწყია.

მოსაზრება

# ლონდონელთა მორღვეული დაცვა

**ჯონ ტერის გარეშე "ჩელსის" ცხოვრება ბევრად უფრო გართულდება, თუკი გუნდის ცენტრალური დაცვის მომავალი გარი კეჰილსა და დავიდ ლუიზზე იქნება აგებული, - აცხადებს "არისტოკრატებისა" და ირლანდიის ნაკრების ყოფილი ვარსკვლავი ტონი კასკარინო. მან "ტაიმსისთვის" საინტერესო სტატია დაწერა, რომელსაც ჩვენს მკითხველს ვთავაზობთ.**

ლონდონელთა ბოლო წლების წარმატებები სწორედ იმაზე იყო დაყრდნობილი, თუ რამდენად კარგად იყო ორგანიზებული გუნდის უკანა ხაზი და რამდენად კარგად იცოდა გუნდის თითოეულმა წევრმა თავისი ფუნქცია. დიდწილად ამ ბაზას ჯონ ტერი და რიკარდო კარვალიო, ან ვილიამ გალასი ქმნიდნენ.

ყველა წარმატებულ გუნდს სჭირდება გაუმტარი, მყარი დაცვა. ამ შემთხვევაში კი (ლაპარაკია "ნაპოლისთან" შეხვედრაზე) კი არ იკითხებოდა იმის ნიშნები, რომ ლუიზსა და კეჰილს შეუძლიათ შექმნან ისეთივე მძლავრი დუეტი, როგორც ამას მათი წინამორბედები ახერხებდნენ. მათ ძალიან ბევრი აშორებთ რიო ფერდინანდისა და ნემანია ვიდიჩის, ასევე ვენსან კომპანისა და ჯოლეონ ლესკოტისგანაც. ლუიზიც და კეჰილიც მეტისმეტად იოლად მიდიან რისკზე; ძალიან ხშირად და ძალიან იოლად კარგავენ პოზიციას; ორივე მათგანს ახასიათებს მცველებისთვის ყველაზე "სასიკვდილო ცოდვა" – ხელების მაღლა აღმართვა მსაჯის სასტვენამდე იმის მანიშნებლად, რომ თამაშგარე მდგომარეობა ან წესების სხვა დარღვევა იყო, ნაცვლად იმისა, რომ ყოველ ეპიზოდში ბოლომდე იბრძოლონ ბურთისთვის. ეს "სან პაოლოზე" მატჩის დაწყებიდან 5 წუთში გახდა აშკარა. პაოლო კანავარომ ჩვეულებრივი გრძელი გადაცემა გააკეთა ცენტრში გამართლების იმედად. ბურთმა 35 მეტრი იფრინა, თუმცა კეჰილი თამაშიდან გამოეთიშა და ლავეცის საშუალება მისცა, სწორი პოზიცია დაეკავებინა. რა თქმა უნდა, მცველის მარჯვენა ხელი ზეაღმართა იმის იმედად, რომ სწორედ მსაჯი გამოასწორებდა მის შეცდომას. და ეს მეორდებოდა დაუსრულებლივ.

მეორე ტაიმშიც კი "ნაპოლის" დაუბრკოლებლად შეეძლო "ჩელსისთვის" ცენტრიდან შეეტია. ეპიზოდში, როცა კავანიმ ლუიზს ბურთი მოჰპარა, პრობლემა თვალში საცემი შეიქმნა. ბრაზილიელს ბურთის შენარჩუნება სურდა და მასთან ერთად საკუთარი მეკარის მიმართულებით სწრაფად მოძრაობდა. ამ დროს მას თავზე მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი ადგა. მსგავს სიტუაციაში პლანეტის საუკეთესო მცველები, მაგალითად პიკე და პუიოლი, ბურთს მაქსიმალურად შორს და მაქსიმალურად მაღლა იგერიებენ. დავიდ ლუიზს ეს არ უცდია და ამის გამო დაისაჯა კიდეც.

როცა კეჰილსა და ლუიზს არასწორად ესმით თამაშის უმთავრესი საფუძვლები, ჩემპიონთა ლიგის დონეზე ეს თვითმკვლელობის ტოლფასია. მათი მოქმედებები იმდენად უსუსური იყო, რომ ახლა გასაგები ხდება, თუ რატომ უჭირს ტერის ამ გუნდში ჩვეულ დონეზე გარჯა. არადა, ორივეს აქვს სათანადო ღირსებები, განსაკუთრებით კეჰილს, ვინც ძალიან ძლიერია, ჩქარია და მეორე სართულზე ორთაბრძოლებს ხშირად იგებს.

"ჩელსის" გაუმართლა, რომ "სტემფორდ ბრიჯზე" სტუმრად გატანილი გოლით ბრუნდება. თუმცა კეჰილისა და ლუიზის დუეტის შემხედვარემ ძნელია წარმოიდგინო, რომ თავის მხრივ ლონდონში "ნაპოლიც" ვერ შეძლებს გატანას. რჩება შთაბეჭდილება, რომ ტერის გარეშე მოთამაშე ვილაშ ბოაშის გუნდი



ტონი კასკარინო ჩელსის დაცვას აკრიტიკებს

ყოველი შეტევის შემდეგ გაუშვებს ბურთს. ეს პრობლემები კი გუნდის წინაშე იმ 6 კვირის განმავლობაში იდგება, რომელიც, სავარაუდოდ, ტერის გამოჯანმრთელებას დასჭირდება. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ 31 წლის მცველის კარიერა უკვე უახლოვდება დასასრულს, სიტუაცია კიდევ უფრო საგანგაშო ხდება. "ჩელსის" ასეთი დაცვით ტიტულების მოგების შანსიც კი არ აქვს. ამისთვის ისინი ძალიან ბევრ გოლს გაუშვებენ. მწვრთნელისთვის ეს კარგის არაფრის მომასწავებელი არ არის. თუკი "ჩელსის" ბოლო 6 თამაშს გავითვალისწინებთ, ეს სპეციალისტი არ იმსახურებს პოსტზე დარჩენას.

ინტერვიუ. დემიენ კომოლი

# ლივერპულის ბოსი — სეზონი უემბლიზე არ მთავრდება

**"ლივერპულის" ოფიციალურმა ვებგვერდმა კლუბის აღმასრულებელი დირექტორის დემიენ კომოლის ინტერვიუ გამოაქვეყნა, სადაც ის ლიგის თასის ფინალის წინ (26 თებერვალი, უემბლი) კლუბში შექმნილ ვითარებაზე მსჯელობს.**

**- როგორი სიტუაციაა ამჟამად მელვუდში ("ლივერპულის" ბაზა)?**

- მშვენიერი განწყობაა. ვფიქრობ, ეს იმის წყალობაა, რომ ბოლო შეხვედრაში ასოციაციის თასზე 6 გოლის გატანა შევძელით. გარდა ამისა, განწყობაზე ლიგის თასის ფინალის მოახლოებაც მოქმედებს.

**- სეზონის წინ აღნიშნულ ტურნირზე აქცენტი იმიტომ ხომ არ გაკეთდა, რომ სხვები მას ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ?**

- ტიტული ნამდვილად გვჭირდებოდა. ამაზე ყველა ვთანხმდებოდით. მით უფრო, რომ წელს ევროთასებზე არ გვითამაშია და ძალები საკმარისი გვქონდა. თანაც, მეოთხედფინალურ სტადიაზე გუნდები უკვე ოპტიმალური სასტარტო შემადგენლობებით თამაშობდნენ.

**- როგორ ფიქრობთ, ეს დალგლიშის მუშაობამ მიიყვანა "ლივერპული" "უემბლის" ფინალამდე?**

- ვფიქრობ, მხოლოდ ამ ერთ მატჩზე ლაპარაკი არ ღირს. მთელი სამუშაოს გათვალისწინებაა აუცილებელი. მასთან და მის შტაბთან ერთად გვეძლევა შანსი, რომ ტიტულები მოივიგოთ.

**- რაკი წინ ფინალური ასპარეზობაა, გუნდის მომზადება თუ იქნება რაიმეთი განსხვავებული?**

- ჩვენ ისევე განვიხილავთ ამ მატჩს, როგორც რიგით გასვლით შეხვედრას. შესაბამისად, მომზადებასაც ჩვეულებრივ გავივლით. კენის წინასწარ ჰქონდა ყველაფერი ასე დაგეგმილი. რა თქმა უნდა, არის სხვაობაც, რადგან მეტოქესთან თამაშებს მიჩვეული არ ვართ. ამისთვის მეტოქის უფრო მეტი მატჩის შესწავლა გახდა საჭირო. უნდა უზრუნველვყოთ, რომ ფეხბურთელებს მეტოქეზე საკმარისი ინფორმაცია ჰქონდეთ იქამდე, ვიდრე თამაში დაიწყება.

**- "ლივერპულს" ახალგაზრდული გუნდი ჰყავს. ბევრისთვის ეს პირველი ტიტული შეიძლება აღმოჩნდეს. გუნდზე ეს დიდ გავლენას მოახდენს?**

- თუკი კვირას თასის მოგება შევძელით, ეს ფრთებს გამოასხამს ყველას, ვინც კი ჩვენს კლუბთან რაიმეთი მაინც არის დაკავშირებული. ანალოგიური ისტორია გადახდა თავს 2008-ში "ტოტენჰემს". მას შემდეგ "დეზებმა" წარმატებული გუნდის შენება დაიწყეს. იმედია, ჩვენთანაც იგივე მოხდება. ფინალი მხოლოდ ახალგაზრდებს კი არა, გამოცდილ ფეხბურთელებსაც მისცემს თავის გამოჩენის შესაძლებლობას. ჩვენ გვყავს დირკ კუიტი, რომელსაც ჩემპიონთა ლიგის გარდა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში უთამაშია. გვყავს სუარესი და კოატესი, რომელთაც კოპა ამერიკა აქვთ მოგებული. ასევე დაუნინგი, ვისთვისაც ეს კარიერაში ლიგის თასის მესამე ფინალი იქნება.

**- გამარჯვება გუნდისთვის მომავალ წელს ევროპაში დაბრუნების გარანტიაა. ეს დამატებითი მოტივაცია იქნება?**

- ასე გეტყვით, "დიახ" და "არა". ერთი



"ლივერპულის" აღმასრულებელი დირექტორი დემიენ კომოლი

მხრივ, ის ევროპის ლიგის საგზურს მოგვიტანს, თუმცა, მეორე მხრივ, თავისთავად ტიტულის მოგება უფრო გახლავთ მოტივაცია, ვიდრე ხსენებულ ტურნირში თამაში.

**- რას ფიქრობენ კლუბის მესაკუთრეები ყოველივეზე, რაც გუნდში ამჟამად ხდება?**

- კენი და მე მათ უკვე ველაპარაკეთ. ისინი მოუთმენლად ელიან თავიანთ პირველ ვიზიტს "უემბლიზე". პირველი ნახევარფინალის შემდეგ გულმოდგინედ ავუხსენი, რამდენად მნიშვნელოვანია "უემბლი" ინგლისური ფეხბურთისთვის. ამ წუთას ყველანი აღტაცებულნი ვართ იმით, წინ რაც გველის, თუმცა არ აქვს მნიშვნელობა, როგორ დასრულდება შეხვედრა, სეზონი "უემბლის" შემდეგაც გრძელდება.

**- ლიგის თასის ფინალის გარდა "ლივერპული" ასოციაციის თასის 1/4-ფინალშიც არის გასული და ჩემპიონთა ლიგის ზონასაც სულ რამდენიმე ქულით ჩამორჩება. სეზონის მიმდინარეობით კმაყოფილი ხართ?**

- დიახ, რა თქმა უნდა. მე და დალგლიშს ამ თემაზე არაერთხელ გვიმსჯელია. ვფიქრობთ, უკეთესობისკენ დიდი ნაბიჯები გადავდგით. ერთი წლის განმავლობაში, რაც კენი გუნდში დაბრუნდა, 9 ახალი ფეხბურთელი მოვიყვანეთ. ეს გუნდის დიდ რეკონსტრუქციას ნიშნავს. შედეგების საჩვენებლად კი "ლივერპულს" დრო სჭირდება.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

## უცხოური ფეხბურთი

● იუვენტუსი

# მაროტას გეგმები

## და ბარცალი დიდი მატჩის შესახებ

„ტუტო სპორტში“ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ტურინის „იუვენტუსის“ მესვეურები სამ ფეხბურთელთან კონტრაქტის გახანგრძლივების თაობაზე მუშაობენ და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, სამივე საკითხი დადებითად გადაწყდება. **ჯანლუიჯი ბუფონს, პაოლო დე ჩელიეს** და **ანდრეა ბარცალის** კლუბთან ხელშეკრულება 2013 წლის 1-ელ ივნისს ეწურებათ და მართალია, იქამდევ კიდევ წელინადზე მეტია დარჩენილი, მათი გახანგრძლივება ტურინელთათვის პრიორიტეტული საქმეა. მოვუსმინოთ „იუვეს“ სპორტულ დირექტორ **ჯუზეპე მაროტას**:

*„ბუფონი გუნდის სახეა და ბუნებრივია, რომ მისი გასხვისება აბსოლუტურად გამორიცხულია. ამიტომ, ჯიჯისთან ხელშეკრულების 2016 წლამდე გახანგრძლივებას ვაპირებთ. დარწმუნებული ვარ, ამის წინააღმდეგი არც თავად კიპერი იქნება, რადგან პირადად ჩემთვის აქვს ნათქვამი, რომ კარიერის დასრულება „იუვენტუსში“ სურს. პაოლო დე ჩელიემ ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, უკვე დაიმკვიდრა ადგილი შემადგენლობაში და მასთანაც 4-წლიანი კონტრაქტის გაფორმება გვსურს - რაც შეეხება ანდრეა ბარცალის, მის ამჟამინდელ კონტრაქტში არის პუნქტი, რომელიც ორხმრივი სურვილის შემთხვევაში, მის 2014 წლამდე გაგრძელებას გულისხმობს. ამ ეტაპზე, უპრიანი იქნება თუ ამ პუნქტს ავამოქმედებთ და დანარჩენზე შემდეგ ვიფიქრებთ. საერთოდ, ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში ჩვენი პრიორიტეტული მიზანი წამყვანი ფეხბურთელების შენარჩუნება იქნება და შემდეგ უკვე გაძლიერება“.*

ამასობაში, ანდრეა ბარცალიმ „კორიერე დელო სპორტს“ საინტერესო ინტერვიუ მისცა და ძირითადად „მილანთან“ მოახლოებულ პაექრობაზე ილაპარაკა. ანდრეა საკმაოდ კარგი მოსაუბრე გამოდგა და უმჯობესია პირდაპირ მას გადავცეთ სიტყვა...



ანდრეა ბარცალი

### ტიაგო სილვა VS ანდრეა ბარცალი

ბოლო დროს, ასეთი შედარება ხშირად კეთდება, რაც ძალიან სასიამოვნოა... დიახ, სასიამოვნო, რადგან სილვა ჩემგან განსხვავებით, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მცველია. სისწრაფეში მისი დაჯაბვნა წარმოუდგენელია, აქვს მოედნის იდეალური ხედვა და პოზიციის შერჩევის იშვიათი უნარი - ტიაგო მისივე თანაგუნდელს, ალესანდრო ნესტას მაგონებს, რომელიც დღემდე ჩემი კუმირია. რა თქმა უნდა, ინდივიდუალური თვისებებით სილკვასთან ახლოსაც ვერ მივალ და ეს ძალიან კარგად მესმის...

რაშია „იუვეს“ დაცვის წარმატების საიდუმლო? - „იუვენტუსი“ ერთ მუშტად შეკრული გუნდია, მწყობრი მექანიზმი, რომელიც არასდროს ირღვევა. როდესაც თავდამსხმელები მუდმივად პრესინგს მიმართავენ, როდესაც ნახევარმცველები იდეალურად კეტავენ ზონებს და სივრცეებს, როდესაც მეკარეს შეუძლია ყველაზე რთული დარტყმის შემდეგაც გადაგარჩინოს, იქ უკვე დაცვაც მშვიდად გრძნობს თავს და მთლიანობაში, საქმე მაღალ დონეზე კეთდება. სწორედ ეს გუნდურობაა „იუვეს“ წარმატების მთავარი ფორმულა.

### მილანი იბრას გარეშე...

„მილანი“ ფავორიტად არის მიჩნეული და სრულიად საფუძვლიანადაც, რადგან ამ გუნდში საოცარი ფეხბურთელები ასპარეზობენ. მართალია, **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** დისკვალიფიკაციის გამო ტოვებს თამაშს, მაგრამ ეს ოდნავადაც არ ამსუბუქებს ჩვენს ამოცანას. მე თუ მკითხავთ, პირიქით, უფრო ამძიმებს კიდეც... მართალია, თავად იბრა არაორდინარული მოთამაშეა, მაგრამ ჩემი პირადი აზრით, „მილანი“ მის გარეშე უფრო ამოუცნობ, სწორედაც რომ არაორდინრულ ფეხბურთს თამაშობს, რომლის გაგება და შესაბამისი რეაგირების მოხდენა, ურთულესი საქმეა. ერთი სიტყვით, მეც ვეთანხმები იმ აზრს, რომ „მილანი“ ფავორიტია.

### მასიმილიანო ალეგრი VS ანტონიო კონტე

**მასიმილიანო ალეგრი** მშვიდი, გაწონასწორებული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს, **ანტონიო კონტე** კი ერთ-ერთი ყველაზე ემოციური მწვრთნელია, ვისთანაც ოდესმე მიმუშავია. უნდა ნახოთ, როგორი ენერგიით გვესაუბრება გასახდელში - მთელი გულით ჩართულია თამაშში და ხადანახან მგონია, რომ თვითონაც გამოვა მოედანზე. ჩემი პირადი აზრით, ახალი თაობის მწვრთნელებს შორის, ალეგრი და კონტე ყველასგან გამორჩეულები არიან და „მილანი“-„იუვეს“ ჯახი მათი დაპირისპირების ჭრილშიც შეგვიძლია განვიხილოთ.

● იტალიის ნაკრები

# ჩეზარე პრანდელი ბორინის გამოცდის

## დი ნატალე ვერდიქტის მოლოდინში

პირველ მარტს, იტალიის ეროვნული ნაკრები ამხანაგურად აშშ-ს უმთავრეს გუნდს შეერკინება და ეს შეხვედრა აპენინებზე აქედანვე საკმაოდ დიდ ინტერესს იწვევს. **ჩეზარე პრანდელის** ჯერ არ დაუსახელებია ის შემადგენლობა, რომელსაც იანკებთან დაეყრდნობა, მაგრამ კულუარებიდან საკმაოდ საინტერესო ცნობები ვრცელდევა და სწორედ მათზე გვსურს ყურადღების გამახვილება.

ჯერ კიდევ 2011 წლის მიწურულს, ჩეზარემ თავად განაცხადა, რომ ამერიკასთან მატჩისთვის **ანტონიო დი ნატალეს** გამოცდიდა. ტოტო ალფრთოვანებით შეხვდა მწვრთნელის ამ განცხადებას და დასძინა, ამიერიდან უფრო დიდი მოტივაციით ვითამაშებო. ბედის ირონიით, დი ნატალე დღეს ტრავმირებულია და ჯერაც უცნობია, შეძლებს თუ არა პირველ მარტამდე გამოჯანმრთელებას. ამ საკითხზე კომენტარი თავად ფეხბურთელმა გააკეთა:

*„შაბათს ექიმებთან კონსულტაცია უნდა გავიარო და მხოლოდ ამის შემდეგ მეცოდინება, შევძლებ თუ არა ამხანაგურ შეხვედრაში მონაწილეობის მიღებას. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ მწვანეს ამინთებენ და დიდი ხნის პაუზის შემდეგ, კვლავ მოვირგებ ეროვნული გუნდის მაისურს. ნებისმიერ შემთხვევაში, პრანდელის ის განცხადება ჩემთვის სტიმულად რჩება და სულ რომ ვერ მოვასწრო პირველ მარტამდე მომჯობინება, ეროვნულ ნაკრებში მოსახვედრად ბოლომდე ვიბრძოლებ“.*

ამასობაში, ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პრანდელი ამერიკასთან მატჩისთვის **ფაბიო ბორინის** გამოძახებას აპირებს. მიმდინარე სეზონში, 20 წლის ფორვარდი შესანიშნავად ასპარეზობს, რაზეც სტატისტიკური მაჩვენებლები ნათლად მეტყველებს: ფაბიოს 14 შეხვედრაში 6 გოლი აქვს გატანილი და რაც მთავარია, ტურიდან ტურამდე პროგრესირებს. ვნახოთ, რამდენად გამართლდება გავრცელებული ინფორმაცია და თუ გამართლდა, რამდენად გაამართლებს ახალგაზრდა შემტევი მასზე გაცემულ ავანსებს.



ფაბიო ბორინი

● ჯენოა

# ჯილას დაბრუნება გადაიდო

მიმდინარე სეზონში, „ჯენოა“ არასტაბილურად ასპარეზობს და შედეგად, მხოლოდ მეთორმეტე ადგილი უკავია სატურნირო ცხრილში. არადა, გენუელები ამბიციების ნაკლებობას არ უჩივიან და უკვე დიდი ხანია აცხადებენ, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზური უნდა მოიპოვონ. სურვილი ერთია, მაგრამ რეალობა მეორე... ფაქტია, რომ დღეს „ჯენოა“ ძალიან შორს არის ლიდერთა სამეულისგან და შესაბამისად, ევროპის უპრესტიჟულესი საკლუბო ტურნირისგან.

ერთი ხანობა, „ჯენოამ“ თითქოს გამოასწორა თამაში და ეს პერიოდი გუნდში **ალბერტო ჯილარდინოს** გადაბარგებას დაემთხვა. თუმცა, შემდეგ ჯილამ ტრავმა მიილო და გენუელთა საქმე ისევ შავად წავიდა. ვერ გეტყვით, ეს დამთხვევა იყო თუ კანონზომიერება, მაგრამ ფაქტია, რომ ჯილარდინოს დაბრუნებას გუნდის გულშემატკივრები მოუთმენლად ელოდებიან.

რამდენიმე დღის წინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჯილა უკვე ამ უქმეებზე უნდა დაბრუნებულიყო მოედანზე, მაგრამ მთლად ასე კარგად არ ყოფილა საქმე - მოვუსმინოთ თავად ფეხბურთელს და ყველაფერი გაცხადდება: *„ფეხის ტკივილები ჯერ კიდევ მაქვს და სავარაუდოდ, „პარმასთან“ უახლოეს პაექრობაში ვერ მივიღებ მონაწილეობას. ეს ძალიან სამწუხაროა, რადგან ექიმებისგან დაიმედებული ვიყავი და მეგონა, რომ უკვე ამ უქმეებზე შევძლებდი თამაშს. რა გაეწყობა, უნდა გავაგრძელო მკურნალობა, რადგან ჯანმრთელობის გარისკვა არაფრით არ შეიძლება. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, მოედანს XXVI ტურში დავუბრუნდები და თუ მწვრთნელმა ინება, „ლეჩეს“ წინააღმდეგ ვითამაშებ“.*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



ალბერტო ჯილარდინო

● მოსაზრება

# გალიანის ვან პერსი წამოსცდა

## ვან ბომელმა თემა აიტაცა



რობინ ვან პერსი და მილანელები

„მილანმა“ რომ „არსენალს“ გადაურბინა და ფაქტობრივად გაინაღდა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში ასპარეზობის უფლება, ძველი ამბავია... თამამად შეიძლება ითქვას, რომ ინგლისურმა გუნდმა მთლიანად ჩააგდო შეხვედრა და უშანსოდ წააგო... ერთადერთი ფეხბურთელი, ვინც „არსენალის“ რიგებიდან გამოირჩეოდა, **რობინ ვან პერსი** გახლდათ. 28 წლის ჰოლანდიელი შემტევი ორჯერ დაემუქრა მასპინძელთა კარს და რომ არა **კრისტიან აბიატის** ფენომენური თამაში, დღეს „არსენალი“ ბევრად უკეთეს მდგომარეობაში იქნებოდა. ეს ამბავი კი იმად გავიხსენეთ, რომ იტალიურ პრესასთან საუბარში **ადრიანო გალიანიმ** საკმაოდ საინტერესო კომენტარი გააკეთა - მოვუსმინოთ „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტს:

*„რას ვაპირებთ ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში? - რა დროს ზაფხულია, სეზონის დასკვნითი ნაწილი წინ გველის და ჯერ ტრანსფერებზე ნამდვილად არ ვფიქრობ. შესაბამისად, ვერც იმ ფეხბურთელებს დავასახელებ, ვის გადაბირებასაც ვისურვებდი. ერთადერთი, ვინც ამწუთას თავში მომდის, ეს რობინ ვან პერსია, რომელმაც ჩვენს წინააღმდეგ შესანიშნავად იასპარეზა. კარგად ვაკვირდებოდი, მთელ მოედანზე მოძრაობდა, ერთი წუთითაც არ გაჩერებული და ორჯერ, კინაღამ გოლიც გაგვიტანა. მოკლედ, ვან პერსიზე არ ვიტყოდი უარს, თუმცა ეს ჩემი უბრალო სურვილი იყო - კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ტრანსფერებზე ფიქრი ჯერ ძალიან ადრეა“.*

ეს ამბავი უმალ აიტაცეს იტალიელმა ჟურნალისტებმა და თავად ვან პერსისთან სცადეს დაკავშირება, თუმცა ჯერჯერობით მასთან დალაპარაკება ვერ მოხერხდა. სამაგიეროდ, რობინის თანამემამულემ, **მარკ ვან ბომელმა** გააკეთა კომენტარი, რომელიც „მილანის“ ღირსებას იცავს და თურმე ძალიან უნდა ვან პერსიმ შავ-წითელი ფორმა მოირგოს:

*„ვერ გეტყვით, რამდენად სერიოზულად ფიქრობენ „მილანის“ მესვეურები ვან პერსის ტრანსფერზე, მაგრამ თუ ეს საქმე გამოვიდა, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს. რობინი ბრწყინვალე ფეხბურთელია, ყველა ის თვისება აქვს, რომელიც უმაღლესი კლასის თავდამსხმელს სჭირდება და დარწმუნებული ვარ, რომ „მილანს“ საგრძნობლად გააძლიერებს. ამის შესახებ აუცილებლად დაველაპარაკები მას და გავარკვევ, რამდენად რეალურია გავრცელებული ცნობები“.*

ესპანური კრიალოსანი



დი მარია ერთი თვე იუქმებს

## რეალი
# უიღბლო დი მარია

**ანხელ დი მარია** დაბრუნდა, გაიტანა და ისევ დაიმტვრა - ბოლო ხანებში „რეალის" არგენტინელი ნახევარმცველი მეტისმეტად უიღბლო გახდა. გუშინ, „რასინგთან" დამტვრეულ დი მარიას, ექიმებმა დიაგნოზი დაუსვეს - ანხელმა მარჯვენა ფეხზე მყესები გაიწყვიტა და ახლა მას ერთი თვე ლაზარეთში მოუწევს ყოფნა. ეს დიდი დარტყმაა **ჟოზე მოურინიოსთვის**, რომელმაც ახლახან **ქარიმ ბენზემა** 2-3 კვირით დაკარგა. შეგახსენებთ, რომ დი მარია 13 საგოლე პასით ლა ლიგის წლევანდელი სეზონის ასისტენტთა ლიდერია.

კანტაბრიელებთან მატჩამდე დი მარიას თითქმის თვე-ნახევარი ჰქონდა გამოტოვებული, „რასინგთან" ჟოზემ არგენტინელს 30 წუთი მისცა სათამაშოდ და ანხელმაც ტურის ერთ-ერთი ულამაზესი გოლი გაიტანა. მაგრამ მერე სტუმარ **კრისტიანთან** შეჯახებისას ბოლო 2 თვეში მესამე ტრავმა მიიღო. ტრავმებმა ფეხბურთელს უკვე გამოატოვებინეს 14 მატჩი და კიდევ 5-ის გამოტოვება „გარანტირებული" აქვს. 20-მდე მატჩი სეზონში, ძალიან ბევრია მოუს სქემის ერთ-ერთი უმთავრესი ფიგურის გამოკლებისთვის.

# მოურინიო, გეების მოძულე?

მადრიდის „რეალის" თავკაც ჰომოფიურ გამონათქვამებში (ფრაზები, რომლებიც ჰომოსექსუალებს შეურაცხყოფს) სდებენ ბრალს. ეს მაშინ მოხდა, როცა პორტუგალიელი მწვრთნელი მოსკოვში, ცსკა-სთან მატჩის წინ გაზონის მდგომარეობას ამოწმებდა. ევროპის გეებისა და ლესბოსელების სპორტულმა ფედერაციამ მოურინიოს წინააღმდეგ ევროსასამართლოში საჩივარი უკვე შეიტანა. მოურინიომ მატჩის მომსახურე ოფიციალურ პირებს „ფეგოტს" უწოდა, რაც სლენგზე გეების დამცინავი, შეურაცხმყოფელი სიტყვაა. ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **ლუიზ ენგელფილდი** უეფას მოუწოდებს, დასაჯოს მოურინიო: *„ჰომოფობია მიუღებელია ფეხბურთის სამყაროში. ძალიან ვწუხვართ, მაგრამ მისტერ მოურინიო ძალიან ხშირად იყენებს ჰომოფობიურ ტერმინებს სამსახურში. ყველაზე ცუდი ისაა, რომ მოურინიოს ბოლო შეტევა დაემთხვა „ფეხბურთი ჰომოფობიის წინააღმდეგ" კვირეულს"*, - განუცხადა ენგელფილდმა „დეილი მეილს". უეფას მხრიდან ჯერ არ ყოფილა გამოხმაურება.



ჟოზე მოურინიო ახალ სკანდალში გაეხვა




# რეალის ბოიკოტი: CANAL+-ს

CANAL+

„რეალმა" გადაწყვიტა, სრული ბოიკოტი გამოუცხადოს ფრანგულ ტელეარხ „კანალ პლუსს". მიზეზი არხზე გასული სკეტჩ-შოუა, რომელშიც ესპანელი ველომრბოლი **ალბერტო კონტადორი**, ჩოგბურთელი **რაფაელ ნადალი** და ფეხბურთელი **იკერ კასილიასი** გაამასხარავეს (შოუს თემა იყო დოპინგი). „რეალის" ხელმძღვანელობა კასილიასზე შეტევამ გაამწარა. ბოიკოტი უკვე იგემეს ფრანგმა ჟურნალისტებმა, როცა ისინი ქარიმ ბენზემას ინტერვიუსთვის მიუახლოვდნენ, „რეალის" პრესოფიცერმა მათ აუხსნა, რომ „კანალ პლუსს" „რეალის" ფეხბურთელები კომენტარს აღარ მისცემენ.

# გალაქტიკოზე




„სევილიას" ახლანდელი მთავარი მწვრთნელი და „რეალის" ლეგენდა **მიჩელი** მიიჩნევს, რომ **ჟოზე მოურინიომ** ისეთი გუნდი ააწყო, რომელიც უკვე სჯობს „გალაქტიკოს" ანუ 2000-იანი წლების „რეალს". მაშინდელ „რეალს" **ვისენტე დელ ბოსკე** წვრთნიდა, 1999 წლიდან 2003 წლამდე. ამ ხნის განმავლობაში „რეალმა" ორჯერ მოიგო ლა ლიგა და ორჯერ ლიგა. მაშინ „გალაქტიკოში" **ზიდანი, რაული, ფიგუ, რონალდო** და სხვები ბრწყინავდნენ.



მესი მადრიდელებთან I წრის მატჩში

აი, რას ამბობს 48 წლის მიჩელი: *„დღევანდელი გუნდი, თითქოს, უფრო სანახაობრივია, მაგრამ ზიდანი, რაული, იერო, ფიგუ, რობერტო კარლოსი და სხვები მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში მოხვდნენ. ახლებმა უნდა მოიგონ ტიტულები, რომ დაამტკიცონ, ნამდვილად სჯობნიან „გალაქტიკოს"*.

■ ■ ■

ქარიმ ბენზემა, რომელსაც ექიმებმა 2-დან 3 კვირამდე გამოუწერეს დასვენება, ოპტიმისტია. ის აცხადებს, რომ დათქმულზე ადრე დაუბრუნდება ფეხბურთს: *„კარიერაში ამაზე უფრო საშიში ტრავმები მქონია"*, - განაცხადა ფრანგმა.

■ ■ ■

მორიგ ტურში „რეალს" დერბი ელის, „სამეფო კლუბის" მეტოქე „რაიო ვალეკანოა". აი, „ელვების" ბოსი **ხოსე რამონ სანდოვალი** მეტისმეტად ოპტიმისტი ყოფილა: *„რეალთან" მატჩის წინ ცხრილს ზედაც არ ვუყურებთ. ვიცით, რომ გავარდნის ზონას 8 ქულით ვუსწრებთ და თუ „რეალს" მოვუგებთ, მნიშვნელოვნად გავიუმჯობესებთ მდგომარეობას. დიახ, არ მოგესმათ - „რეალის" დამარცხებაში საოცარს ვერაფერს ვხედავ. მეტოქეს ბევრი უპირატესობა აქვს, მაგრამ მათი ნაკლიც ვიცით"*.

■ ■ ■

„რეალის" ყოფილი ფეხბურთელი **მანოლო სანჩისი** მიიჩნევს, რომ **რაფაელ ვარანისთვის** სასტარტოში თამაში ჯერ ნაადრევია. *„მომავალი მისია, თუმცა ამ ეტაპზე დაცვის ცენტრში ფრანგის ადგილს ვერ ვხედავ, კონკურენტები ჯერ სჯობნიან"*.

■ ■ ■

ბენზემას ტრავმის შემდეგ მოურინიოს შეტევაში საკადრო პრობლემა აქვს - ძირითად გუნდში მხოლოდ ერთი ცენტრფორვარდია ჯანზე - **გონსალო იგუაინი**. ამიტომაც, პორტუგალიელი „რეალ კასტილიას" მიმართავს და „რაიო ვალეკანოსთან" მატჩისთვის ან **ალვარო მორატას** დაამატებს ძირითად გუნდს, ან - **ხოსელუს**.



ინიესტას იმის გაფიქრებაც არ უნდა, რომ პეპი შეიძლება წავიდეს

■ ■ ■

**კრიშტიანო რონალდო** „მანჩესტერ იუნაიტედში" შესაძლო დაბრუნებაზე: *„წინასწარ არავინ იცის, რას გვიმზადებს ბედი"*...

## ბარსელონა
# ინიესტასთვის ტურნირი სამობითაა

გუშინ კატალონიურ მედიას „ბარსელონას" ნახევარმცველი **ანდრეს ინიესტა** წარუდგა. ბუნებრივია, საუბარი ძირითადად „ბარსას" საჩემპიონო შანსებზე იყო.

**„რეალთან" 10-ქულიან ჩამორჩენაზე:** *„რეალს" მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს მოპოვებული, მაგრამ ჩვენ მხოლოდ სამ-სამი ქულით წინსვლაზე ვფიქრობთ. ამ შემთხვევაში უფრო შეიძლება გაჩნდეს შანსი. თანაც, ლიგაზე და თასის ფინალშიც წავვადგება ასეთი დამოკიდებულება"*.

**„ატლეტიკოსთან მოახლოებულ მატჩზე:** *„ყოველი თამაში რთულია, მაგრამ ეს განსაკუთრებული იქნება. ჯერ ერთი, სტუმრად ვთამაშობთ, მერე - მეტოქე ვინმე სხვა კი არა, „ატლეტიკოა"*.

**„ვალენსიასთან" მატჩის შემდგომ განწყობაზე:** *„დიდებული თამაში იყო, ახლა სტუმრადაც ამ განწყობით გავალთ მოედანზე"*.

**გვარდიოლას შესაძლო წასვლაზე:** *„ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ეს მოხდება. ახლა წინ ძალიან მნიშვნელოვანი მატჩებია. იმედია, მწვრთნელი ჩვენთან დარჩება"*.

# მესი, ატლეტიკოს მკვლელი

მომავალ ტურში „ბარსელონა" „ვისენტე კალდერონს" ხვდება. მადრიდელები ყველაზე მეტად, რა თქმა უნდა, **ლეო მესის** უნდა უფრთხოდნენ. ერთი, რომ არგენტინელი ისედაც საუკეთესოა კატალონიელთა რიგებში. მეორეც, თითქოს, ჯინი სჭირსო, მესის განსაკუთრებით უყვარს „ატლეტიკოს" მეკარეების დამწუხრება - მის ანგარიშზე 13 დაპირისპირებაში გატანილი 17 გოლია. ბოლო ორ შეხვედრაში მესი ჰეთ თრიკის გარეშე არ ტოვებს მოედანს. 17-დან 13 გოლი ლა ლიგაზე მოდის, 4 კი სამეფო თასზე.

■ ■ ■

„ატლეტიკოსთან" მატჩისთვის **ხოსეპ გვარდიოლამ** პირველი გუნდის 18 ფეხბურთელი და ერთი სარეზერვო, **კრისტიან ტელიო** ავარჯიშა.

■ ■ ■

**ჩავი** 14 წელია, ძირითადი გუნდის ფეხბურთელად მიიჩნევა, მაგრამ ნახევარმცველს ასეთი პროდუქტიული სეზონი ჯერ არ ჰქონია - მან ყველა 33 მატჩში 11 გოლი გაიტანა (აქედან 7 ლა ლიგაში) და პირველად გადაცდა 10-გოლიან ნიშნულს. 2008/09 წლების სეზონში ჩავიმ 10 გოლი გაიტანა.

■ ■ ■

**ისააკ კვენკა** იხსენებს პირველ ნაბიჯებს ძირითად გუნდში. 19 წლის გარემარბი აღნიშნავს, რომ ყველაზე მეტად „ბარსას" სუპერვარსკვლავების უბრალოებამ გააკვირვა და გაახარა.

■ ■ ■

**ტიაგო ალკანტარას** მიაჩნია, რომ მის კლუბს ყველაფერი ხელეწიფება. მათ შორის, „რეალთYან" 10-ქულიანი ჩამორჩენის აღმოფხვრაც.

■ ■ ■

**დანი ალვეში** ამბობს, რომ, როცა იხსენებს „რეალთან" დიდ ჩამორჩენას, ცოფდება.

■ ■ ■

**ბერნდ შუსტერმა** განაცხადა, რომ უკვე ვერ წარმოუდგენია „ბარსელონა" გვარდიოლას გარეშე, ისევე როგორც „რეალი" **მოურინიოს** გარეშე.

■ ■ ■

**ვისენტე დელ ბოსკემ** აღნიშნა, რომ **ალექსის სანჩესი** ბრწყინვალედ მოერგო „ბლაუგრანას".

■ ■ ■

„ბარსელონას" პრეზიდენტი **სანდრო როსელი** ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის ბოს **ანხელ მარია ვილიარს** შეხვდა. ბუნებრივია, საუბრის მთავარი თემა სათასო ფინალის გამართვის ადგილი იყო.

■ ■ ■

„მარკას" მიაჩნია, რომ გვარდიოლას აბარგების შემთხვევაში „ბარსელონას" ან **ლუის ენრიკე**, ან **მარსელო ბიელსა** გაწვრთნის.



ამ ფოტოზე „ბარსელონას" და „ატლეტიკოს" დღევანდელი თავკაცები არიან, ბურთით ხოსეპ გვარდიოლაა, რომელიც ცდილობს დიეგო სიმეონეს გასცდეს. მათი გუნდები კვირას ერთმანეთს ხვდებიან...

## არგენტინის ნაკრები



ედუარდო სალვიო

# დი მარიას ტრავმა: სალვიოს შანსი

**ანხელ დი მარიას** ტრავმამ ნაკრებში თავის გამოჩენის შანსი „ატლეტიკოს" შემტევ ნახევარმცველ **ედუარდო სალვიოს** მისცა. არგენტინის ნაკრების თავკაცმა **ალეხანდრო საბელიამ** რეალელის ნაცვლად გუნდში 21 წლის სალვიო გამოიძახა. შეგახსენებთ, რომ 29 თებერვალს არგენტინა ამხანაგურად შვეიცარიის ნაკრებს გაეჯიბრება. სალვიოს ნაკრებში დებიუტი 19 წლისას ჰქონდა, პანამასთან მატჩში. აქამდე მან ეროვნულ გუნდში სამჯერ მოასწრო გამოსვლა. ოთხშაბათს საბელიამ უკვე გამოცხადებულ გუნდს სამი ფეხბურთელი დაამატა, სალვიოს გარდა მეკარე **ანდუხარსა** და ნახევარმცველ **ბრანას** გაუმართლდათ.

*მეკარეები: მარიანო ანდუხარი (ესტუდიანტესი), სერხიო რომერო (სამპდორია).*

*მცველები: ესეკილ გარაი (ბენფიკა), დანიელ კატა დიასი (ხეტაფე), ფედერიკო ფერნანდესი (ნაპოლი), ლუსიანო მონსონი (ნიცა), მარკოს როხო (სპარტაკი), პაბლო საბალეტა (მანჩესტერ სიტი), უგო კამპანიარო (ნაპოლი).*

*ნახევარმცველები: მაქსი როდრიგესი (ლივერპული), ფერნანდო გაგო (რომა), ერიკ ლამელა (რომა), ხავიერ მასკერანო (ბარსელონა), ხავიერ პასტორე (პსჟ), ხოსე სოსა (მეტალისტი), როდრიგო ბრანა (ესტუდიანტესი).*

*თავდამსხმელები: სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი), ედუარდო სალვიო (ატლეტიკო), როდრიგო პალასიო (ჯენოა), გონსალო იგუაინი (რეალი), ლიონელ მესი (ბარსელონა).*

## საფრანგეთის ნაკრები



დებიუტანტი მორგან ამალფიტანო

# გამლების განაცხადი

საფრანგეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ლორან ბლანმა** გერმანელებთან გასამართი ამხანაგური მატჩისთვის გამოძახებულთა სია დაასახელა. უკვე ცნობილი იყო, რომ 29 თებერვლის შეხვედრას „რეალის" ფორვარდი **ქარიმ ბენზემა** გამოტოვებდა. „ვეზერშტადიონზე" თამაშის შანსი „ტოტენჰემის" ფორვარდ **ლუის საასაც** მიეცემა. 26 წლის **მორგან ამალფიტანო** კი სულაც დებიუტანტია.

*მეკარეები: უგო ლორისი (ლიონი), სტივ მანდანდა (მარსელი), სედრიკ კარასო (ბორდო).*

*მცველები: ერიკ აბიდალი (ბარსელონა), მატიო დებიუში (ლილი), პატრის ევრა (მანჩესტერ იუნაიტედი), ადილ რამი (ვალენსია), ანტონი რევეიერი (ლიონი), პილიპ მექსე (მილანი), მამადუ სახო (პსჟ).*

*ნახევარმცველები: მორგან ამალფიტანო (მარსელი), ალუ დიარა (მარსელი), იოან კაბაიე (ნიუკასლი), იან მვილა (რენი), ფლორან მალუდა (ჩელსი), ჟერემი მენეზი (პსჟ), მარვინ მარტენი (სოშო), სამირ ნასრი (მანჩესტერ სიტი), ფრანკ რიბერი (ბაიერნი), მატიო ვალბუენა (მარსელი).*

*თავდამსხმელები: კევინ გამეირო (პსჟ), ოლივიე ჟირუ (მონპელიე), ლუის საა (ტოტენჰემი).*

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

## უცხოური ფეხბურთი

● არსენალი




არსენალიდან არშავინის აბარგება დროის საკითხია

# ემირეიტსზე თითქმის ძველებურად

რამდენიმე დღის წინ ბრიტანულ პრესაში დაიწერა, რომ "არსენალი" 2012/13 წლების სეზონისთვის ჩვეულებრივ სეზონურ აბონემენტებზე ფასს გაზრდიდა, რამაც გულშემატკივართა სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია. მიზეზი მარტივია: ჩრდილოლონდონელებმა ბოლო 6 წლის განმავლობაში ორჯერ მოუმატეს ღირებულებას და უკანასკნელად მიმდინარე სეზონის დაწყებამდე, თანაც მთელი 4%-ით, რაც იმით აიხსნა, რომ სახელმწიფომ საგადასახადო განაკვეთები გაზარდა. გუშინ "მეთოფეთა" ოფიციალური განცხადება გავრცელდა, სადაც ნათქვამია, რომ ფასის კიდევ ერთხელ გაზრდის საკითხი დღის წესრიგში არც კი დამდგარა. ერთადერთი, რაც გაძვირდება, ეს ე.წ. Club Level-ია (ასე ვთქვათ, ვიპაბონემენტი) და ისიც მხოლოდ 2%-ით. აღსანიშნავია, მსგავსი სეზონური ბილეთები წლის განმავლობაში 7 ათასი ცალი იბეჭდება და უკლებლივ ყველა იყიდება.

მომდევნო სატრანსფერო ფანჯარა ივნისში იხსნება, თუმცა "არსენალის" ხელმძღვანელობა აქედანვე ცდილობს თადარიგის დაჭერას. ამ დღეებში ვწერდით იმათ შესახებ, ვისი გაშვებაც იგეგმება და ვისი შენარჩუნებაც "მეთოფეთათვის" პრიორიტეტია. ამჯერად ამ თემაზე საუბრით თავს აღარ შეგაწყენთ. უბრალოდ გაგაცნობთ ახალ ინფორმაციას, რომელიც "დეილი ტელეგრაფმა" გაავრცელა. ტაბლოიდის მტკიცებით, შესაძლოა მომდევნო სეზონი "ემირეიტსზე" დაიწყოს "სანდერლენდის" ბენინელმა ლეგიონერმა, 27 წლის **სტეფან სესინიონმა.** შეგახსენებთ, რომ ფრანგული ძირის მქონე შემტევმა ნახევარმცველმა "შავ კატებს" 2011 წლის იანვარში "პარი სენ-ჟერმენში" გატარებული 2,5 სეზონის შემდეგ მიაშურა. "სანდერლენდს" მისი გადაბირება 6 მილიონი ფუნტი დაუჯდა. სტეფანი კუნძულზე თავს ფანტასტიკურად გრძნობს. მიმდინარე სეზონში მან პრემიერლიგის 25-ვე შეხვედრა სასტარტო შემადგენლობაში დაიწყო და 6 გოლის გარდა 7 შედეგიანი გადაცემა მიითვალა. შესაბამისად, ფეხბურთელის ფასი 6-დან 10 მილიონამდეა გაზრდილი.

"მეთოფეებზე" წერას კი "ზენიტის" წარმომადგენელთა განცხადებით დავასრულებთ. პეტერბურგული კლუბის გენერალური დირექტორის **მაქსიმ მიტროფანოვის** თქმით, მათ ლონდონელებს ოფიციალურად მიმართეს, **ანდრეი არშავინის** იჯარის საკითხის განსახილველად, თუმცა ჯერჯერობით მათგან დადებითი პასუხი არ მიუღიათ. მხარეები საკითხს ინტენსიურად განიხილავენ. მიმდინარე სეზონში 30 წლის რუსი თავდამსხმელი საშინლად გამოიყურება. მან სულ 19 მატჩი ჩაატარა (8 ძირითადში) და ერთი გოლი გაიტანა.

ლევან ბიბილაშვილი

● ამბავი

# კლინსმანი იტალიის წინააღმდეგ



აშშ-ის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იურგენ კლინსმანმა** 29 თებერვალს იტალიის ნაკრებთან მატჩისთვის გამოძახებულთა სია გამოაქვეყნა.

**მეკარეები:** გუზანი (ასტონ ვილა), ჰოვარდი (ევერტონი), რიმანდო (სოლტ ლეიკი);

**მცველები:** ბოკანეგრა (რეინჯერსი), კემერონი (ჰიუსტონი), ჩენდლერი (ნიურნბერგი), ჩერუნდოლო (ჰანოვერი), გუდსონი (ბრონდბიუ) პარკჰერსტი (ნორშელანი), სპექტორი (ბირმინგემი)

**ნახევარმცველები:** ბრედლი (კიევო), ედუ (რეინჯერსი), ფ. ჯონსონი, უილიამსი (ჰოფენჰაიმი), ჯონსი (შალკე), ტორესი (პაჩუკა);

**თავდამსხმელები:** ალტიდორი (ალკმაარი), ბოიდი (დორტმუნდი), ბადლი, დონოვანი (ლოს ანჯელეს გალასი), დემპსი (ფულჰემი).

ლევან ბიბილაშვილი

● ევროპალიგა. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩები

**ბილბაო-ლოკომოტივი 1:0 (1:2)**

**გოლი:** 1:0 მუნიაინი (62)

**ბრიუგე-ჰანოვერი 0:1 (1:2)**

**გოლი:** 0:1 დიუფი (21)

**პაოკ-უდინეზე 0:3 (0:0)**

**გოლები:** 0:1 დანილო (6), 0:2 ფლორესი (15), 0:3 დომიცი (51-პენ)

**პსვ-ტრაბზონსპორი 4:1 (2:1)**

**გოლები:** 1:0 მერტენსი (15-პენ), 2:0 მატავჟი (31), 3:0 სტროოტმანი (38), 3:1 ილმაზი (41), 4:1 მატავჟი (52)

**ტვენტე-სტიაუა 1:0 (1:0)**

**გოლი:** 1:0 ჩადლი (29)

**ვალენსია-სტოკ სიტი 1:0 (1:0)**

**გოლი:** 1:0 ჟონასი (24)

**ანდერლეხტი-ალკმაარი 0:1 (0:1)**

**გოლები:** 0:1 მარტენსი (54)

**ატლეტიკო-ლაციო 1:0 (3:1)**

**გოლები:** 1:0 გოდინი (48)

**ბეშიქთაში-ბრაგა 0:1 (2:0)**

**გოლები:** 0:1 ლიმა (25)

**მანჩესტერ იუნ.-აიაქსი 1:2 (2:0)**

**გოლები:** 1:0 ერნანდესი (6), 1:1 ოზბილიზი (38), 1:2 ბლინდი (87)

**მეტალისტი-ზალცბურგი 4:1 (4:0)**

**გოლები:** 1:0 ჰინტერეგერი (28-საკ. კარში), 1:1 იანტშერი (57), 2:1 კრისტალდო (62), 3:1 ბლანკო (63), 4:1 ბლანკო (87)

**ოლიმპიაკოსი-რუბინი 1:0 (1:0)**

**გოლები:** 1:0 ჯებური (14)

**სპორტინგი-ლეგია 1:0 (2:2)**

**გოლები:** 1:0 ფერნანდესი (84)




**შალკე-პლზენი 1:1 დ.დ 3:1 (1:1)**

**გოლები:** 1:0 ჰუნტელაარი (8), 1:1 რაიტორალი (88). 2:1 ჰუნტელაარი (106). 3:1 ჰუნტელაარი (120).

**სტანდარდი-ვისლა 0:0 (1:1)**

1/8 ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან

მეტალისტი-ოლიმპიაკოსი
სტანდარდი-ჰანოვერი
სპორტინგი-მანჩესტერ სიტი
ვალენსია-პსვ
ალკმაარი-უდინეზე
ატლეტიკო-ბეშიქთაში
მანჩეტერ იუნ.-ბილბაო
ტვენტე-შალკე

*პირველი მატჩები 8 მარტს გაიმართება, საპასუხო 15 მარტს*

ლევან ბიბილაშვილი

● ბაიერნი



ევროპული ბიბლიოთეკა

# ჰიტცფელდი: ამ სცენამ შოკში ჩამაგდო

## რიბერიმ ჰაინკესს ხელი არ ჩამოართვა...

„ბაზელისა" და „ბაიერნის" დაპირისპირების 71-ე წუთზე მიუნხენელთა მთავარმა მწვრთნელმა **იუპ ჰაინკესმა ფრანკ რიბერი თომას მიულერით** შეცვალა. მოედნიდან გასვლისას, ფრანგმა ნახევარმცველმა „დონ იუპს" ხელი არ ჩამოართვა – როგორც ჩანს, უკმაყოფილო დარჩა, მწვრთნელმა მოედნიდან რომ გაიყვანა.

*„გაოცებისგან პირი დავაღე, შოკში ჩავარდი!* – განცვიფრებულია „ბაიერნის" ყოფილი მწვრთნელი, ახლა შვეიცარიის ნაკრების დამრიგებელი **ოტმარ ჰიტცფელდი,** *- ჰაინკესი სპეციალურად წამოვიდა, რომ რიბერისთვის ხელი ჩამოერთმია, ამ უკანასკნელმა კი ცივად ჩაუარა. ამ სცენამ მიმახვედრა, რომ რეკორდმაისტერში ყველაფერი წესრიგში არ არის, ან კონკრეტულად რიბერისა და იუპს შორის „გაირბინა შავმა კატამ". რიბერი ვალდებული იყო, ისე მოქცეულიყო, როგორც ნამდვილ პროფესიონალს ეკადრება."*

აღსანიშნავია, რომ თავად 66 წლის ჰაინკესმა რიბერის ასეთი საქციელი მშვიდად მიიღო. მატჩის შემდეგ „დონ იუპმა" თქვა, ამას განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ვანიჭებ, მაგრამ ფაქტია, რომ უსიტყვოდ ჩამიარა, როგორც ჩანს, განაწყენებული იყო იმის გამო, რომ შევცვალეო.

რიბერის საქციელი უფრო იმიტომაა საინტერესო, რომ ფრანგს აქამდე ჰაინკესთან ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა...

გოტფრიდ ლენცი

● გერმანია. ბუნდესლიგა. პარასკევის მატჩის წინ

# გაგრძელდება გლადბახის აღმაფრენა?

## ჰამბურგი სტუმრად უკეთ თამაშობს, ვიდრე სახლში...

**დღეს**

**ბორუსია (მ)-ჰამბურგი 23:30**

**პირველ წრეში:** 1:0

**ტრავმა:** ჰერმანი, იუნესი – მიკელი, ტიორე

ბუნდესლიგის 23-ე ტურის პარასკევის მატჩი ძალიან საინტერესო და დამაინტრიგებელია: წინა ტურში მეორე ადგილზე ალზევებული „გლადბახი" „ჰამბურგს" მასპინძლობს და გამარჯვების შემთხვევაში, ლიდერ „დორტმუნდს" გაუთანაბრდება.

მიონხენგლადბახელებმა ამ სეზონის პირველ წრეში მთელი საფეხბურთო გერმანია (და არა მარტო გერმანია) გააოცეს და ბევრი ფიქრობდა, რომ მეორე წრეში საქმეები უკან-უკან წაუვიდოდათ, მაგრამ **ლუსიენ ფავრის** გუნდი ზამთრის შესვენების შემდეგ კიდევ უფრო უკეთ ათამაშდა. დღესდღეობით „გლადბახი" ბუნდესლიგის ყველაზე მომხიბვლელი გუნდია და საინტერესოა, გააგრძელებენ თუ არა **მარკო როისი** და კომპანია აღმაფრენას „ჰამბურგთან" საშინაო მატჩშიც.

აღსანიშნავია, რომ „გლადბახს" მიმდინარე სეზონში საკუთარ მოედანზე ჯერ ერთი თამაშიც კი არ წაუგია, პირველ წრეში კი, ჰამბურგში 1:0 მოიგო. დღეს ფავრი **პატრიკ ჰერმანს** ვერ გამოიყენებს, რომელიც როისთან, **მაიკ ჰანკესთან** და **ხუან არანგოსთან** ერთად, მიონხენგლადბახელთა ერთ-ერთი უმთავრესი შემოქმედია. სხვა მხრივ, ფავრს საკადრო პრობლემები არ აქვს და ყველა ლიდერი მწყობრში ჰყავს.

„ჰამბურგმა" წინა ტურში „ვერდერთან" უპრინციპულესი მატჩი (ჩრდილოეთის დერბი) წააგო (1:3) და ამის შემდეგ **ტორსტენ ფინკის** გუნდში ისევ ყველა იმედგაცრუებულია. თუმცა გასათვალისწინებელია ერთი რამეც: „ჰამბურგი" ამ სეზონში სტუმრად უფრო კარგად გამოიყურება (15 ქულა), ვიდრე შინ (11).

გოტფრიდ ლენცი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (დ) | 22 | 15 | 4 | 3 | 47-14 | 49 |
| 2. ბორუსია (მ) | 22 | 14 | 4 | 4 | 36-13 | 46 |
| 3. ბაიერნი | 22 | 14 | 3 | 5 | 49-14 | 45 |
| 4. შალკე | 22 | 14 | 2 | 6 | 50-28 | 44 |
| 5. ვერდერი | 22 | 10 | 6 | 6 | 37-36 | 36 |
| 6. ლევერკუზენი | 22 | 9 | 7 | 6 | 32-29 | 34 |
| 7. ჰანოვერი | 22 | 8 | 10 | 4 | 27-27 | 34 |
| 8. ვოლფსბურგი | 22 | 8 | 3 | 11 | 27-42 | 27 |
| 9. შტუტგარტი | 22 | 7 | 5 | 10 | 33-32 | 26 |
| 10. ჰოფენჰაიმი | 22 | 6 | 8 | 8 | 24-26 | 26 |
| 11. ჰამბურგი | 22 | 6 | 8 | 8 | 27-37 | 26 |
| 12. ნიურნბერგი | 22 | 7 | 4 | 11 | 21-32 | 25 |
| 13. მაინცი | 22 | 5 | 9 | 8 | 30-36 | 24 |
| 14. კიოლნი | 22 | 7 | 3 | 12 | 30-43 | 24 |
| 15. ჰერტა | 22 | 4 | 8 | 10 | 25-37 | 20 |
| 16. კაიზერსლაუტ. | 22 | 3 | 9 | 10 | 16-28 | 18 |
| 17. აუგსბურგი | 22 | 3 | 9 | 10 | 20-37 | 18 |
| 18. ფრაიბურგი | 22 | 4 | 6 | 12 | 27-47 | 18 |

**ბომბარდირები:** 18 – ჰუნტელაარი (შალკე), გომესი (ბაიერნი); 15 – პისარო (ვერდერი), პოდოლსკი (კიოლნი); 14 – ლევანდოვსკი (ბორუსია /დ/); 13 – როისი (ბორუსია /მ/).



მათზე დღესაც ბევრი იქნება დამოკიდებული: გლადბახის ლიდერები, მარკო როისი და ხუან არანგო

ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. ოთხშაბათის მატჩების მიმოხილვა

# გვჯერა, ბაზელო, გვჯერა!

## ფოგელს ძალიან კარგი გუნდი ჰყავს! ჰაინკესს სად[illegible]?

**ბაზელი–ბაიერნი 1:0**

„სტ. იაკობ პარკზე" დაფიქსირებული 0:1 „ბაიერნისთვის" ერთობ ცუდი ანგარიშია. „ბაზელი" კარგი გუნდია, რაც ამ სეზონში პირველად ოთხშაბათს ნამდვილად არ დამტკიცებულმა – ეს ჯერ კიდევ მაშინ დამტკიცდა, როცა შვეიცარიელებმა „ოლდ ტრეფორდზე" 3:3 ითამაშეს და მერე „მანჩესტერ იუნაიტედი" სულაც ჯგუფში ჩატოვეს. ასეთები კი შემთხვევით არ ხდება. ჰოდა, იმის თქმა გვინდა, რომ ბავარიელთა ოცნებას, გავიდნენ ფინალში, რომელიც მათ საკუთარ „ალიანს არენაზე" გაიმართება, წყალი შეუდგა. ამას პირველ რიგში ის გვაფიქრებინებს, რომ შეცვლაზე შესული **ვალენტინ შტოკერის** გოლამდე, „ბაზელმა" ორჯერ მოარტყა ბურთი ძელს (**დრაგოვიჩი** მე-16 წუთზე და **ალექს ფრაი** მე-19-ზე). ჩვენი გერმანელი კოლეგები წერენ, საფინალო სასტვენის შემდეგ „ბაიერნის" გასახდელიდან არასასიამოვნო ხმები გამოდიოდაო – როგორც ირკვევა, რეკორდმაისტერის ფეხბურთელებმა ერთმანეთს დასცხეს და ამ წაგებას ერთიმეორეს აბრალებდნენ...

### რეაქციები

**ჰაიკო ფოგელი** (ბაზელის მწვრთნელი): *„ჩემმა შეგირდებმა ყველაფერი ისე გააკეთეს, როგორც თამაშის წინ ვთქვით და ყველაფრით ძალიან კმაყოფილი ვარ. ვიცით, რომ წინ საპასუხო მატჩია და თუ მიუნხენშიც კარგად არ ვითამაშებთ, დღევანდელ გამარჯვებას ფასი დაეკარგება."*

**იუპ ჰაინკესი** (ბაიერნის მწვრთნელი): *„ჩემი აზრით, ეს მატჩი 0:0 უნდა დამთავრებულიყო, რაც ჩვენთვის საკმაოდ კარგი შედეგი იქნებოდა. სამწუხაროდ, ჩემი შეგირდები ვერ ახერხებენ იმას, რომ ფეხბურთი მშვიდი მიდგომით ითამაშონ და ტაქტიკურად დისციპლინირებულები იყვნენ. შესაბამისად, გვიჭირს."*

**ული ჰიონესი** (ბაიერნის პრეზიდენტი): *„პირდაპირ ამ მატჩის შემდეგ წაგების მიზეზების ძიებას აზრი არ აქვს, წინ უნდა გავიხედოთ. მთავარი ის არის, რომ მეოთხედფინალში გასვლის შანსი ჯერ კიდევ გვაქვს. მოედანი ცუდ მდგომარეობაში იყო, რის გამოც ჩვენს ტექნიკურ ფეხბურთელებს თავიანთი შესაძლებლობების გამოვლენა გაუჭირდათ. არ ვნერვიულობ და მჯერა, რომ მეოთხედფინალში გავალთ."*



ბაზელის მთავარი მწვრთნელი ჰაიკო ფოგელი საფინალო სასტვენის შემდეგ

**მანუელ ნოიერი** (ბაიერნი): *„რეკორდმაისტერი ასე არ უნდა თამაშობდეს. ამ დღეებში ჩვენ ყველამ გულახდილად უნდა დავილაპარაკოთ, რატომ ვუშვებთ ამდენ შეცდომას, რა არ არის წესრიგში."*

**TOP ფეხბურთელი**

**იან ზომერი (ბაზელი)**

შვეიცარიელთა მეკარემ მატჩის დასაწყისში **ფრანკ რიბერის** გოლი ორჯერ არ გაატანინა და ამით „ბაზელი" თამაშში დატოვა, საერთო ჯამში კი რვა დარტყმა მოიგერია. **ზომერი** პოზიციურადაც კარგად გამოიყურებოდა და საჯარიმოსაც იდეალურად ფლობდა. 23 წლის მეკარე უჩვეულოდ მშვიდი და თავდაჯერებულიც გახლდათ. შედეგიც სახეზეა: **ოტმარ ჰიტცფელდმა** იანი შვეიცარიის ეროვნულ ნაკრებში პირველად გამოიძახა.

**FLOP ფეხბურთელი**

**ტონი კროოსი (ბაიერნი)**

„ბაიერნის" გამთამაშებელი პირველ ტაიმში საერთოდ არ ჩანდა, რაც მისი ასაკის კვალობაზე ჯერ კიდევ დასაშვებია, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ „ბაიერნისთვის" ეს არაა ადვილი ასატანი. შეტევების ორგანიზებისას **კროოსს** საყრდენ ნახევარმცველებთან ან გარემარბებთან „სამკუთხედები" არ გამოსდიოდა, „კედლის გათამაშებაზე" ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მოკლედ, „ბაზელთან" „ბაიერნს" პლეიმეიკერი არ უვარგოდა. მართალია, ტონი მეორე ტაიმში უფრო მონდომებული ჩანდა, მაგრამ მაინც არაფერი გამოუვიდა და შეუმჩნეველი დარჩა მანამ, სანამ ჰაინკესმა **ივიცა ოლიჩით** არ შეცვალა. ეს კი ზედმეტად გვიან, მხოლოდ 89-ე წუთზელა მოხდა.

**ტაქტიკა-სტრატეგია**

ფოგელმა თავისი საყვარელი ტაქტიკა, კლასიკური 4-4-2 აირჩია და ძირითადი შემადგენლობა ზუსტად ისე დაალაგა, როგორც „იანგ ბოიზთან" (2:2) შეხვედრაში. „მანჩესტერ იუნაიტედთან" ისტორიულ 2:1-თან შედარებით, შვეიცარიულ გრანდში მხოლოდ ერთი ცვლილება ვიხილეთ: **კაბრალის** ნაცვლად **ჰუგელი** თამაშობდა.

ჰაინკესმაც „ბაიერნისთვის" ჩვეული 4-2-3-1 აირჩია და „ფრაიბურგთან" მატჩისგან განსხვავებით (0:0), **რობენი** და **ტიმოშჩუკი** სასტარტოში გაამწესა, **მიულერი** და **ლუის გუსტავო** კი სკამზე დატოვა. სხვათა შორის, სათადარიგოებს შორის იყო ახალგაზრდა **ჩანიც**.

**ანალიზი**

მიუნხენელებმა თამაში ორგანიზებულად დაიწყეს, მაგრამ შეტევაში ბოლო პასის გაკეთება უჭირდათ. არიენ რობენს ყოველთვის ორი ბაზელელი მეურვეობდა და ჰოლანდიელს ვერც თანაფლანგელმა **რაფინიამ** უშველა, რადგან ბრაზილიელი მეტწილად ძალიან უგულოდ მოქმედებდა. ამიტომაც იყო, ბავარიელებმა ორივე რეალური მომენტი სხვა ფლანგიდან რომ შექმნეს, მაგრამ რიბერის ორივეჯერ ზომერმა აჯობა.

სადღაც მე-10 წუთიდან „ბაზელი" „ბაიერნს" შეუთამამდა: შვეიცარიელებმა ნოიერის კარის წინ კომბინირება დაიწყეს და თამამად უნდა ვთქვათ, რომ უმთავრეს ინიციატორებად მოგვევლინენ. „ბაზელის" ფლანგის მცველები **პარკი** და **შტაინჰიოფერი** შეტევაში ძალიან მწარედ იკბინებოდნენ და ერთი მხრივ ფლანგის ნახევარმცველებს მშვენივრად ეხმარებოდნენ, მეორე მხრივ კი რიცხვობრივ უპირატესობას ქმნიდნენ, რითაც „ბაიერნის" ფლანგის მცველები **ლამი** და **რაფინია** მუდმივად დაწნეხილები იყვნენ. შესაბამისად, „ბაზელმაც" შექმნა მომენტები, ბურთი ნოიერის კარის ძელს ორჯერ მოხვდა და წესით, 20 წუთის შემდეგ ანგარიში 2:2 უნდა ყოფილიყო.

„ბაიერნმა" კი ვერა და ვერ შეძლო თამაშზე კონტროლის დამყარება. ჰაინკესის გუნდი მეტწილად უგულოდ მოქმედებდა, კროოსი „იმალებოდა", რობენი დაკეტილი იყო და რა გასაკვირია, რომ ბურთი **მარიო გომესამდე** არ აღწევდა. ლამი შეტევაში ნაღდად დიდი მონდომებით აქტიურობდა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში კარგად გახსნილი თანაგუნდელის პოვნა უჭირდა.

დაიწყო მეორე ტაიმი და „ბაზელის" დაცვის ხაზი ძველებურად კარგად ორგანიზებული დარჩა. შვეიცარიული გრანდი თავს ორი ხაზით იცავდა: ბავარიელებს ჯერ ოთხი ნახევარმცველი ებრძოდა, მერე კი ოთხი მცველი. „ბაიერნს" უჭირდა ამ ზღუდის გადალახვა. საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ 0:0 გარდაუვალი იყო, მაგრამ მერე შეცვლაზე შესულმა **ზუამ** გაინავარდა და **შტოკერი** მოძებნა, რომელმაც ნოიერს გაუტანა!

**დასკვნა**

მითი კი არა, რეალობა ყოფილა ის, რომ „ბაიერნს" შეტევაში უკვე აშკარად აღარ ულხინს - მიუნხენელებმა ეს მარცხი მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დააბრალონ. საპასუხო მატჩისთვის ფინალზე მეოცნებე რეკორდმაისტერი რთულ მდგომარეობაშია.

# მარსელში მეოთხედფინალი გამოჩნდა

**მარსელი–ინტერი 1:0**

„ოლიმპიკმა" სულ ბოლო წუთზე გატანილი გოლით მოიგო და უნდა ვალიაროთ, რომ ცოტათი გაუმართლა. „ინტერის" კრიზისი კი გრძელდება...

### რეაქციები

**დიდიე დეშამი** (მარსელის მწვრთნელი): *„ინტერი" 0:0-ით კმაყოფილი იყო, ჩვენ კი აუცილებლად მოგება გვინდოდა და კარგია, რომ გოლი ბოლო წუთზე გავიტანეთ, რადგან მილანელებს აღარ დარჩათ იმის დრო, რომ თამაშში დაბრუნებულიყვნენ. იმედია, კარს მილანშიც მშრალად შევინახავთ."*

**კლაუდიო რანიერი** (ინტერის მწვრთნელი): *„ბოლო დროს ხშირად არ გვიმართლებს და ფორტუნამ დღესაც ზურგი გვაქცია. გოლი მაშინ გავუშვით, როცა თამაში ფაქტობრივად დამთავრებული იყო. არადა, მანამდე თამაშს კარგად ვაკონტროლებდით."*

**TOP ფეხბურთელი**

**ანდრე აიუ (მარსელი)**

განელი გარემარბი თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში არ ჩანდა. **აიუს** 80 წუთის მანძილზე ხეირიანი არაფერი გაუკეთებია, ბოლო 10 წუთში კი მაგრად მოუმატა – ზუსტად იმ დროს, როცა მოედანზე ყველა დაღლილი იყო. შესაბამისად, სიმბოლური და ლოგიკურია ის, რომ გამარჯვების გოლი სწორედ მის ანგარიშზეა.

**ტაქტიკა-სტრატეგია**

ცხადი იყო, რომ „ბოლონიასთან" სამარცხვინო 0:3-ის შემდეგ **რანიერი** ბევრ რამეს შეცვლიდა და კლაუდიომ ოთხი ცვლილება განახორციელა: **ანდრეა რანოკიას, დავიდე ფარაონის, ნაგატომოსა** და **ჯამპაოლო პაცინის** ნაცვლად, „ნერაძურის" ძირითად შემადგენლობაში **ვალტერ სამუელი, კრისტიან კივუ, დეიან სტანკოვიჩი** და **მაურო სარატე** ვიხილეთ. ერთადერთი ცენტრფორვარდი **დიეგო ფორლანი** გახლდათ, მის უკან კი **ვესლი სნეიდერი** მოქმედებდა.

დეშამმა ტრადიციული 4-2-3-1 აირჩია, რომელშიც ერთადერთი ცენტრალური თავდამსხმელი, მოლოდინისამებრ **ბრანდაო** გახლდათ.

**ანალიზი**

მატჩის დასაწყისი ამ შეხვედრის მაყურებლებს კარგს არაფერს უქადდა, რადგან „მარსელის" ფეხბურთელები ზედმეტი აქტიურობისგან თავს იკავებდნენ და „ინტერიც" ძალიან პასიური იყო. თუმცა მილანელები მალე გააქტიურდნენ დადაეტყოთ, რომ ბოლოს და ბოლოს კრიზისის ამოფხვრა სურდათ. ფორლანს ანგარიშის გახსნა შეეძლო, როცა **კამბიასოს** ჩაწოდებას თერთმეტმეტრიანის ნიშნულთან მაკრატელათი გამოეხმაურა, მაგრამ ურუგვაელის დარტყმული **მანდანდამ** ჩინებული რეფლექსით მოიგერია. მასპინძლები კი უმეტესად შორეული დარტყმებით ცდილობდნენ გოლის გატანას, მაგრამ როგორც **შეირუს**, ისე **ასპილიკუეტას** მცდელობები კრახით დამთავრდა.



ანდრე აიუმ (მარცხნივ) ვესლი სნეიდერის ინტერს გამარჯვების გოლი 92-ე წუთზე გაუტანა

„ინტერი" ნელ-ნელა ათამაშდა და „მარსელი" აიძულა, დაცვისთვის მიეხედა. „ნერაძურის" ფეხბურთელები განსაკუთრებით კარგად ფლანგებიდან უტევდნენ და 37-ე წუთზე კამბიასოს პასით **სარატემ** ვერ იხეირა – ბურთი მანდანდას პირდაპირ ხელებში მიაწოდა. მანამდე „მარსელსაც" შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ **ნ'კულუმ** და ბრანდაომ ერთმანეთს ხელი შეუშალეს.

მეორე ტაიმში საგოლე მომენტებმა იკლო, სარისკო ორთაბრძოლებმა და შესაბამისად გაფრთხილებებმა კი იმატა (მაგალითად, **კივუ** საპასუხო მატჩისთვის დისკვალიფიცირებულია). მოწყენილი ქომაგები მხოლოდ მატჩის მიწურულსღა გამოფხიზლდნენ, როცა ენერგიული ფეხბურთი გაჩაღდა, მიზანს კი მარსელელებმა მიაღწიეს.

**დასკვნა**

„ინტერის" კრიზისი გრძელდება: რანიერის გუნდმა ბოლო ექვსი ოფიციალური მატჩიდან ხუთი წააგო. რაც შეეხება მარსელს: ამ თამაშიდან გამომდინარე, დეშამი და მისი შეგირდები ანგარიშით კმაყოფილები უნდა იყვნენ – მეოთხედფინალთან „მარსელი" უფრო ახლოსაა.

Oxford MEDICAL

ნუ გადადებ, დროულად მოირჩინე პროსტატის ადენომა!




**უროლოგია**
- პოტენციის აღდგენა ასაკისა და თანმდევი დაავადებების მიუხედავად
- ნაადრევი ეაკულაციის ეფექტური მკურნალობა.
- პროსტატიტის და პროსტატის ადენომის დიაგნოსტიკა და მკურნალობა

**გინეკოლოგია**
- სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები. საშვილოსნოს ყელის ეროზიის გამოკვლევა, კოლპოსკოპია და მკურნალობა უახლესი აპარატურით.
- პრემენსტრუალური ტკივილების მკურნალობა.
- მედიკამენტოზური აბორტი

**პროქტოლოგია**
- ბუასილის მკურნალობა უსისხლოდ. უმტკივნეულოდ, უოპერაციოდ, ლიგირების მეთოდით.
- სწორი ნაწლავის ნაპრალის ეფექტური მკურნალობა.

**კოსმეტოლოგია**
- ეპილაცია
- მკურნალობა ELOS უახლესი აპარატით

პროსტატის კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზია (გადიდება) არის დაავადება, რომელიც დაკავშირებულია მამაკაცის ასაკის მატებასთან. თუმცა თავისთავად იგი არ არის სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობა და ვლინდება ძირითადად შარდვის გამოყოფის (ნაკადის შესუსტება, ღამით შარდვა და სხვ) გაძნელებით, რაც აუარესებს ასაკოვან მამაკაცთა ცხოვრების ხარისხს. უმრავლესობა მამაკაცთა აზრით თითქმის ყველა მამაკაცს აქვს პროსტატის ადენომა. სინამდვილეში ავადდება ყოველი მე 5-6 მამაკაცი, თანაც დაავადება ვლინდება მხოლოდ მათ გარკვეულ ნაწილში. დროულად ჩატარებული გამოკვლევა და დაავადების ადრეულ სტადიაში გამოვლენილი პროსტატის ადენომა, ჩატარებული სწორი მედიკამენტოზური მკურნალობა (ექიმის კონტროლის ქვეშ) იძლევა ძალიან კარგ სასურველ სტაბილურ შედეგ. ხოლო გართულების შემთხვევაში (ძირითადად მკურნალობის დაგვიანების შედეგად) როგორიცაა შარდის შეკავება, სისხლიანი შარდი გარდაუვალი ხდება ოპერაციული მკურნალობა. დროულად მიმართეთ ექიმს რათა თავიდან აიცილოთ არასასურველი გართულებები.

**როდის**
გქონდათ ბოლოს სექსუალური კონტაქტი?
ჩაიტარეთ ბოლოს პროფილაქტიკური გამოკვლევა უროლოგთან ან სექსოლოგთან?
დაუსვით შეკითხვა თქვენს თავს ხომ არ გაქვთ ქლამიდოზი, მიკოპლაზმოზი, კანდიდოზი, ტრიქომონიაზი ან სხვა სქესობრივი გზით გადამდები დაავადება?იცით იცით თუ არა რომ
B ჰეპატიტი შეიძლება გავრცელდეს სქესობრივი გზითაც.

**თქვენ**
გაქვთ სექსუალური დაუკმაყოფილებლობის შეგრძნება?
დარწმუნებული ხართ, რომ თქვენი სექსუალური პარტნიორები „სტერილური" და ჯანმრთელები არიან?

**გსურთ**
დაივიწყოთ ინფექციები და ანთებითი პროცესები?
გაიუმჯობესოთ სექსუალური პოტენციალი?
დაიბრუნოთ ჯანმრთელობა და სრულფასოვანი ცხოვრება?
ჩაიტაროთ სრული გამოკვლევა და მკურნალობა მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთან?

**შეგიძლიათ**
არ იყოთ გაურკვევლობაში ყოველი სქესობრივი კონტაქტის შემდეგ!
გაიაროთ სრული გამოკვლევა და საჭიროების შემთხვევაში დაიწყოთ დროული მკურნალობა!
გაიგოთ თქვენი პრობლემების მიზეზი და შესძლოთ მათი მოგვარება!
არ დაკავდეთ თვიმკურნალობით,საქართველო-ისრაელის ერთობლივი კლინიკის "ოქსფორდ მედიქალ ჯორჯიას" სპეციალისტები მზად არიან მოაგვარონ თქვენი პრობლემები!

Oxford MEDICAL
©229 00 66; 229 47 47
მის: თბილისი, ფალიაშვილი 15
Email: oxford.tbilisi@gmail.com

დელიკატური პრობლემების დელიკატური გადაწყვეტა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული სპორტი

● თავისუფალი ჭიდაობა. საქართველოს ახალგაზრდული პირველობა

# ახალგაზრდების თავისუფალი ნაკრები

### გუნდი - ლიდერების გარეშე, მწვრთნელი - ახალი გუნდის შენებაში

დღეს სპორტკომპლექს „არენაში" საქართველოს ჩემპიონატი იწყება თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა შორის. ამ ასაკის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ნუგზარ სხირელი** დიდი დილემის წინაშეა - ერთის გარდა, შარშანდელი შემადგენლობიდან უკლებლივ ყველა ლიდერმა დაასრულა გამოსვლა ახალგაზრდებში და უფროსებში გადაინაცვლა. არადა, შარშან ამ გუნდმა შესანიშნავად იასპარეზა: ევროპის ჩემპიონატზე ექვსი მედალი მოიპოვა - ორი ოქრო, ერთი ვერცხლი და სამი ბრინჯაო, მსოფლიოზე კი ხუთი ჯილდო ირგუნა - ორ-ორი ოქრო-ვერცხლი და ერთიც ბრინჯაო. ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონები ან უკვე ეროვნული ნაკრების ლიდერები და მომავალი ოლიმპიადის ფავორიტები **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55) და **დავით მარსაგიშვილი** (84) გახდნენ. ევროპაზე ვერცხლის მედალი **ბექა პეტრიაშვილმა** (74) მოიპოვა, ბრინჯაო - **თენგიზ ჩოჩიშვილმა** (60), **თედორე ებანოიძემ** (96) და მძიმეწონოსანმა **გენო პეტრიაშვილმა**, მსოფლიოზე მეორეზე **მამუკა კორძაია** (96) და უკვე მძიმე წონაში გადანაცვლებული ებანოიძე გავიდნენ, **დავით გალეგაშვილი** (66) კი მესამე იყო. მედლებს რომ თავი დავანებოთ, შარშან სხირელს ვარსკვლავები ჰყავდა - ხინჩეგაშვილი და მარსაგიშვილი, ასეთი გამორჩეული ფალავნები არც შარშანწინ აკლდა, ახლა კი ყველა ერთბაშად გამოეცალა! ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელებს თაობათა ცვლა ყოველ სეზონში აფთარივით უსაფრდება და ახალი ნაკრების მშენებლობა მათთვის ნამდვილად არაა უცხო, მაგრამ ასეთი დანაკლისის სრულფასოვნად ანაზღაურება სხირელის დარ გამოცდილ სპეციალისტსაც გაუჭირდება, მაგრამ სხვა გზაც არაა.

თუმცა მწვრთნელი არც მთლად უიმედოდ უნდა იყოს, ერთი იმდენად გამორჩეული მონაცემების ფალავანი ჰყავს გუნდში - სწორედ შარშანდელიდან შემორჩენილი - „უკანასკნელი მოჰიკანი" გენო პეტრიაშვილი. ის თავიდანვე გამოირჩეოდა ფიზიკური მონაცემებით, თან სხირელის პირადი მოსწავლეა და არც მეტი, არც ნაკლები, მწვრთნელი მომავალ ოლიმპიურ ჩემპიონად მოიაზრებს. ალბათ, „ძალიც შესწევს ქადილისა", თუმცა შარშან ჭაბუკებში მსოფლიოს ფინალში ძალზე დასანანი შეცდომა დაუშვა - ამერიკელ **ადამ კოონთან** და დუბლის შანსი დაკარგა... იმედია, მომავალში უფრო დაკვირვებით იჭიდავებს და გაამართლებს ავანსებს, მით უფრო, რომ გამოცდილებაც მოემატება, თორემ ჯერჯერობით დიდი უცხოური პრაქტიკით ვერ დაიკვეხნის. იმ მარცხის მიუხედავად, შარშანდელი სეზონი მისთვის მაინც წარმატებული იყო - ჭაბუკებში ევროპის ჩემპიონი გახდა, მერე კი სხირელსაც გაუმართლა ნდობა, როცა ახალგაზრდულ ნაკრებშიც მიიწვია და ევროპის პირველობა აჭიდავა - მესამეზე გავიდა. ამ წარმატების შემდეგ პეტრიაშვილს ახალგაზრდულ მსოფლიოზე გამოსვლაც შეეძლო, მაგრამ სხირელმა 16-წლიანებს დაუბრუნა, რადგან ასაკითაც მათ ეკუთვნოდა თან წარმატება იმათაც ფრიად სჭირდებოდათ, იქ კი მასა და სრულ ტრიუმფს შორის ერთი დასანანი შეცდომა ჩადგა.

თაობათა ცვლამ ასე მწვავედ კი გადაგვიქროლა და მწვრთნელსაც საქმე გაუასკეცა; სამაგიეროდ, სხვებს გაუხსნა ნაკრების კარი. ყოველ შემთხვევაში, გუნდში მოსახვედრად და ევროპა-მსოფლიოზე საჭიდაოდ მათ მეტი შანსი ეძლევათ.

„არენაში" შეხვედრები 11 საათზე დაიწყება. ხვალ 50, 60, 74 და 96-ის ფალავნები იჭიდავებენ, დანარჩენები კი ზეგ გაარკვევენ ერთმანეთში მედალოსანთა ვინაობას.

**ირაკლი თავაძე**

● მშვილდოსნობა. საქართველოს ჩემპიონატი

# მშვილდოსნების ზამთარი



ამ უქმეებზე დუშეთის ოლიმპიური ბაზა მშვილდოსნობაში საქართველოს ზამთრის პირველობას უმასპინძლებს. წინასწარი მონაცემებით, 18-მეტრიან დისტანციაზე მშვილდს დაახლოებით 32-მდე მოისრე მოზიდავს, თუმცა მოსალოდნელია, მათი რიცხვი გაიზარდოს კიდეც. მონაწილეთა უმეტესობა თბილისიდანაა, რეგიონებიდან კი ჯერჯერობით მხოლოდ აჭარა და ასპინძაა წარმოდგენილი.

შეჯიბრება ოთხ ნაწილად ჩატარდება - ბიჭებში და გოგოებში, ქალებსა და ვაჟებში ქვეყნის ყველა წამყვანი მშვილდოსნის მონაწილეობით. დღეს საკონტროლო სროლებია, ხვალ საკვალიფიკაციო ეტაპის შეხვედრები გაიმართება, კვირას კი ფინალური სერია ჩატარდება.

ცვლილებაა ნაკრების მოსამზადებელ გეგმაში. ადრე გაცნობეთ, რომ კორეელ მწვრთნელს **ან ჰიუნ სანს** ქალთა გუნდის წაყვანა ბანგკოგში სურდა აზიის თასზე, თუმცა საბოლოოდ ესპანეთში მიდიან, ოღონდ იქ ქალებთან ერთად ბიჭების გუნდიც წავა. ჩვენების უმთავრესი მიზანი 25-26 მაისს გასამართავი ევროპის ჩემპიონატი და ივნისში ამერიკაში ჩასატარებელი სალიცენზიო ტურნირია (საგზური ევროპაზეც გაიცემა), ამ შეჯიბრებებზე კი ბიჭების გუნდის გაგზავნაც იგეგმება. ეს მთლიანად ახალგაზრდული ნაკრებია, თუმცა მათ შედეგებს იმდენად მოუმატეს, კორეელის აზრით, იმსახურებენ ნდობას, უფროსთა შეჯიბრებებში გამოცადოს.

თვის ბოლოსთვის თბილისში **იულია ლობჟანიძის** ჩამოსვლასაც ელოდებიან ლვოვიდან, რადგან მისი უკრაინიდან გადმობირების საკითხი დადებითად გადაწყდა.

**ირაკლი თავაძე**

● რეგიონი. ინფრასტრუქტურა





# ქუთაისში სპორტული ობიექტების რეაბილიტაცია დაიწყო

ქუთაისში სპორტული ინფრასტრუქტურის სრული რეაბილიტაცია დაიწყო. უკვე გარემონტდა ჭიდაობის, ფეხბურთის, ხელბურთის, სტრონგმენების, რაგბის და ფარიკაობის სპორტული სკოლები. მალე დასრულდება ტყვიის მსროლელთათვის ორი დარბაზისა და ადმინისტრაციული ნაწილის სარემონტო სამუშაოები. სპორტული სკოლები ახალი სპორტული ფორმებითა და საოფისე ინვენტარით აღიჭურვა.

სპორტული ტრადიციების აღორძინების მიზნით ქუთაისში, ნიკეას ქუჩაზე არსებულ სპორტსკოლაში პანსიონი გაიხსნა, სადაც განსაკუთრებული ნიჭის 50 ახალგაზრდა სპორტსმენს უფასოდ ვარჯიშის, ცხოვრებისა და დასვენების განსაკუთრებული პირობები ექნება. პანსიონში იმერეთის რაიონებიდან ჩამოსული მოზარდები გადამზადდებიან.

სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისთვის 600 ათასი ლარი დაიხარჯება. თანხა ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო.

სპორტულ სკოლებში შესრულებული სამუშაოები იმერეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა, გუბერნატორმა **ლაშა მაქაცარიამ** ქუთაისის მერ **გიორგი თევდორაძესთან** და ქალაქის სპორტის მესვეურებთან ერთად დაათვალიერა.

„ქუთაისი განსაკუთრებული სპორტული ტრადიციებით გამოირჩევა. სწორედ ამ ტრადიციების გაგრძელებისა და პერსპექტიული სპორტსმენების წახალისების მიზნით დავაარსეთ პანსიონი. პანსიონის არსებობა საშუალებას იძლევა რეგიონში მოეწყოს სხვა ქვეყნების ნორჩ სპორტსმენთა საწვრთნელი შეკრებები, რაც ხელს შეუწყობს ქუთაისის სპორტულ ცენტრად ჩამოყალიბებას",- განაცხადა გუბერნატორმა.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

● ძიუდო

# მართვეში ისრაელიდანაც ჩამოვიდნენ

**ნაძალადევში, „მართვეს" სპორტსკომპლექსში ჩატარდა უმცროსი ასაკის ჭაბუკ ძიუდოისტთა საქართველოს ტურნირი ორ ასაკობრივ ჯგუფში 410 მოზარდის მონაწილეობით. მათ შორის იყო ექვსი ჭაბუკი ისრაელიდან...**

**კვარცხლბეკი**

**1997-1998 წლებში დაბადებულები**

**42 კგ.** 1. დავით ჩაგელიშვილი (ქარელი), 2. ირაკლი ხერგიანი, 3. გიორგი ნიაზაშვილი, 3. გიორგი გივიაშვილი (სამივე - თბილისი).

**46 კგ.** 1. ნიკა კაკაშვილი, 2. აკაკი ჯანეზაშვილი, 3. გელა გარაყანიძე (სამივე - თბილისი), 3. გიორგი მეტრეველი (წეროვანი).

**50 კგ.** 1. ლაშა დუდაშვილი, 2. ბექა ასლანიშვილი, 3. შოთა ბესიაშვილი, 3. ილია მიშელაშვილი (ყველა - თბილისი).

**55 კგ.** 1. ნიკა ლაბაძე (თბილისი), 2. ლუკა მაისურაძე (ხაშური), 3. ტარიელ სურმავა, 3. ზაურ კენჭაძე (ორივე - თბილისი).

**60 კგ.** 1. ალეკო ყალიბეკაშვილი, 2. ნიკა შუბითიძე, 3. გოგა ქევხიშვილი, 3. ნიკა მაზანიშვილი (ყველა - თბილისი).

**66 კგ.** 1. ნოდარ წამალაიძე, 2. ტატო კაციაშვილი, 3. ბესო მუმლაძე, 3. გაგა ლიჩელი (ყველა - თბილისი).

**73 კგ.** 1. გიორგი მულაძე (ქარელი), 2. ელგუჯა ქმუტაშვილი (თბილისი), 3. ნაუმი მამისთვალოვი (ისრაელი), 3. დავით იმერლიშვილი (ქარელი).

**+73 კგ.** 1. დიზი თომაძე (თბილისი), 2. ვაჟა კაკილაშვილი (წეროვანი), 3. ნიკა გელაშვილი (ქარელი), 3. გიგა ვახანია (თბილისი).

**1999-2000 წლებში დაბადებულები**

**26 კგ.** 1. გიორგი ლურსმანაშვილი (ქარელი), 2. გიორგი მეხრიშვილი (ხაშური), 3. გაგა ჭულუხაძე (გორი), 3. მინდია ბანძელაძე (თბილისი).

**29 კგ.** 1. ზურაბ ბეჟანიშვილი, 2. ლუკა კაპანაძე (ორივე - მარნეული), 3. არმაზ არჩვაძე, 3. გიორგი იანტბელიძე (ორივე - გორი).

**32 კგ.** 1. გიორგი წამალაიძე (თბილისი), 2. გიორგი კუთხაშვილი, 3. თორნიკე მარგველაშვილი (ორივე - ქარელი), 3. გიორგი მეგრელიშვილი (გორი).

**35 კგ.** 1. ლაშა ონიანი (მარნეული), 2. საბა კაპანაძე (თბილისი), 3. ერეკლე ოძელაშვილი (წყნეთი), 3. შოთა ხაბალაშვილი (ქარელი).

**38 კგ.** 1. საბა გრიგალაშვილი, 2. გიორგი შერეზადაშვილი (ორივე - თბილისი), 3. გუგა მღებრიშვილი (საგარეჯო), 3. ჯემალ ბერიანიძე (გორი).

**42 კგ.** 1. ალეკო მამიაშვილი, 2. ალეკო კაიდარაშვილი (ორივე - გორი), 3. ვაჟა მარჯანიძე (ქარელი), 3. გიორგი თამლიანი (კრწანისი).

**46 კგ.** 1. გოგა გოგაშვილი (თბილისი), 2. ვანო ხარიბეგაშვილი (გორი), 3. ბექა მულაძე (ქარელი), 3. თორნიკე გადრანი (თბილისი).

**50 კგ.** 1. თორნიკე ფრუიძე, 2. ჯაბა კოლხიტაშვილი, 3. ბექა ხურცილავა, 3. ნოდარ ბერიაშვილი (ყველა - თბილისი).

**55 კგ.** 1. ზვიად თევდორაშვილი, 2. გიგი გელაშვილი (ორივე - თბილისი), 3. ნიკა შერეზადაშვილი (ქარელი), 3. ტარიელ ბუქულაშვილი (გორი).

**60 კგ.** 1. გელა ზაალიშვილი (თბილისი), 2. რეზო თაბუკაშვილი (გორი), 3. ირაკლი კოხტაშვილი, 3. გიგა ყავრიშვილი (ორივე - თბილისი).

**66 კგ.** 1. გიგა გუტაშვილი, 2. გიორგი მამარდაშვილი, 3. ალეკო ჩაჩიბაია, 3. თემო თოლორდავა (ყველა - თბილისი).

**+66 კგ.** 1. ლევან ჭელიძე (თბილისი), 2. ჯაბა ქარელიშვილი (გორი), 3. აკაკი ჯელაძე, 3. გიგა ხარიაშვილი (ორივე - თბილისი).

**გაბრიელ ბარჯაძე**

● სამბო

# ხუთი მედლით მინსკიდან

მინსკში ნუხელ დასრულდა სამბოში ბელარუსის „პრეზიდენტის თასზე" A კატეგორიის საერთაშორისო ტურნირი. საქართველოს ნაკრებმა მწვრთნელების **გიორგი ჩიტაშვილისა** და **კობა ედიშერაშვილის** ხელმძღვანელობით თითო პირველი-მეორე და სამი მესამე ადგილი მოიპოვა.

საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე დადგა **დავით კარბელაშვილი** (90 კგ), მეორე იყო **ნიკოლოზ კუცია** (82), მესამე - **გიორგი ბაინდურაშვილი** (82), **ლევან ნახუცრიშვილი** (68) და **ბესარიონ ბერულავა** (74). მინსკში სულ 13 სპორტსმენი გამოდიოდა. ეს ტურნირი შედიოდა 17-21 მაისს მინსკში გასამართავ ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ პროგრამაში.

**გაბრიელ ბარჯაძე**



საქართველოს ნაკრები ასეთი შემადგენლობით ასპარეზობდა მინსკში. ლევან ნახუცრიშვილი (I რიგში მარცხნიდან - პირველი), გიორგი ბაინდურაშვილი (I რიგში მარცხნიდან - მეორე), ბესარიონ ბერულავა (II რიგში მარცხნიდან - პირველი), ნიკოლოზ კუცია (II რიგში - შუაში)

ჭადრაკი

# საქართველო ისევ ეპიცენტრად რჩება

## წლეულს სწრაფ ჭადრაკსა და ბლიცში მსოფლიოს ჩემპიონატებს ვუმასპინძლებთ

ამას წინათ გაცნობეთ, რომ ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ (**ფიდე**) სწრაფ ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარების უფლება გადასცა პროფესიონალ მოჭადრაკეთა ასოციაციას, რომლის პრეზიდენტი, 2001 წლის ევროპის ჩემპიონი **ემილ სუტოვსკი** (ისრაელი) რამდენიმე დღეა, თბილისში იმყოფება. საქართველოს დედაქალაქს იგი ქალთა შორის ასოციაციის სუპერთასის გათამაშებასთან დაკავშირებით ეწვია და მისი დამთავრების შემდეგ ორიოდე დღით შეყოვნდა ფრიად მნიშვნელოვანი საკითხის შესათანხმებლად. ემილ სუტოვსკი საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტ **გია გიორგაძესთან** ერთად გუშინ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ **ვლადიმერ ვარძელაშვილსა** და მინისტრის მოადგილე **გია გალდავას** შეხვდა. დახურულ კარს მიღმა გამართული ბჭობის შემდეგ გაცხადდა, რომ წლეულს, დაახლოებით გაზაფხულის მიწურულსა და ზაფხულის დასაწყისში, საქართველო სწრაფ ჭადრაკსა და ბლიცში ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატებს უმასპინძლებს.

**ვლადიმერ ვარძელაშვილი:** *„ემილ სუტოვსკისთან შეხვედრისას გადაწყდა, რომ საქართველოში სწრაფ ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონატი ჩატარდება. თანხმობა მიღებულია. ასე რომ, ეს საკითხი გადაწყვეტილად შეგვიძლია მივიჩნიოთ. დარჩენილია ფორმალური საკითხების შეთანხმება. ჩვენთან ჩამოვლენ მსოფლიოს საუკეთესო მოჭადრაკეები, რაც საქართველოში სპორტის ამ სახეობის პოპულარობას კიდევ უფრო გაზრდის და ეს შეჯიბრება ქვეყნისთვისაც მნიშვნელოვანი და სასიკეთო იქნება“.*

**ემილ სუტოვსკი:** *„საქართველომ უმაღლეს დონეზე უმასპინძლა სწრაფ ჭადრაკში „ვარსკვლავთა ტურნირს“, რომელშიც 9 ქვეყნის 12 საუკეთესო დიდოსტატი მონაწილეობდა. ახლა გადავწყვიტეთ, სწრაფ ჭადრაკსა და ბლიცშიც მსოფლიოს ჩემპიონატები თქვენს ქვეყანაში გაიმართოს. ამგვარი ღონისძიება ოფიციალურად პირველად ჩატარდება და ბევრ ქვეყანაში უკვე დიდი რეზონანსიც გამოიწვია. მასპინძლობა უკრაინასაც სურდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც „შერატონ მეტეხი პალასში“ სუპერთასის გათამაშება ვნახე, პირადად მე საქართველოს ვემხრობი. ვიმედოვნებ, რომ პროფესიონალ მოჭადრაკეთა ასოციაციის საპრეზიდენტო საბჭოს წევრებიც მხარს დამიჭერენ. დარწმუნებული ვარ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატებსაც უმაღლეს დონეზე ჩაატარებთ, რადგან ჭადრაკის ეროვნულ ფედერაციას მხარში უდგას სახელმწიფო. როგორც გითხარით, ეს იქნება ოფიციალური შეჯიბრება. მოჭადრაკეებთან ერთად თქვენს ქვეყანას უამრავი სტუმარი ეწვევა, მათ შორის - მასმედიის წარმომადგენლები და საქართველო კიდევ ერთხელ მოექცევა მსოფლიოს ყურადღების ცენტრში“.*



მარცხნიდან - გია გიორგაძე, ემილ სუტოვსკი, ჯამლეტ ხუხაშვილი, ვლადიმერ ვარძელაშვილი, გია გალდავა

**- როგორი სისტემით გაიმართება შეჯიბრება და მასში ვინ იასპარეზებს?**

- ჩემპიონატები შვეიცარიული სისტემით ჩატარდება, მაგრამ ეს არ იქნება ღია ტურნირი, რომელშიც ყველა მსურველს შეუძლია მონაწილეობა. მედლებისთვის დაახლოებით 70-100 მოჭადრაკე იბრძოლებს. მათი რაოდენობა, გარკვეულწილად, ჩატარების ვადებზეცაა დამოკიდებული. საჭადრაკო ქვეყნებს თითო წარმომადგენელი ეყოლება, რომლებსაც რეიტინგით უძლიერესი დიდოსტატები დაემატებიან. ასეთ შემთხვევებში მასპინძელ ქვეყანას 2-3 მონაწილის ყოლის უფლებას აძლევენ, საქართველოს კი კვოტას 10 მოჭადრაკემდე გავუზრდით, რადგან თქვენს ქვეყანას ბევრი ძლიერი დიდოსტატი ჰყავს, რაც თბილისში გამართულმა ტურნირმაც დაამტკიცა - ელიტის წარმომადგენლებთან პაექრობაში ნანა ძაგნიძემ მთავარი პრიზი მოიპოვა, მაია ჩიბურდანიძემ კი მეხუთე ადგილი დაიკავა.

**- დროის კონტროლსა და საპრიზო ფონდზეც ხომ ვერ გვეტყვით რამეს?**

- სწრაფ ჭადრაკში დროის ლიმიტი იქნება 20 წუთს + 5 წამი ან 25 წუთს + 10 წამი და, ალბათ, ხუთწუთიანი ბლიცები. ყველაფერი ეს ჩვენი ასოციაციის საპრეზიდენტო საბჭოს სხდომაზე გაირკვევა. რაც შეეხება საპრიზო ფონდს, მისი მინიმალური რაოდენობაა 100.000 დოლარი. არ არის გამორიცხული, სპონსორებმა ეს თანხა გაზარდონ.

**გია გიორგაძე:** *„საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ სახელმწიფოს მხარდაჭერითა და თანადგომით რამდენიმე მნიშვნელოვანი შეჯიბრება ჩაატარა მაღალ დონეზე, მათ შორის - ახალგაზრდების მსოფლიოს და ევროპის პირველობები ბათუმში, ქალთა ინდივიდუალური ევროპის ჩემპიონატი და პროფესიონალ მოჭადრაკეთა ასოციაციის სუპერთასის გათამაშება თბილისში, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში.“ ტრაბახად თუ არ ჩამითვლით, გეტყვით, რომ ასოციაციის თასზე არა მარტო სპორტული კუთხით გავიმარჯვეთ, არამედ, საერთაშორისო მედიისა და სტუმართა შეფასებით, ასპარეზობის ორგანიზებაშიც გვერგო ჩემპიონობა.*

*სწრაფ ჭადრაკსა და ბლიცში ქალთა მსოფლიოს ჩემპიონატები ჩვენთვის ახალი გამოწვევაა - ნდობაც და დიდი პასუხისმგებლობაც, მაგრამ ჩვენს ფედერაციაში შეიქმნა ის გუნდი, რომელსაც ხელეწიფება ნებისმიერი დონის ტურნირის ჩატარება, თუნდაც იმიტომ, რომ სახელმწიფო უდგას გვერდით. ახლაც სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ დაგვიჭირა მხარი და ეს კონკურენციაში გასამარჯვებლად ძალიან ბევრს ნიშნავს. შეჯიბრებას, ალბათ, გაზაფხული-ზაფხულის მიჯნაზე გავმართავთ, უფრო - ბათუმში. თუმცა ეს დეტალები მოგვიანებით დაზუსტდება. ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატებიც ისეთივე დასამახსოვრებელი გახდეს ყველასთვის, როგორიც ასოციაციის თასის გათამაშება“.*

**- უახლოეს ტურნირებზეც მინდა გკითხოთ - მხედველობაში მაქვს ქალთა და ვაჟთა ევროპის ჩემპიონატები.**

*- პირველი მარტიდან სტამბოლში კონტინენტის უძლიერესი მოჭადრაკე ქალბატონები შეიკრიბებიან. საქართველოს წარმომადგენლობითი დესანტი ეყოლება. ეროვნული ნაკრების წევრებს - ნანა ძაგნიძეს, ბელა ხოტენაშვილს, ნინო ხურციძესა და ლელა ჯავახიშვილს ჩვენი ფედერაცია დააფინანსებს; ბათუმელების - სალომე მელიას, ნინო ბაციაშვილისა და მირანდა მიქაძის მგზავრობის ხარჯებს აჭარა გაიღებს, ხოლო მერი არაბიძისას - ქუთაისის მერია. დიდოსტატები - სოფიო გვეტაძე და სოფიო გურამიშვილი შეჯიბრებაზე საკუთარი სახსრებით წავლენ. 19 მარტიდან 1 აპრილამდე ბულგარეთი ვაჟთა ინდივიდუალურ ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. იქ სამი წარმომადგენელი გვეყოლება - ევროპის ორგზის პრიზიორი და სწრაფ ჭადრაკში კონტინენტის ჩემპიონი ბაადურ ჯობავა, ლევან ფანცულაია და მიხეილ მჭედლიშვილი. მათ დაფინანსებასაც სახელმწიფო იღებს საკუთარ თავზე. ვიმეოდოვნებთ, რომ ჩვენი დიდოსტატები ევროპის ამ ჩემპიონატებზეც გვასახელებენ.*

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

სამთო თხილამურობა

# მხოლოდ ოცდამეხუთე

ავსტრიულ ანაბერგში გუშინ სამთომოთხილამურეებმა მოიყარეს თავი. ისინი სლალომში შეეჯიბრნენ ერთმანეთს. მოასპარეზეთა შორის იყო **ჯაბა გელაშვილი,** რომელმაც 1.46,66-ით ოცდამეხუთე ადგილი დაიკავა. კვარცხლბეკის პირველ-მეორე საფეხურებზე მასპინძლები - მარკ დიგრუბერი (1.36,97) და მანუელ ფელერი (1.37,00) ავიდნენ, მესამე იყო ბრიტანელი დევიდ რიდინგი (1.27,26).

**ვაჟა დანელია**

ექსტრემი

# რალი ბაკურიანში

საქართველოს ექსტრემალური სპორტის ეროვნული ფედერაციის ორგანიზებით 26 თებერვალს ბაკურიანში „ოფროუდ რალი“ გაიმართება. ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი და თურქი ექსტრემალები „ოფროუდ ტრიალში“, თოვლმავლებით რბოლასა და მოტოკროსში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

**ვაჟა დანელია**



## მილოცვა

საქართველოს სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფესიული კავშირი, იროდი ბეჟაშვილი, ბადრი ქარქაშაძე, ამირან ზუხბაია, ბადრი მაჭავარიანი, გივი გურულიშვილი, ვიტალი გრძელიშვილი დაბადებიდან 60 წელს ულოცავენ საჩხერის კომპლექსური სპორტსკოლის დირექტორს **ჯონი მიქაძეს.**

საფლავნოს ფოტომატიანე



გიორგი (მარცხნივ) და ანზორ თენაძეები

ქართული სპორტის ისტორიაში მრავლად ყოფილან და დღესაც არიან ძმები, რომლებსაც სპორტის სახვადასხვა სახეობაში არაერთი წარმატება მოუტანიათ ქვეყნისთვის და გაუხარებიათ გულშემატკივრების გულები. ძმები სპორტსმენებიდან, სარბიელზე გამოსვლისას, ქართულ და არა მხოლოდ ქართულ სპორტში თავისი კვალი დატოვეს გორის ძიუდოს სკოლის აღზრდილებმა ძმებმა **გიორგი და ანზორ თენაძეებმა**. ისინი ერთ გუნდშიც გამოსულან ტატამზე და წარმატებაც არაერთხელ უზეიმიათ ერთად. სურათი, რომელსაც დღეს გთავაზობთ, გადაღებულია 1984 წელს. სახლიკაცებმა სწორედ იმ წელს ერთად იზეიმეს წარმატება სტუდენტთა მსოფლიო თამაშებზე. მანამდე და შემდეგაც იყო არაერთი გამარჯვება საკავშირო თუ საერთაშორისო სარბიელზე. გიორგი 1988 წელს სეულის ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი გახდა.

დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგ ძმებმა ითავეს გორში და, საერთოდ, შიდა ქართლში ძიუდოს ფუძემყარი მემკვიდრეობის გაგრძელება. მათი გარჯის შედეგიცაა, რომ ამ რეგიონში ძიუდოს ტრადიციები კიდევ უფრო მტკიცდება და მყარდება. დღეს მათი შეგირდებიც იპყრობენ ახალ სპორტულ სიმაღლეებს.

**გურამ სალარაძე**

## კითხვა-პასუხის „ალიას“ საიტი




**შეკითხვა:** ვიცით, რომ დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი, **პაპუნა დავითაია** და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი, **ვლადიმერ ვარძელაშვილი** საქართველოს მთავრობის კანცელარიაში არაოლიმპიური ფედერაციების ხელმძღვანელებს შეხვდნენ. შეხვედრაზე გაეცნენ კანონს „უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ“, რომელიც საქართველოს პარლამენტს დაუმტკიცებია. გვაინტერესებს, როდის ამოქმედდება ეს კანონი და რა არის მასში ჩაწერილი სპორტთან მიმართებაში?

**შალვა და ცაცო მამისთვალოვები**
აშდოდი (ისრაელი)

**პასუხი:** დიახ, კანონი მიღებულია 2011 წლის 24 ნოემბერს და მას ხელი უკვე მოაწერა საქართველოს პრეზიდენტმა **მიხეილ სააკაშვილმა.** კანონი ძალაში შევა 2012 წლის 1 მარტიდან.

კანონის ის მუხლი, რომელიც თქვენ გაინტერესებთ, ასეა ჩამოყალიბებული:

**მუხლი 11. უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის უფლებები**

1. უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სტატუსის მქონე სხვა სახელმწიფოს მოქალაქე, რომელიც კანონიერი საფუძვლით იმყოფება საქართველოს ტერიტორიაზე, სარგებლობს „უცხოელთა სამართლებლივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით. გარდა ამისა, მას აქვს შემდეგი პრივილეგიები:

ა) სპორტის შესაბამის სახეობაში საერთაშორისო ფედერაციის თანხმობის შემთხვევაში უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს სპორტულ შეჯიბრებაში საქართველოს სახელით, ეროვნული ნაკრები გუნდის შემადგენლობაში.

■ ■ ■

**შეკითხვა:** ამბობენ, რომ საქართველოს სპორტსმენებს ინგლისური ენის სასურველ დონეზე შესწავლაში დაეხმარება ამერიკული საგანმანათლებლო ცენტრი. სად შეიძლება ჩაწერა, ვის მივაკითხოთ?

**ლაშა ცერაძე**
თბილისი

**პასუხი:** ასეთი შეთანხმება მართლაც არსებობს. ოღონდ სწავლება დაიწყება მხოლოდ კარატისტებისთვის. ამის თაობაზე შესაბამისი მემორანდუმი გაფორმდა ამერიკის საგანმანათლებლო ცენტრ „LANGATE“-ს და საქართველოს კარატეს ეროვნულ ფედერაციას შორის.

■ ■ ■

**შეკითხვა:** როგორც ცნობილია, 29 თებერვალს საქართველოს საფეხბურთო ნაკრები ამხანაგურ მატჩს გამართავს ალბანეთის ნაკრებთან თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე. მართალია თუ რა, რომ მატჩზე უფასოდ დასწრებაა გამოცხადებული?

**თორნიკე ცინცაძე**
რუსთავი

**პასუხი:** დიახ, მართალია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

სუპერლიგა. XIV ტურის რჩეული

# 35 და 3-ქულიანი გამარჯვება




მე-14 ტურის ცენტრალური მატჩი („ოლიმპი"-"შსს აკადემია") საინტერესო სანახავი გამოდგა. ოლიმპელმა გამთამაშებელმა ლაშა გამყრელიძემ 35 ქულა ჩააგდო და თანაგუნდელებს სამი ქულის სხვაობით გაამარჯვებინა.

- მატჩს დანაკლისით შევხვდით, არ თამაშობდა სლიუკა, ხოლო ტუტუსს კოჭი ჰქონდა გადაბრუნებული, მაგრამ მოედანზე მაინც გავიდა. ამის მიუხედავად, გუნდმა მობილიზება მოახერხა და კარგი დაცვის წყალობით გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა.

**- მეტოქეს ორიგინალური ტაქტიკა ჰქონდა, პერიმეტრიდან სროლისთვის სივრცეს გაძლევდა...**

- ეს მათი მწვრთნელის დავალება იყო, მოწინაალმდეგე მცველი შორიდან მეთამაშებოდა, ალბათ იმიტომ, რომ ფარქვეშ გარღვევები არ განმეხორციელებინა. ცხადია, ყოველი შეტევისას ვერ ვისროდი, თუმცა საბოლოოდ 35 ქულა მომიგროვდა და რაც მთავარია, გავიმარჯვეთ.

**- შეხვედრა იმითაც იყო გამორჩეული, რომ ორივე გუნდი დიდი მონდომებით იცავდა ფარს. სამნამიან ზონაში შეღწევა მართლაც რთული იყო.**

- მოხსნებში არაერთ მეტოქესთან წაგვიგია, ასე მოხდა „შსს აკადემიასთანაც". თუმცა, „ოლიმპი" შეთამაშების გზაზეა, ერთი მეფარე იანვარში დაგვემატა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გამოსასწორებელი გვაქვს პერიმეტრიდან ტყორცნის სიზუსტეც. ამ მხრივ ჩავარდნა „ქუთაისთან" სათასო მატჩში გვქონდა და დავმარცხდით კიდეც. ვიმედოვნებ, ნელ-ნელა თამაშს კიდევ უფრო გავაუმჯობესებთ.

**- შაბათს „სოხუმს" დაუპირისპირდებით...**

- აქტიურად ვემზადებით, როგორც ტაქტიკურად, ფიზიკურად, ასევე ფსიქოლოგიურად. „სოხუმის" დარ გუნდთან გამარჯვება თუ გინდა, მაქსიმალურად მობილიზებული უნდა გახვიდე და საუკეთესო თამაში უჩვენო.




| | |
|---|---|
| ოლიმპი-შსს აკადემია | 82:79 |
| დინამო-სოხუმი | 83:69 |
| რუსთავი-თსუ | 67:54 |
| ბათუმი-სამედიცინო | 74:78 |
| ქუთაისი-არმია | 73:81 |

## რეკორდები

**ქულა**

41 - ლარი ბლერი (შსს)
2-ქულ 11/21; 3-ქულ 4/8; საჯ 7/8
17.12.11 შსს-თსუ

**მოხსნა**

20 - რიჩარდ მათიაშვილი (ქუთაისი)
(მეტოქ: 4; საკუთ: 16)
23.12.11 ბათუმი-ქუთაისი

**პასი**

14 - ლაშა გამყრელიძე (ოლიმპი)
29.10.11 შსს-ოლიმპი
14 - ლაშა გამყრელიძე (ოლიმპი)
10.12.11 დინამო-ოლიმპი
14 - ბენჟამინ ვუდსაიდი (არმია)
17.12.11 სოხუმი-არმია

**ჩაჭრა**

7 - რევაზ ჩაჩანიძე (რუსთავი)
29.10.11 სტუ-რუსთავი
7 - ნიკა რამიშვილი (ბათუმი)
11.11.11. ბათუმი-სოხუმი
7 - ლარი ბლერი (შსს)
23.12.11 რუსთავი-შსს

**დაფარება**

6 - ილიცა მილუტინოვიჩი (ოლიმპი)
15.10.11 თსუ-ოლიმპი
6 - ბექა ბექაური (სამედიცინო)
05.11.11 დინამო-სამედიცინო
6 - მილან ოლუიჩი (დინამო)
14.02.12 დინამო-არმია

**ქულა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | ქ | ქ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლარი ბლერი | შსს აკადემია | 8 | 219 | 27.38 |
| 2 | ლევან ფაცაცია | სოხუმი | 12 | 292 | 24.33 |
| 3 | ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 12 | 286 | 23.83 |
| 4 | რობერტ კრეპსი | შსს აკადემია | 10 | 231 | 23.1 |
| 5 | ქიენ კარტერი | დინამო | 10 | 231 | 23.1 |
| 6 | თორნიკე ნინიაშვილი | თსუ | 12 | 222 | 18.5 |
| 7 | ბექა ჩიკვილაძე | თსუ | 12 | 221 | 18.42 |
| 8 | ტრეისი სმიტი | შსს აკადემია | 8 | 143 | 17.88 |
| 9 | დუდა სანაძე | დინამო | 12 | 196 | 16.33 |
| 10 | ლევან ხმელიძე | რუსთავი | 13 | 210 | 16.15 |
| 11 | ნიკიტა სლიუკა | ოლიმპი | 11 | 177 | 16.09 |
| 12 | ირაკლი მიქელაძე | ბათუმი | 13 | 208 | 16 |
| 13 | გიორგი ბარბაქაძე | ქუთაისი | 13 | 203 | 15.62 |
| 14 | ლაშა კეშელავა | ბათუმი | 12 | 185 | 15.42 |
| 15 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 12 | 183 | 15.25 |

**მოხსნა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | მ.დაც | მ.შეტ. | მ.სულ | მ.საშ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქიენ კარტერი | დინამო | 10 | 61 | 79 | 140 | 14 |
| 2 | ლევან ფაცაცია | სოხუმი | 12 | 35 | 103 | 138 | 11.5 |
| 3 | ტრეისი სმიტი | შსს აკადემია | 8 | 34 | 47 | 81 | 10.13 |
| 4 | ილიცა მილუტინოვიჩი | ოლიმპი | 12 | 24 | 95 | 119 | 9.92 |
| 5 | თორნიკე ნინიაშვილი | თსუ | 12 | 38 | 76 | 114 | 9.5 |
| 6 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 12 | 31 | 81 | 112 | 9.33 |
| 7 | ლაშა კეშელავა | ბათუმი | 12 | 26 | 82 | 108 | 9 |
| 8 | ბექა ბექაური | შსს აკადემია | 12 | 36 | 64 | 100 | 8.33 |
| 9 | ზურაბ მაჩალაძე | სტუ | 13 | 40 | 67 | 107 | 8.23 |
| 10 | ივო ჰოგერი | ოლიმპი | 11 | 43 | 47 | 90 | 8.18 |
| 11 | ვასილ ბერუაშვილი | სტუ | 12 | 31 | 67 | 98 | 8.17 |
| 12 | მიხეილ ბერიშვილი | ოლიმპი | 11 | 24 | 65 | 89 | 8.09 |

**პასი**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | პ | პ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | გიორგი გამყრელიძე | ოლიმპი | 11 | 101 | 9.18 |
| 2 | მიხეილ ჩიტაშვილი | თსუ | 10 | 75 | 7.5 |
| 3 | ლარი ბლერი | შსს აკადემია | 8 | 57 | 7.13 |
| 4 | ირაკლი მიქელაძე | ბათუმი | 13 | 77 | 5.92 |
| 5 | ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 12 | 66 | 5.5 |
| 6 | დავით არწივიძე | რუსთავი | 13 | 71 | 5.46 |
| 7 | ლევან ცეკვავა | ქუთაისი | 11 | 46 | 4.18 |
| 8 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 12 | 50 | 4.17 |
| 9 | რობერტ კრეპსი | შსს აკადემია | 10 | 41 | 4.1 |
| 10 | გივი ბაქრაძე | თსუ | 12 | 49 | 4.08 |
| 11 | ბექა ჩიკვილაძე | თსუ | 12 | 49 | 4.08 |

**ჩაჭრა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | ჩ | ჩ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლარი ბლერი | შსს აკადემია | 8 | 27 | 3.38 |
| 2 | ნიკა რამიშვილი | ბათუმი | 13 | 36 | 2.77 |
| 3 | შალვა კოხრეიძე | თსუ | 10 | 27 | 2.7 |
| 4 | ვასილ ბერუაშვილი | თსუ | 12 | 28 | 2.33 |
| 5 | გიორგი გამყრელიძე | ოლიმპი | 11 | 24 | 2.18 |
| 6 | რევაზ ჩაჩანიძე | რუსთავი | 13 | 26 | 2 |
| 7 | ზურაბ მაჩალაძე | სტუ | 13 | 25 | 1.92 |

**დაფარება**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | დ | დ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბექა ბექაური | შსს აკადემია | 12 | 24 | 2 |
| 2 | იოაკიმ შელბომი | არმია | 12 | 19 | 1.58 |
| 3 | რიჩარდ მათიაშვილი | ქუთაისი | 12 | 18 | 1.5 |
| 4 | ჟოლივეტ ტუჯანი | რუსთავი | 13 | 17 | 1.31 |
| 5 | სერგო ათუაშვილი | სოხუმი | 11 | 14 | 1.27 |
| 6 | ვასილ ბერუაშვილი | თსუ | 12 | 15 | 1.25 |
| 7 | ილიცა მილუტინოვიჩი | ოლიმპი | 12 | 14 | 1.17 |
| 8 | ნემანია ილიჩი | სამედიცინო | 11 | 12 | 1.09 |

**შეცდომა**

| ად. | მოთამაშე | გუნდი | თ | შ | შ.საშ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლაშა ფარლალავა | სოხუმი | 12 | 52 | 4.33 |
| 2 | ლევან ცეკვავა | ქუთაისი | 11 | 44 | 4 |
| 3 | გიორგი გამყრელიძე | ოლიმპი | 11 | 43 | 3.91 |
| 4 | მიხეილ ჩიტაშვილი | თსუ | 10 | 34 | 3.4 |
| 5 | ირაკლი ძიძიგური | სტუ | 12 | 38 | 3.17 |
| 6 | თორნიკე ნინიაშვილი | თსუ | 12 | 36 | 3 |
| 7 | ირაკლი მიძელაძე | ბათუმი | 13 | 39 | 3 |

ქართველი NBA-ში

# ძნელი ყოფილა უჯონსონობა



„ნიუ იორკ ნეთსთან" მატჩის წინ „ატლანტა ჰოქსის" მთავარმა მწვრთნელმა **ლარი დრიუმ** საზოგადოებას შეახსენა, რომ ორი ვარსკვლავი აკლდა: **ჯო ჯონსონი** და **ელ ჰორფორდი**. ელმა მხრის ოპერაცია გაიკეთა, ერთი თვე უკვე დაისვენა და კიდევ მოუწევს უქმობა, ხოლო ჯომ ტრავმა ორიოდე დღის წინ მიიღო და მინიმუმ ერთი კვირა გუნდს ვერ დაეხმარება.

*- ნიუ-იორკში ორი ვარსკვლავის გარეშე ჩავედით. ტრავმები დასანანია, მაგრამ გვაქვს საშუალება შევამოწმოთ, რას წარმოადგენს გუნდი მათ გარეშე,* - თქვა დრიუმ და მატჩის შემდეგ დამამშვიდებელი პასუხი ნამდვილად ვერ მიიღო. მისმა შეგირდებმა „ნიუ იორკის" კალათბურთელებს პირველივე ტაიმში მისცეს 19:2 გაქცევის საშუალება. ამის შემდეგ, რამდენიც უნდა სდიო, „ნეთსის" დარ გუნდს ველარ დაეწევი.

ბოლო დროს „ატლანტას" არაერთი მატჩი პირდაპირ ეთერში ვნახე და გუნდის სამმატჩიანი წაგებათა სერიის ჩემეულ ახსნას შემოგთავაზებთ. მიზეზი მარტივია - შეტევაში სათამაშო სტრატეგიაა აგებული კალათბურთელებზე და არა - მოთამაშე მორგებული სისტემაზე. ჰოდა, როცა ხუთიდან ორი მთავარი ფიგურა გამოაკლდა „საათიც" მოიშალა. დავაზუსტებთ: როცა ჯონსონი და ჰორფორდი მოედანზე იყვნენ, მათთან ერთად **უილიამსი, სმიტი** და **ტიგიც** თავისუფლად ისროდნენ ნებისმიერი წერტილიდან. შესაბამისად, მეტოქეს უჭირდა, წინასწარ განესაზღვრა, ვინ საიდან და როდის დაემუქრებოდა.

ორი ტრავმის შემდეგ „ატლანტას" სისტემიდან ერთადერთი მაღალი დონის მექულე შერჩა - ჯოშ სმიტი. ზემოთ დასახელებული უილიამსი და ტიგი ჯონსონისგან განსხვავებით სტაბილურიბით ვერ გამოირჩევიან. ისინი ეპიზოდებსა და ერთეულ მატჩებში ბრწყინავენ.

როცა აწყობილი მექანიზმიდან ორი მნიშვნელოვანი დეტალი ამოვარდა, იმის ნაცვლად, რომ კომპენსირება გუნდური თამაშით უზრუნველეყოთ, ყველამ ინდივიდუალური ოსტატობის დემონსტრირებას მიჰყო ხელი. ასეთ დროს კი ყველაზე გვიან ბურთი ცენტრამდე აღწევს. ლარი დრიუს არც მანამდე ჰქონია კომბინაცია ზაზა ფაჩულიაზე აწყობილი და არც ჰორფორდის ტრავმის შემდეგ... ამიტომაცაა, ზაზა 25-30 წუთში 10 ქულამდე იშვიათად რომ ადის (დეკემბრის შემდეგ ერთადერთხელ გადალახა 10-იანი ნიშნული). არადა, კაცს თეთრი შურით შეგშურდება, ისე იყენებს პოლონელ მეფარე **მარცინ გორტატს** „ფინიქსი", უფრო სწორად **სტივ ნეში**. ფაჩულია გორტატზე უკეთესი კალათბურთელი რომ არის, ეს ურთიერთშეხვედრებში არაერთხელ დაამტკიცა.

...და რა ელის „ატლანტას"? ვფიქრობ, საგანგაშო არაფერია, გუნდს არაერთი გამოცდილი კალათბურთელი ჰყავს, რომლებსაც მწვრთნელი აქამდე არასათანადოდ იყენებდა. **მაკგრეიდისა** და **პარგოს** რაც შეუძლიათ, კალათბურთის გულშემატკივარმა კარგად იცის. ზედიზედ სამი წაგების შემდეგ ლარი დრიუ სტრატეგიის შეცვლაზეც დაფიქრდებოდა და ვნახოთ, იქნებ, ზაზაც მეტად დაიტვირთოს (თუმცაღა პასებისგან განსხვავებით, სათამაშო დრო არ აკლია).

დღეს, გამთენიისას „ატლანტა" „ორლანდოს" უმასპინძლებდა.

| ნიუ იორკი-ატლანტა | | 99:82 |
|---|---|---|

**ზაზა ფაჩულია:** 22 წუთი, 2 ქულა (4/1 ორქულიანი), 4 მოხსნა, 2 პასი, 2 ჩაჭრა, 1 შეცდომა, 3 ფოლი.

| | I პერიოდი | |
|---|---|---|
| 9:56 | ფოლი: 1 | 2-4 |
| 8:57 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 | 6-7 |
| 8:57 | ორქულიანი: არაზუსტი | 6-7 |
| 7:39 | ჩაჭრა: 1 (სტაუდმაიერს ჩაუჭრა) | 8-11 |
| 7:13 | ფოლი: 2 | 8-11 |
| 7:13 | დემპიემ ზაზა შეცვალა | 8-11 |
| | **II პერიოდი** | |
| 4:58 | ზაზამ მაკგრეიდი შეცვალა | 27-45 |
| 2:49 | მოხსნა: შეტ-2, დაც-0 | 30-52 |
| 2:48 | ორქულიანი: არაზუსტი | 30-52 |
| 0:18 | პასი: 1 (ი. ჯონსონი 2ქ) | 35-60 |
| | **III პერიოდი** | |
| 10:59 | მოხსნა: შეტ-3, დაც-0 | 35-62 |
| 10:56 | ორქულიანი: 2ქ | 37-62 |
| 9:47 | პასი: 2 (სტეკჰაუსი 3ქ) | 40-67 |
| 8:02 | მოხსნა: შეტ-3, დაც-1 | 43-67 |
| 7:37 | ჩაჭრა: 2 (ლინს ჩაუჭრა) | 44-67 |
| 7:13 | ორქულიანი: არაზუსტი | 44-67 |
| 6:13 | ფოლი: 3 | 44-67 |
| 6:13 | შეცდომა: 1 | 44-67 |

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

# ახალი სისტემის ათვისება გრძელდება

საქართველოს ნაკრებმა გუშინ დილით „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე" ღია ვარჯიში გამართა. „ბორჯღალოსნები" თბილისში ორშაბათს შეიკრიბნენ და დღემდე სამჯერ მეცადინეობენ.

ღია ვარჯიში ტრადიციული მოთელვით დაიწყო, რის შემდეგაც მწვრთნელებმა გუნდი ორად გაჰყვეს. მორკინალებმა ჯერ დერეფანში თამაში ივარჯიშეს, შემდეგ სპეციალურ დაზგასთან გადაინაცვლეს და სტატიკურ მდგომარეობაში შერკინების დალაგება სცადეს.

ამასობაში უკანახაზელები შეტევისა და დაცვის ორგანიზებაში მეცადინეობდნენ. მერე **მილტონ ჰეიგმა** სავარაუდო ძირითადი შემადგენლობა დაასახელა, რომელიც ასე გამოიყურება:

15. გიორგი შკინინი, 14. ალექსანდრე თოდუა, 13. დავით კაჭარავა, 12. მერაბ შარიქაძე, 11. ირაკლი მაჩხანელი, 10. მერაბ კვირიკაშვილი, 9. გიორგი ბეგაძე. 1. ვასილ კაკოვინი, 2. რეზო ბელქანია, 3. დავით ქუბრიაშვილი, 4. ლევან დათუნაშვილი, 5. გიორგი ჩხაიძე, 6. ვიქტორ კოლელიშვილი, 7. შალვა სუთიაშვილი, 8. მამუკა გორგოძე.

გუნდი მან დაცვის თამაშში ავარჯიშა. სათადარიგოები შეტევის მიმართულებას ხშირად ცვლიდნენ. ძირითადის მორაგბეები კი დროდადრო გადანაცვლებას ცდილობდნენ. მერე გუნდებმა როლები გაცვალეს. ახლა ძირითადი შემადგენლობა უტევდა და მოწინააღმდეგის დაცვის ხაზის გარღვევას და იქ წარმოქმნილი ცარიელი სივრცეების გამოყენებას ცდილობდა.

როგორც შემადგენლობიდან ჩანს, ფულბეკის პოზიცია, რომელიც ჩვენს გუნდში, ფაქტობრივად, ყველაზე პრობლემატურია, **გიორგი შკინინს** ანდეს. ის ამპლუით გარემობა. უნდა ვივარაუდოთ, რომ შკინინი, ძირითადად, საკუთარი 22-მეტრიანი ზონიდან ბურთის ამოტანაზე იმუშავებს. საამისოდ ის საკმაოდ მოქნილიცაა და სწრაფიც.

ცხრა ნომრის პოზიციაზე ერთა თასის გათამაშებაში დებიუტი ექნება **გიორგი ბეგაძეს**. მის დუბლიორად სათადარიგოთა შორის **ბიძინა სამხარაძე** იქნება. მილტონ ჰეიგმა ძირითადი ცხრა ნომერი და გუნდის კაპიტანი **ირაკლი აბუსერიძე** ამჯერად დაასვენა, თუმცა მომდევნო ორ შეხვედრაში, რუმინეთისა და რუსეთის ნაკრებებთან ის ისევ ითამაშებს.

ესპანეთთან მატჩისგან საგრძნობლად განსხვავებული იქნება შერკინება. პირველ ხაზში ძირითად შემადგენლობაში **ვასილ კაკოვინი, რეზო ბელქანია** და **დავით ქუბრიაშვილი** ითამაშებენ. მესამე ხაზიდან მეორეში გადაინაცვლებს და **ლევან დათუნაშვილს** შეუწყვილდება **გიორგი ჩხაიძე**.

მთლიანად შეიცვალა მესამე ხაზი. აქ **მამუკა გორგოძე, ვიქტორ კოლელიშვილი** და **შალვა სუთიაშვილი** ითამაშებენ. ნაკრებს ირაკლი აბუსერიძის არყოფნაში, სავარაუდოდ, შუამარბი **დავით კაჭარავა** უკაპიტნებს.

**დავით კაჭარავა:**

*„ესპანეთთან მატჩში წაგების მიზეზი ინდივიდუალური შეცდომები იყო. ახალი მწვრთნელები გვყავს და ახალ სისტემაზე უმალ გადაწყობა გვგვიჭირდა. ამჟამად ძალიან ბევრს ვმუშაობთ, მაქსიმალურად მობილიზებულნი ვართ და ვეცდებით ქომაგები გავახაროთ.*

**მამუკა გორგოძე:**

*„პორტუგალიის ნაკრებთან თამაში ყოველთვის გვიჭირდა. ჩვენთვის ტრადიციულად უხერხული მეტოქეა. ამიტომ ძალიან მძიმე ბრძოლა გველება. ახალი მწვრთნელებს აქცენტი 2015 წლის მსოფლიოს თასისთვის მზადებაზე აქვთ აღებული. იმ ტაქტიკის და სათამაშო სისტემის დანერგვას ცდილობენ, რომლითაც ოთხი წლის შემდეგ მსოფლიოს რაგბის უდიდეს ფორუმზე უნდა ვითამაშოთ. ჩვენ ყველას ძალიან მოგვწონს ეს ახალი სისტემა. შევძლებთ თუ არა მის ათვისებას და ეფექტურად გამოყენებას, ამას მომავალი გვიჩვენებს".*

გუნდის 22-კაციანი შემადგენლობა გაცხადა პორტუგალიის ნაკრების თავკაცმა **ეროლ ბრაიანმა**. „ლობუშების" რაზმში ყველაზე გამოცდილი მეორე და მესამეხაზელები არიან. გუნდში ვერ მოხვდნენ ისეთი გამოცდილი პირველხაზელები, **კრისტიან სპაშუკი** (ბურგენი) და **ჟოაო ჟუნიორი** (კდული) რომ არიან.




ალსანიშნავია, რომ პორტუგალიელებს დაუბრუნდათ ავსტრალიელი **ჯოზეფ გარდნერი**, რომელმაც რუსეთის ნაკრებთან შეხვედრაში ფულბეკად ითამაშა და ამჟამად იაპონურ სარაგბო ლიგაში „ჰონდას" ღირსებას იცავს. მგეზავის პოზიციაზე კი კიდევ ერთი ნატურალიზებული ახალწვეული **იანიკ რიკარდოა** (კასტანე).

„ლობუშებს" ერთი დებიუტანტიც ჰყავთ, შუამარბი **ფრანსისკო აპლეტონი** (კდული). წლეულს პირველად გამოჩნდნენ ნაკრების შემადგენლობაში პირველხაზელები **ჟოზე და კოსტა** (აგრონომია), **ჟოაო მატეუში** (კოიმბრა) და **მაიკ ტაჯერი** (მასი). მესამე შეხვედრას „ლობუშების" კვართით მესამეხაზელი **ლუის სოუზა** (დირეიტო) ითამაშებს.

**საქართველოს ნაკრები**

პირველი ხაზი: ვასილ კაკოვინი (ბრივი), დავით ქუბრიაშვილი, ლევან ჩილაჩავა (ორივე-ტულონი), რეზო ბელქანია (ლა სეინი), მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე), შალვა მამუკაშვილი (არმია).

მეორე ხაზი: კონსტანტინე მიქაუტაძე (ტულონი), ლევან დათუნაშვილი (ორიაკი), გიორგი ჩხაიძე (სენ ჟუნიენი).

მესამე ხაზი: შალვა სუთიაშვილი (მასი), მამუკა გორგოძე (მონპელიე), დიმიტრი ბასილაია (ვალანს დაჟენი), ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონი), გიორგი კალმახელიძე, ბექა ბიწაძე (ორივე-არმია), გივი ბერიშვილი (ლოკომოტივი).

№9: ბიძინა სამხარაძე (არმია), გიორგი ბეგაძე (ბათუმი XV)

№10: მერაბ კვირიკაშვილი (სენ ჟუნიენი), ლაშა მალაღურაძე (ვალანსი).

№12-13: მერაბ შარიქაძე (აკადემია), დავით კაჭარავა (ნიცა),

№11-14: ირაკლი მაჩხანელი (სენტ ეტიენი), ალექსანდრე თოდუა (ლელო), გიორგი შკინინი, ირაკლი ჩხიკვაძე (ორივე-არმია).

№15: ირაკლი ყიასაშვილი (ლელო), ბექა ნიკლაური (გდინია).

**პორტუგალიის ნაკრები**

პირველი ხაზი: ჯოზე და კოსტა (აგრონომია), ჟუან მურე (სენტ ეტიენი), ჟოაო მატეუში (კოიმბრა), ჯორჟე სეგურადო (დირეიტო), მაიკ ტაჯერი (მასი)

მეორე ხაზი: დავიდ პენალვა (მონტობანი), რუი დორეი, გონსალო უვა (დირეიტო).

მესამე ხაზი: დავიდ დოს რეისი (ნიმი), ვასკო უვა, ლუის სოუზა (ორივე-დირეიტო), ჟულიენ ბარდი (კლერმონი).

№9: ფრანსისკო მაგალიაეში (კდული), პედრო ლეალი (ნიცა).

№10: იანიკ რიკარდო (კასტანე)

№12-13: კარლ მურეი, ბერნარდო სილვიერა, ფრანსისკო აპლეტონი (კდული).

№11-14: ჟოზე ლიმა (აგრონომია), ადერიტო ეშტევეში, ანტონიო აგილარი (ორივე-დირეიტო).

№15: ჯოზეფ გარდნერი (ჰონდა)

**ერთა თასი 2012**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რუმინეთი | 1 | 1 | 0 | 0 | +8 | 4 |
| 2.ესპანეთი | 1 | 1 | 0 | 0 | +7 | 4 |
| 3.რუსეთი | 1 | 1 | 0 | 0 | +1 | 4 |
| 4.პორტუგალია | 2 | 0 | 0 | 2 | -9 | 2 |
| 5.საქართველო | 1 | 0 | 0 | 1 | -7 | 1 |
| 6.უკრაინა | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |

**ორი წლის ჯამი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საქართველო | 6 | 5 | 0 | 1 | +126 | 23 |
| 2.რუმინეთი | 6 | 4 | 0 | 2 | +105 | 20 |
| 3.პორტუგალია | 7 | 3 | 0 | 4 | +6 | 16 |
| 4.რუსეთი | 6 | 3 | 0 | 3 | +3 | 15 |
| 5.ესპანეთი | 6 | 3 | 0 | 3 | -26 | 14 |
| 6.უკრაინა | 5 | 0 | 0 | 5 | -164 | 0 |

**III ტური**

**25 თებერვალი**

საქართველო-პორტუგალია
რუსეთი-რუმინეთი
უკრაინა-ესპანეთი

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**




**ვიქტორინა**

1. რომელ წელს აღიარა კიდევ ერთხელ რაგბი ოლიმპიურ სახეობად საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა?

ა - 1972 წელს
ბ - 1997 წელს
გ - 2001 წელს

2. მსოფლიოს თასის გათამაშებამდე ძირითადად ქვეყნების ნაკრებ გუნდებს შორის ტარდებოდა:

ა - ამხანაგური თამაშები
ბ - სარაგბო ტურები
გ - ტესტ-მატჩები

3. ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშება საკლუბო გუნდებს შორის იმართებოდა XX საუკუნის:

ა - 60-იანი წლებიდან
ბ - 70-იანი წლებიდან
გ - 80-იანი წლებიდან

4. მორაგბე ქალთა შეჯიბრება მსოფლიოს თასისთვის პირველად ჩატარდა:

ა - 1981 წელს
ბ - 1986 წელს
გ - 1991 წელს

5. რაგბის საერთაშორისო ორგანიზაციას ჰქვია:

ა - რაგბის საერთაშორისო კავშირი
ბ - რაგბის საერთაშორისო საბჭო
გ - რაგბის მსოფლიო კონფედერაცია

პასუხები: 1 - ბ, 2 - გ, 3 - ა, 4 - გ, 5 - ბ



ბექა ნიკლაური და ირაკლი მაჩხანელი



ბურთით მერაბ შარიქაძე, უკანა პლანზე გიორგი შკინინი და სანდრო თოდუა

## უცხოური სპორტი

კალათბურთი. ევროლიგა. TOP16



ოლიმპიაკოსი მოსკოვში გააჩერეს

# სენსაცია ბილბაოში

ორკვირიანი შესვენების შემდეგ განახლდა ევროლიგის გათამაშება - გაიმართა მეორე ჯგუფური ეტაპის მეხუთე ტურის პირველი სამი მატჩი.

E ჯგუფში ორი შეხვედრა ჩატარდა. მოსკოვის ცსკა-მ წინა ტურში „გალათასარაისთან" მოულოდნელი მარცხის შემდეგ შინ გაანადგურა „ოლიმპიაკოსი" და არა მარტო პლეი ოფის საგზური, არამედ ჯგუფში პირველი ადგილი გაინაღდა, რაც მას მეოთხედფინალში საკუთარი მოედნის უპირატესობას მისცემს.

ბერძნული გრანდის წინააღმდეგ მატჩი ცსკა-მ 10:0 გაქცევით დაიწყო. ამ ათი ქულიდან ხუთი **ანდრეი ვორონცევიჩის** ანგარიშზე იყო. ეს კალათბურთელი საბოლოოდ, 15 ქულით მატჩის ყველაზე შედეგიანი მოთამაშე გახდა.

ამ გაქცევის შემდეგ სხვაობა მხოლოდ იზრდებოდა - პირველ მეოთხედში მან 14 ქულას მიაღწია, მეორე ათწუთეულიც მასპინძლებმა ასეთივე სხვაობით მოიგეს და დიდი შესვენებისთვის ცსკა წინ იყო 28 ქულით.

მეორე ტაიმში მოსკოველებს თავი აღარ მოუკლავთ, თუმცა ბოლო მეოთხედში კიდევ ოთხი ქულა მოიგეს და საბოლოოდ, 32 ქულის სხვაობით მოუგეს „ოლიმპიაკოსს" - 96:64.

ცსკა-ს რიგებში ერთბაშად ექვსმა კალათბურთელმა გადალახა 10-ქულიანი ზღვარი, ოლიმპიაკოსის რიგებში კი მხოლოდ **სპანულისის** გამოყოფა შეიძლება, რომელმაც 12 ქულა დააგროვა.

„ოლიმპიაკოსმა" გაირთულა სატურნირო მდგომარეობა, რადგან მოიგო მისმა უშუალო კონკურენტმა - „გალათასარაიმ". მან შინ თურქულ დერბიში სძლია „ეფესს", რომელმაც ამ წაგებით დაკარგა პლეი ოფში გასვლის შანსი.

ანგარიში სტუმრებმა გახსნეს, რის შემდეგაც "გალათასარაი" 8:0 გაიქცა და ამის შემდეგ "ეფესი" მატჩის ბოლომდე მდევრის როლში იყო, მაგრამ ვერ დაეწია მეტოქეს.

არადა, ამის შანსი სტუმრებს არაერთხელ ჰქონდათ. "ეფესი" შორს არ უშვებდა მეტოქეს, ბოლო მეოთხედის წინ კი ხუთ ქულამდე შეამცირა სხვაობა. მაგრამ მასპინძელთა რიგებში ყველაზე შედეგიანი კალათბურთელის - **ლუკსა ანდრიჩის** მონდომებით "გალათასარაიმ" ბოლო მეოთხედი სამი ქულით მოიგო და 64:56 მოგება გაიფორმა.

"ეფესის" რიგებში ორი კალათბურთელი გამოირჩეოდა - **ბარაცი** და **ლუკასი**, რომლებმაც შესაბამისად, 16 და 15 ქულა დააგროვეს, მაგრამ ამან სტუმრებს ვერ უშველა - „ეფესმა" მეოთხე მატჩი წააგო და მისთვის მეორე ადგილი მიუღწეველია.

ბოლო ტურში კი გაიმართება „ოლიმპიაკოსისა" და „გალათასარაის" მატჩი, რომელიც გადაწყვეტს E ჯგუფიდან მეორე საგზურის ბედს.

■ ■ ■

ერთი მატჩი გაიმართა F ჯგუფში და პირველი შეხვედრა წააგო მეორე ჯგუფურ ეტაპზე იტალიის „მონტეპასკიმ". ის სტუმრად „ბილბაოს" ეთამაშებოდა, რომელიც, თავის მხრივ, მეორე ადგილისთვის ებრძვის მადრიდის "რეალს".

მთელი მატჩი ქულა ქულაში თამაში მიდიოდა და ბოლო წამამდე გაურკვეველი იყო გამარჯვებულის ბედი. „ბილბაომ" შეძლო „მონტეპასკის" ლიდერის - **ბო მაკალების** ნეიტრალიზაცია, რომელმაც მოკრძალებული 12 ქულა დააგროვა. მასპინძელთა რიგებში კი **ბანიჩი** და **ლოპესი** გამოირჩეოდნენ. სწორედ ამ უკანასკნელმა გადაწყვიტა მატჩის ბედი.

საფინალო სირენამდე 14 წამით ადრე „ბილბაო" 58:56-ს იგებდა, მაგრამ **იგორ რაკოჩევიჩის** სამქულიანით „მონტეპასკიმ" თითქოს თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა მატჩის ბედი. იტალიელები 59:58 დაწინაურდნენ. ბოლო შეტევა „ბილბაომ" არც ისე კარგად გაითამაშა, მაგრამ ლოპესმა საფინალო სირენასთან ერთად შემობრუნებით ზუსტად ისროლა ურთულესი მდგომარეობიდან და თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა - 60:59.

„ბილბაომ" მესამე მატჩი მოიგო ჯგუფში და ერთით გაუსწრო „რეალს".

**E ჯგუფი**

**ცსკა-ოლიმპიაკოსი 96:64**

**30:16, 24:10, 18:18, 24:20**

ც: ვორონცევიჩი (15), ტეოდოშიჩი (14+4 პასი), ლავრინოვიჩი (12+5 მოხსნა+4 ჩაჭრა), კირილენკო (11+7 მოხსნა), შვედი (10+5 პასი), პონკრაშოვი (10).

ო: სპანულისი (12).

**გალათასარაი-ეფესი 64:56**

**20:13, 19:19, 11:13, 14:11**

გ: ანდრიჩი (15+7 მოხსნა).

ე: ბარაცი (16+5 მოხსნა), ვუიაჩიჩი (15+8 მოხსნა).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. ცსკა | 4 | 1 | 79 |
| 2. გალათასარაი | 3 | 2 | -8 |
| 3. ოლიმპიაკოსი | 2 | 3 | -21 |
| 4. ეფესი | 1 | 4 | -50 |

**F ჯგუფი**

**ბილბაო-მონტეპასკი 60:59**

**7:8, 14:14, 18:17, 21:20**

ბ: ბანიჩი (16+8 მოხსნა), ლოპესი (15), მუმბრუ (10).

მ: რაკოჩევიჩი (14), მაკალები (12), მოსი (10).

| | მ | წ | +/- |
|---|---|---|---|
| 1. მონტეპასკი | 4 | 1 | 70 |
| 2. ბილბაო | 3 | 2 | 10 |
| 3. რეალი | 2 | 2 | -26 |
| 4. უნიკახა | 0 | 4 | -54 |

# პეშიჩი დირკს არ შეაწუხებს

გერმანიის ნაკრები თავისი მთავარი ვარსკვლავის - **დირკ ნოვიცკის** გარეშე შეეცდება სლოვენიის ევრობასკეტზე მოხვედრას. ეროვნული გუნდის ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **სვეტისლავ პეშიჩმა** განაცხადა, რომ „დალასის" ფორვარდი არ დაეხმარება თავის გუნდს 2013 წლის ევრობასკეტის კვალიფიკაციაზე.

*„ადრე ყველაფერი დირკზე იყო დამოკიდებული. ფედერაცია და ნაკრების სხვა კალათბურთელები მის ზურგს უკან იმალებოდნენ. რა თქმა უნდა, ნოვიცკი - ბრწყინვალე მოთამაშეა, მაგრამ მისი მეშვეობით ყველა პრობლემის მოგვარებას ცდილობდნენ. ხშირად ისმოდა ფრაზა: „დირკი ყველაფერზე იზრუნებს"*, - ამბობს პეშიჩი.

*„სლოვენიის ევრობასკეტის კვალიფიკაციაზე დირკის იმედი არ მაქვს. და დარწმუნებული ვარ, ისიც არ ელოდება ჩემგან მიწვევას. მან აუცილებლად უნდა დაისვენოს ზაფხულში, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, შევხვდები ნოვიცკის და სამომავლო გეგმებზე ვილაპარაკებთ"*, - აგრძელებს გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი.

ამასთან, პეშიჩი მოთამაშეთა ახალ თაობაზე აპირებს აქცენტის გაკეთებას, რომელიც ამჟამად გერმანიის ნაკრების ღირსებას იცავს.

„დაველაპარაკები ახალგაზრდული ნაკრებების მწვრთნელებს და გადავწყვეტ, ღირს თუ არა ახალგაზრდების ეროვნულ გუნდში გამოძახება", - განაცხადა სერბმა სპეციალისტმა.



დირკ ნოვიცკი

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# კარლსონი მონსტრი გახდა

„კოლორადომ" ამ სეზონში სამიდან სამჯერ მოუგო „ლოს ანჯელესს". რიგით ბოლო, მეოთხე მატჩში „ზვავებს" ისევ სჭირდებოდათ მოგება, რადგან პლეი ოფის ზონას ოთხი ქულა აშორებთ. დენვერელების უპირატესობა იმაში მდგომარეობდა, რომ „ლოს ანჯელესმა" წინადღეს ითამაშა, „კოლორადომ" კი რამდენიმე დღე დაისვენა.

პირველ პერიოდში ამ ფაქტორმა იჩინა თავი. კალიფორნიელებმა ბევრი შეცდომა დაუშვეს, განსაკუთრებით თავის ზონაში, რისთვისაც სამი გაშვებული გოლით დაისაჯნენ. დუბლი შეასრულა **პოლ შჩასტნიმ**. პირველ შემთხვევაში მან 1:0-ზე გამოიჩინა თავი, როცა „სამი ორზე" კონტრშეტევისას გაიტანა, მეორედ კი მატჩის ეკვატორზე შეაგდო, თუმცა იმ დროს მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო.

მატჩის პირველი ვარსკვლავი გახდა „კოლორადოს" მეკარე **სიმიონ ვარლამოვი**, რომლის ანგარიშზე 32 სეივი მოდის.

კანადისა და აშშ-ის დედაქალაქის გუნდების შეხვედრაში „ოტავამ" 5:2 მოუგო „ვაშინგტონს". ბრწყინვალე ფორმაშია „ოტავას" შვედი მცველი **ერიკ კარლსონი**, რომელმაც ბოლო ხუთ მატჩში 12 ქულა დააგროვა! ამჯერად სკანდინაველმა ერთი გოლი გაიტანა და ორი საგოლე პასი შეასრულა. კარლსონის ანგარიშზე რეგულარულში უკვე 60 ქულაა. მცველებს შორის ბომბარდირთა დავაში ის პირველ ადგილზეა და 20 ქულით უსწრებს **ბრაიან კემპბელს**. გარდა ამისა, **ჯეისონ გარისონთან** ერთად, 13 შაიბით ლიგის საუკეთესო მცველი სნაიპერია. და კიდევ, კარლსონის ანგარიშზე 47 შედეგიანი პასი მოდის - აქამდე „ოტავას" ისტორიაში არც ერთ მცველს არ ჰქონია ერთ სეზონში ასეთი შედეგი. „სენატორზს" სერიოზული ფინანსების გაღება მოუწევს ერიკის შესანარჩუნებლად.



ერიკ კარლსონი

„ვაშინგტონთან" მატჩში გამოყოფის ღირსია **მილან მიხალეკიც**, რომელმაც დუბლი შეასრულა. „ოტავა" კომფორტულად გრძნობს თავს პლეი ოფის ზონაში - „სენატორები" აღმოსავლეთის მეცხრეადგილოსანს შვიდი ქულით უსწრებენ.

„ოტავა" დივიზიონში მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩება ლიდერ „ბოსტონს". „დათვებმა" პირველობა გუშინდელი მოგებით შეინარჩუნეს. ამ დღის კიდევ ერთი დუბლი „ბრუინზის" ფორვარდმა **ბრედ მარშანმა** გაიფორმა „სენტ ლუისის" წინააღმდეგ მატჩში. მთავარი მოვლენები პირველ პერიოდში განვითარდა, როცა სტენლის თასის მოქმედი ჩემპიონი 2:0 დაწინაურდა, შემდეგ ანგარიში გაათანაბრებინა „ბლუზმენებს" და ისევ გავიდა წინ **კრის კელის** (1+1) მონდომებით. დარჩენილ 40 წუთში გუნდებმა თითო შაიბა გაიტანეს, ამასთან, მარშანი პირველი და ბოლო შაიბის ავტორი გახდა.

„სენტ ლუისმა" შეწყვიტა შინ ძირითად დროში წაუგებელი 22-მატჩიანი სერია.

**ოტავა-ვაშინგტონი 5:2**

**2:0, 2:0, 1:2**

**გოლები:** 1:0 ე. კარლსონი-13 (სპეცა-39, მ. მიხალეკი-15), 2:0 მ. მიხალეკი-26 (ე. კარლსონი-46), 3:0 მ. მიხალეკი-27 (ე. კარლსონი-47, ალფრედსონი-25), 4:0 ფილიპსი-4 (ფოლინო-23, კ. ნილი-11), 4:1 ჯ. კარლსონი-8 (სიომინი-22), 4:2 მ. პერო-10 (ჩიმერა-13, სიომინი-23), 5:2 ფოლინო-13 (კ. ნილი-12, გონჩარი-30).

**სტ. ლუისი-ბოსტონი 2:4**

**2:3, 0:0, 0:1**

**გოლები:** 0:1 მარშანი-20, 0:2 ლუჩიჩი-21 (კორვო-18, კ. კელი-14), 1:2 კ. სტიუარტი-12 (პორტერი-3, არნოტი-13), 2:2 რივსი-2 (კრომბინი-2, შატენკირკი-20), 3:2 კ. კელი-15 (ლუჩიჩი-23, ბოიჩუკი-8), 4:2 მარშანი-21 (სეგუინი-27, პ. ბერჟერონი-32).

**კოლორადო-ლ. ანჯელესი 4:1**

**3:0, 1:0, 0:1**

**გოლები:** 1:0 ოლვერი-2 (დ. ჯონსი-12, ვინიკი-12), 2:0 პ. შჩასტნი-15, 3:0 მაკლემანი-8 (რ. ო'რაილი-30, კობესიუ-6), 4:0 პ. შჩასტნი-16 (ლანდესკოგი-19, დუშენი-13), 4:1 დ. ბრაუნი-15 (დაუტი-21, მ. რიჩარდსი-17).

კრივი

# კაპიკები კლიჩკოსთან ბრძოლისთვის

ბრიტანული პრესის ინფორმაციით, სუპერმძიმე წონაში საჩემპიონო ბრძოლისთვის **დერეკ ჩისორას** ჰონორარმა დაახლოებით 710 ათასი დოლარი შეადგინა. ამ თანხაში შევიდა ე. წ. გარანტირებული ჰონორარი, რომელსაც **ვიტალი კლიჩკოს** კომპანია გადაიხდის, აგრეთვე ინგლისურ ტელეარხ Sky Sport-თვის ბრძოლის ტრანსლაციის მიყიდვისგან მიღებული პროცენტი.

მაგრამ ამ თანხიდან ჩისორას, სავარაუდოდ, ბევრი არაფერი დარჩება. შეგახსენებთ, რომ ბრძოლის წინ კლიჩკოსთვის სილის გაწნაში ბრიტანელი WBC-ს 50 ათას დოლარს გადაუხდის. **ვლადიმერ კლიჩკოსთვის** სახეში წყალის შესხმა 20 ათასი დოლარი დაუჯდება.

გუშინ, გერმანულმა გაზეთმა BILD-მა დაწერა, რომ ყველაზე მკაცრი ჯარიმა ჩისორას ბრძოლის შემდეგ პრესკონფერენციაზე **დევიდ ჰეისთან** მომხდარი ჩხუბის გამო ელის. ჯარიმის ოდენობა 100 ათასი დოლარი იქნება. სწორედ ასეთი თანხა „გაყინა" გერმანიის პროფესიონალ მოკრივეთა კავშირმა მოკრივის ანგარიშიდან.


დერეკ ჩისორა

ამას შეიძლება დაემატოს WBC-ის ჯარიმაც და საბოლოოდ, კლიჩკოსთან ბრძოლისთვის ჩისორას ჰონორარი, დაახლოებით 400 ათასი დოლარი იქნება.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ბებერი ბოსტონის კრიზისი


ჟოაკიმ ნოა

"ბოსტონსელტიქსმა" გუშინ დილით ზედიზედ მეხუთე შეხვედრა წააგო, მისი მეტოქე "ოკლაჰომა" კი უკვე 11 მატჩია შინ არ მარცხდება.

"სელტიქსმა" თუ ასე გააგრძელა თამაში, პლეი ოფის საგზურს უნდა გამოემშვიდობოს. გუნდს აშკარად ეტყობა ასაკი. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ "მწვანეებს" პირველი ორი მეოთხედი "ბებერი ძვლების" გასახურებლად სჭირდებათ. და მხოლოდ დიდი შესვენების შემდეგ იწყებენ იმ კალათბურთის ჩვენებას, რომელიც წარმატების მისაღწევად არის საჭირო.

სტუმრების პრობლემებს ისიც დაემატა, რომ დისკვალიფიკაციის გამო შეხვედრას ტოვებდა ძირითადი გამთამაშებელი **რაჟონ რონდო**, თუმცა დანაკლისი სტუმრებსაც ჰქონდათ **კოლისონის**, **მეინორისა** და **სეფოლოშას** სახით.

მაგრამ მათ გარეშეც **უესტბრუკმა**, **დურანტმა**, **ჰარდენმა** და **კუკმა** უპრობლემოდ მიიყვანეს საქმე საჭირო შედეგამდე. ამ კვარტეტის ანგარიშზე 93 ქულა იყო. ცნობისთვის, ამ სათამაშო დღეს NBA-ში 10 გუნდი იყო ისეთი, რომელმაც 93 ან ნაკლები ქულა დააგროვა. ქების ღირსია „ბოსტონიც", რომელმაც არც მაშინ შეწყვიტა ბრძოლა, როცა ჩამორჩენა 27 ქულამდე ავიდა. ვეტერანებმა მოინდომეს და საფინალო სირენამდე სამწუთ-ნახევრით ადრე ანგარიში უკვე 102:106 იყო. მაგრამ მეტის გაკეთება შეუძლებელი ჩანდა - ფინიშზე დურანტმა დამაგვირგვინებელი სპურტი მოაწყო - 11:2.

■ ■ ■

დაძაბული ფინალი არ გამოვიდა არც ბოლო ორი წლის ჩემპიონთა მატჩში - „დალასი" „ლეიკერსის" წინააღმდეგ. ამის მიზეზი **ბარნსი** გახლავთ, რომელმაც საფინალო სირენამდე 18 წამით ადრე, **გასოლის** ორი აცილებული ჯარიმის შემდეგ შეტევაში მოხსნა ბურთი. არადა, „ლეიკერსი" მხოლოდ ორი ქულით იყო წინ.

სხვათა შორის ჯარიმების ტაქტიკა შეიძლებოდა ძალიან სასარგებლო ყოფილიყო, მასპინძლებს თავიანთი შანსები ოდნავ უკეთ რომ გამოეყენებინათ - „ლეიკერსმა" ბოლოსკენ 10-დან შვიდი საჯარიმო ააცილა. **ბრაიანტმაც** კი გააფუჭა ორი თავისუფალი და საერთოდ, სეზონში მისთვის უსუსტესი მატჩი ჩაატარა - 15-დან 4 ზუსტი ტყორცნა და შვიდი შეცდომა. სამაგიეროდ, ბრწყინვალედ ითამაშეს გასოლმა და **ბინუმმა**, რომლებმაც ფარი მოიგეს, კობის ნაცვლად კი **ფიშერმა** მონდომა - მან **კიდის** მეურვეობას კარგად გაართვა თავი და თან საფინიშო 9:0 სპურტი წამოიწყო (ამ დროს „დალასი" ორი ქულით იყო წინ).

■ ■ ■

„მილუოკიმ" სასტარტო ხუთეულის ნევრთა კარგი თამაშის მიუხედავად, თითოეულ მეოთხედში მცირედი წააგო კონფერენციის ლიდერობისთვის მებრძოლ „ჩიკაგოსთან" და ამან ჯამში „ირმების" გამანადგურებელი მარცხი გამოიწვია - 91:110.

„ბულზმა" შესანიშნავი გუნდური თამაში აჩვენა - 43 ჩაგდებულ ბურთზე 32 შედეგიანი პასი მოვიდა. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ მთავარი ასისტენტი იმ დღეს **ჟოაკიმ ნოა** გახდა, რომელმაც 10 შედეგიანი გადაცემა გააკეთა. ფრანგს არც თავისი უშუალო მოვალეობები დავიწყებია (13 ქულა და 13 მოხსნა), რითაც კარიერაში პირველი სამმაგი დუბლი შეასრულა. ბოლოს, „ჩიკაგოს" ცენტრმა ტრიპლ-დაბლი შორეულ 1977 წელს გააკეთა - მაშინ „ატლანტას" წინააღმდეგ 35 ქულა, 14 მოხსნა და 11 დაფარება ჰქონდა **არტის გილმორს**.

## დღის ფაქტები

- „ბოსტონმა" „ოკლაჰომას" 104 ქულა ჩაუგდო, რითაც შეწყვიტა 29-მატჩიანი სერია, რომლის დროსაც ვერ ახერხებდა 100-ქულიან ზღვრამდე მიღწევას.

- შობის შემდეგ ოკლაჰომელი **რასელ უესტბრუკი** გახდა პირველი კალათბურთელი, რომელმაც „ბოსტონს" 30-ზე მეტი ქულა ჩაუგდო. ბოლოს ასეთი რამ სეზონის გახსნის მატჩში ნიუიორკელმა **კარმელო ენტონიმ** გააკეთა (37 ქულა).

- „დალასმა" პირველი მატჩი წააგო სეზონში იმ დროს, როცა მეოთხე მეოთხედში ანგარიში მიჰყავდა. მიმდინარე ჩემპიონატში მხოლოდ „ჩიკაგოს", „ინდიანასა" და „ოკლაჰომას" არ წაუგიათ შეხვედრა ბოლო მეოთხედში დაწინაურების შემდეგ.

- „ორლანდომ" ზედიზედ მეცხრედ დაამარცხა „ნიუ ჯერსი". ამ სერიის დროს „მეჯიქის" ლიდერი **დუაიტ ჰოვარდი** 19.9 ქულასა და 16.0 მოხსნას აგროვებდა.

- **ხოსე კალდერონმა** სეზონში მესამედ დააგროვა 15 შედეგიანი პასი. სამივე შეხვედრა თებერვალში გაიმართა, როცა ესპანელმა სასტარტოში მოიპოვა ადგილი.

**შარლოტი–ინდიანა 88:102**

**28:23, 14:27, 26:28, 20:24**

**შ:** მაგეტი (20), ოგუსტინი (15), უოკერი (14+5 პასი), ბიიომბო (9+10 მოხსნა+6 დაფარება), დიაო (4+11 მოხსნა+8 პასი).

**ი:** ჰენსბრო (22+9 მოხსნა), გრეინჯერი (12+5 მოხსნა), პრაისი (11+6 პასი), ჯორჯი (10), კოლისონი (10+5 მოხსნა), ჯონსი (10), ამუნდსონი (8+12 მოხსნა).

**ტორონტო–დეტროიტი 103:93**

**28:24, 25:21, 21:15, 29:33**

**ტ:** დეროზანი (23+7 მოხსნა), ბარბოზა (17), ჯ. ჯონსონი (15+3 დაფარება), გრეი (12+12 მოხსნა), ა. ჯონსონი (11), დევისი (10+6 მოხსნა), კალდერონი (6+15 პასი+8 მოხსნა).

**დ:** მონრო (30+14 მოხსნა), ნაითი (16), პრინსი (14+7 მოხსნა), მაქსიელი (12+5 მოხსნა).

**ოკლაჰომა–ბოსტონი 119:104**

**35:25, 37:24, 22:31, 25:24**

**ო:** უესტბრუკი (31+6 პასი+5 მოხსნა), დურანტი (28+9 მოხსნა+6 პასი+4 ჩაჭრა), კუკი (17+5 მოხსნა), ჰარდენი (17+7 პასი), პერკინსი (8+10 მოხსნა).

**ბ:** პირსი (23+8 პასი+5 მოხსნა), გარნეტი (23+13 მოხსნა), ალენი (21+7 პასი), პიეტრუსი (16+7 მოხსნა), ბრედლი (12+5 პასი+3 დაფარება).

**ნიუ ჯერსი–ორლანდო 91:108**

**17:34, 24:24, 29:29, 21:21**

**ნ-ჯ:** ბრუქსი (24+5 მოხსნა), დ. უილიამსი (23+8 პასი+6 მოხსნა), ლოპესი (15).

**ო:** ჰოვარდი (20+17 მოხსნა), დევისი (16), ანდერსონი (14+9 მოხსნა), რედიკი (12+6 პასი), დუჰონი (11), თურქოგლუ (10), ნელსონი (10+7 პასი).

**ჰიუსტონი–ფილადელფია 93:87**

**19:16, 26:25, 16:24, 32:22**

**ჰ:** სკოლა (19+10 მოხსნა), მარტინი (16), ლოური (13+8 მოხსნა+5 პასი), პარსონსი (12), პატერსონი (12), დრაგიჩი (11).

**ფ:** ვუჩევიჩი (18+8 მოხსნა+3 დაფარება), უილიამსი (17+6 მოხსნა), იანგი (15), მიქსი (14), იგუოდალა (11+5 ჩაჭრა).

**ფინიქსი–გ. სტეიტი 104:106**

**22:39, 23:20, 34:24, 25:23**

**ფ:** ფრაი (22+9 მოხსნა+3 ჩაჭრა), გორტატი (21+15 მოხსნა), დადლი (17+5 მოხსნა), ჰილი (16+6 პასი).

**გ-ს:** ელისი (26+6 პასი), რაიტი (23+7 მოხსნა), ლი (22), რობინსონი (14+5 პასი+3 ჩაჭრა).

**კლიპერსი–დენვერი 103:95**

**27:27, 25:27, 28:25, 23:16**

**კ:** პოლი (36+9 პასი), გრიფინი (27+12 მოხსნა+5 პასი), ფოიე (11), ჯორდანი (10+16 მოხსნა+3 დაფარება).

**დ:** აფლალო (20+6 მოხსნა), ჰემილტონი (18+7 მოხსნა), ბრიუერი (12), ფარიდი (12+9 მოხსნა), ჰარინგტონი (11+6 მოხსნა+5 პასი).

**კლივლენდი–ნიუ ორლეანი 84:89**

**20:29, 23:21, 16:19, 25:20**

**კ:** ჯეიმისონ (22+12 მოხსნა), გი (13+5 მოხსნა), სეშენსი (11), ტომპსონ (10+10 მოხსნა), ირვინგი (6+11 პასი).

**ნ-ო:** კამანი (21+13 მოხსნა), ბელინელი (19), ჯეკი (16+7 მოხსნა), ვასკესი (13+5 პასი), აიონი (9+17 მოხსნა).

**ვაშინგტონი–საკრამენტო 107:115**

**34:29, 34:31, 21:28, 18:27**

**ვ:** კროუფორდი (32), უოლი (21+11 პასი+9 მოხსნა+3 ჩაჭრა), იანგი (17), მაკგი (9+10 მოხსნა).

**ს:** ტორნტონი (22+3 ჩაჭრა), ევანსი (22+6 მოხსნა), ტომასი (18+6 პასი), კაზინსი (16+16 მოხსნა), გარსია (12+5 მოხსნა+3 დაფარება), ტომპსონი (9+11 მოხსნა).

**ნიუ იორკი–ატლანტა 99:82**

**30:16, 30:19, 18:21, 21:26**

**ნ-ი:** ლინი (17+9 პასი), ნოვაკი (17), ფილდზი (16+7 მოხსნა), ენტონი (15), სმიტი (12+5 მოხსნა+5 ჩაჭრა), სტაუდმაიერი (7+10 მოხსნა).

**ა:** ტიგი (18+3 ჩაჭრა), გრინი (16), სმიტი (13+7 მოხსნა+4 ჩაჭრა).

**მინესოტა–იუტა 100:98**

**15:27, 22:22, 27:28, 36:21**

**მ:** ბარეა (22), რიდნური (17+6 პასი), პეკოვიჩი (15+12 მოხსნა), უილიამსი (13+9 მოხსნა), ლავი (10+10 მოხსნა+3 ჩაჭრა).

**ი:** მილსეპი (25+9 მოხსნა), ჰოვარდი (19+6 მოხსნა), ჯეფერსონი (18+11 მოხსნა+3 ჩაჭრა), ჰარისი (10+8 პასი).

**ჩიკაგო–მილუოკი 110:91**

**30:23, 34:30, 29:22, 17:16**

**ჩ:** ბუზერი (20+7 მოხსნა), დენგი (16+5 მოხსნა), როუზი (16+7 პასი), ბრიუერი (15), ნოა (13+13 მოხსნა+10 პასი), კორვერი (11), გიბსონი (9+10 მოხსნა).

**მ:** ჯენინგსი (20+5 პასი), ილიასოვა (15), ლიუერი (14), ლივინგსტონი (12).

**დალასი–ლეიკერსი 91:96**

**21:25, 27:23, 24:24, 19:24**

**დ:** ნოვიცკი (25+12 მოხსნა), კარტერი (20+5 მოხსნა), ტერი (16+5 პასი), ჰეივუდი (4+11 მოხსნა).

**ლ:** გასოლი (24+9 მოხსნა+3 ჩაჭრა), ბინუმი (19+14 მოხსნა), ბრაიანტი (15+5 მოხსნა), ფიშერი (15).

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ევროპის ლიგა**

**1/16 ფინალი. II მატჩები**

| | |
|---|---|
| ბილბაო-ლოკომოტივი | 1:0 (1:2) |
| ბრიუგე-ჰანოვერი | 0:1 (1:2) |
| ტვენტე-სტიაუა | 1:0 (1:0) |
| პაოკ-უდინეზე | 0:3 (0:0) |
| ეინდჰოვენი-ტრაბზონი | 4:1 (2:1) |
| სტანდარდი-ვისლა | 0:0 (1:1) |
| ვალენსია-სტოკი | 1:0 (1:0) |
| ანდერლეხტი-ალკმაარი | 0:1 (0:1) |
| ატლეტიკო-ლაციო | 1:0 (3:1) |
| ბეშიქთაში-ბრაგა | 0:1 (2:0) |
| მანჩესტერ იუნ-აიაქსი | 1:2 (2:0) |
| მეტალისტი-ზალცბურგი | 4:1 (4:0) |
| ოლიმპიაკოსი-რუბინი | 1:0 (1:0) |
| შალკე-პლზენი | 1:1 დ.დ. 3:1 (1:1) |
| სპორტინგი-ლეგია | 1:0 (2:2) |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ომანი-ონდოეთი | 5:1 |
| ტანზანია-კდრ | 0:0 |
| ირანი-იორდანია | 2:2 |

**კლუბები**

| | |
|---|---|
| ბრანი-ლილესტრიომი | 5:1 |
| ოდ გრენლანდი-სანდეფიორდი | 3:0 |
| უნიონი-მიოლდე | 1:3 |
| სილკებორგი-ვასლუი | 2:2 |

**ინგლისი**

**ჩემპიონშიფი**

| | |
|---|---|
| დერბი-ლესტერი | 0:1 |

**კვიპროსის თასი**

| | |
|---|---|
| აელ-აპოელ | 0:0 |

**კალათბურთი**

**ევროლიგა**

| | |
|---|---|
| ფენერბაჰჩე-უნიქსი | 94:87 (ო) |
| მაკაბი (თ-ა)-ჟალგირისი | 70:66 |
| კანტუ-ბარსელონა | 62:63 |
| რეალი-უნიკახა | 86:65 |
| პანათინაიკოსი-მილანი | 58:67 |

**ჰოკეი**

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ალბა-ოლიმპია | 58:67 |
| ზალცბურგი-კლაგენფიურტი | 4:2 |
| ლინცი-ვენა | 3:0 |
| ზაგრები-ზნოიმო | 5:0 |

**[illegible]**

| | |
|---|---|
| ოდენსე-ფრედერიკშავნი | 5:1 |
| როდოვრე-[illegible] | 3:0 |
| ჰერნინგი-[illegible] | 4:1 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| რუსენბორგი-მანგლერუდი | 6:2 |
| სტავანგერი-ლილეჰამერი | 2:0 |
| სპარტა-სტიერნენი | 3:4 |
| ფრისკ ასკერი-სტორჰამარი | 4:6 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| კალპა-ტპს | 0:3 |
| პელიკანსი-საიპა | 10:3 |
| ტაპარა-ილვესი | 5:3 |
| ჰპკ-ბლუზი | 0:3 |
| ესეტი-კერპეტი | 2:3 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ბრინასი-ჰვ71 | 1:3 |
| მოდო-შელეფტეო | 3:4 |
| ტიმრა-ლინჩოპინგი | 5:4 |
| ფერიესტადი-აიკ | 3:1 |
| იურგორდენი-ვაქსიო | 2:1 |

**ჩოგბურთი**

**ATP. ბუენოს აირესი**

| | |
|---|---|
| სიმონი-ბერლოკი | 2:6, 1:6 |

**ATP. მარსელი**

| | |
|---|---|
| გასკე-კუნიცინი | 6:3, 6:2 |
| ლოდრა-დოლგოპოლოვი | 6:4, 5:7, 7:6 |
| დელ პოტრო-დავიდენკო | 6:7, 6:4, 6:0 |

**WTA. მემფისი**

| | |
|---|---|
| დუშევინა-ფორეტცი | 3:6, 6:3, 6:1 |
| ერაკოვიჩი-კრაიჩეკი | 6:4, 6:7, 6:4 |
| ლეპჩენკო-ბრიანტი | 5:7, 3:6 |
| არვიდსონი-ცურენკო | 6:2, 7:6 |

**WTA. დუბაი**

| | |
|---|---|
| იანკოვიჩი-სტოსური | 6:4, 6:2 |
| ა. რადვანსკა-ლისიცკი | 6:2, 6:1 |
| ვოზნიაცკი-ივანოვიჩი | 6:3, 7:5 |
| გორჯესი-ჰანტუხოვა | 4:6, 6:3, 6:4 |

## TV პროგრამა

**24 თებერვალი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 არგენტინის ჩემპიონატი. II ტურის მიმოხილვა.
11:00 გერმანიის ჩემპიონატი. XXII ტურის მიმოხილვა.
12:00 ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. მანჩესტერ იუნ-აიაქსი. მეორე მატჩი.
14:00 ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. ბილბაო-ლოკომოტივი. მეორე მატჩი.
16:00 ევროპის ლიგა. 1/16 ფინალი. ანდერლეხტი-ალკმაარი. მეორე მატჩი.
18:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXIII ტურის მიმოხილვა.
19:00 ესპანეთის ჩემპიონატი. XXIII ტური. სპორტინგი-ატლეტიკო.
21:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
22:30 საფრანგეთის ჩემპიონატი. XXV ტურის წინ.
23:00 საფეხბურთო პროგრამა - საფეხბურთო ღამე.
00:30 ესპანეთის ჩემპიონატი. XXIV ტურის წინ.
01:00 იტალიის ჩემპიონატი. XXV ტურის წინ.
01:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. უტრეხტი-ალკმაარი.
12:00 სპორტ NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-ნიუ იორკი.
14:30 სუპერკოლაჟი.
15:00 ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. უნიონი-ბოკა.
17:00 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ჯგუფური ეტაპი. ნორჰემპტონი-მანსტერი.
19:00 კალათბურთი. ევროლიგა. მიმოხილვა.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 ჩოგბურთის ლეგენდები. როჯერ ფედერერი.
22:00 NBA Action.
22:30 აჭარაბეთის პოკერ-ტურნირი.
23:45 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-ნიუ იორკი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მემფისი. აშშ.
18:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-პარმა.
20:00 კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. კლიპერსი-სან ანტონიო.
22:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. მემფისი. აშშ (LIVE).

## ამბები

### ჯორდანი ჩინელებს უჩივის

„შარლოტ ბობკეტსის" მფლობელმა, ლეგენდარულმა კალათბურთელმა **მაიკლ ჯორდანმა** სასამართლოში უჩივლა ჩინურ კომპანია Qiaodan Sports-ს, რომელიც სპორტული ეკიპირების გამოშვებით არის დაკავებული. ამ ფირმამ უკანონოდ გამოიყენა ჯორდანის სახელი.

თავის განცხადებაში მაიკლმა აღიარა, რომ მას უდიდესი შრომა დასჭირდა სპორტში სახელის მოსაპოვებლად და განაწყენებულია იმ ფაქტის გამო, რომ ჩინურმა კომპანიამ თავისი ბიზნესი მის სახელზე ააწყო.

*„სარჩელი ფულის გამო არ შემიტანია. ეს პრინციპისა და ჩემი სახელის დაცვის საკითხია"*, - ამბობს ჯორდანი.

### ჯონსონი რონდოთი ჩაანაცვლეს

როგორც მოსალოდნელი იყო, „ყველა ვარსკვლავის მატჩში" „ატლანტას" ტრავმირებულ მცველს **ჯო ჯონსონს** „ბოსტონის" გამთამაშებელი **რაჟონ რონდო** შეცვლის. შეგახსენებთ, რომ ჯონსონი „ოლ სტარს" მუხლის ტრავმის გამო ტოვებს.

გარდა ამისა, ჯოს მონაწილეობა უნდა მიეღო სამქულიანების კონკურსში. ლიგამ მის შემცვლელად ბოლო ორი რეგულარულის საუკეთესო ბომბარდირი **კევინ დურანტი** („ოკლაჰომა") დაასახელა.

სნაიპერების კონკურსში აგრეთვე მონაწილეობენ: **ჯეიმს ჯონსი**, **მარიო ჩელმერსი** (ორივე - „მაიამი"), **კევინ ლავი** („მინესოტა"), **რაიან ანდერსონი** („ორლანდო") და **ენტონი მოროუ** („ნიუ ჯერსი").

### კინგზი ახალ არენას ელის

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კომისარმა **დევიდ სტერნმა** და საკრამენტოს მერმა **კევინ ჯონსონმა** „კინგზის" საშინაო არენის მშენებლობის საკითხები განიხილეს. „ყველა ვარსკვლავის მატჩის" შესვენებაზე მხარეები მოლაპარაკებათა კიდევ ერთ რაუნდს გამართავენ.

თუ ხელშეკრულების ყველა ფინანსური დეტალი 2012 წლის პირველ მარტამდე შეთანხმდება, „კინგზს" არ მოუწევს სხვა ქალაქში გადაბარგება. შეგახსენებთ, რომ ადრე გაჩნდა ინფორმაცია კლუბის ქალაქ სიეტლში გადასვლასთან დაკავშირებით.

ექსპერტების შეფასებით, არენის მშენებლობაზე დაახლოებით 406 მილიონ დოლარს გამოყოფენ.

### პრშიბილა პორტლენდში დაბრუნდა

ცენტრალური თავდამსხმელი **ჯოელ პრშიბილა** ამ სეზონში „პორტლენდში" ითამაშებს, - წერს Yahoo! Sports. მოთამაშემ კლუბთან ვეტერანის მინიმალური კონტრაქტი გააფორმა.

პრშიბილამ კარიერის დიდი ნაწილი სწორედ „ბლეიზერსში" გაატარა და შარშან ტრეიდით „შარლოტში" გაუშვეს. სულ მას კარიერაში 553 მატჩი აქვს ჩატარებული და საშუალოდ 4.0 ქულა და 6.3 მოხსნა დააგროვა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# აგასის სკოლაში რასიზმს ასწავლიან


ანდრე აგასი

ლეგენდარული **ანდრე აგასის** სკოლაში რასისტული სკანდალი მწიფდება.

2001 წელს ამერიკელმა ჩოგბურთელმა მშობლიურ ნევადას შტატში საქველმოქმედო პროგრამის ჩარჩოებში სკოლა დააარსა. ეს სასწავლო დაწესებულება ლას-ვეგასის ღარიბი ოჯახების შვილებს სრულფასოვანი განათლების მიღებაში ეხმარება. ბოლო დრომდე, ამ სკოლის შესახებ მხოლოდ პოზიტიურ ამბებს ჰყვებოდნენ, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, იქ ყველაფერი კარგად არ ყოფილა. ბიოლოგიის მასწავლებელმა სკოლის ხელმძღვანელობა რასიზმში დაადანაშაულა.

შავკანიანი **ჯეიმს ჰოლმსი** 2005 წელს უფროსი კლასებისთვის ბიოლოგიის მასწავლებლად დაიქირავეს, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ მან ხელმძღვანელობის მხრიდან შევიწროება იგრძნო. მაგალითად, ჰოლმსი არ გაუშვეს სამეცნიერო კონფერენციაზე და მიზეზად შესაბამისი თანხების უქონლობა დაასახელეს. მას აგრეთვე არ აძლევდნენ ფულს სამეცნიერო მოღვაწეობისთვის, არადა, თეთრკანიანი მასწავლებლებისთვის ფინანსებს არასოდეს იშურებდნენ.

გარკვეული ხნის შემდეგ ჯეიმსმა შეიტყო, რომ თანხა არსებობდა, მაგრამ ის „თეთრი" მასწავლებლებისთვის იყო განკუთვნილი. როცა მან პრეტენზია გამოთქვა, სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელობამ ის სასწავლო პროცესს ჩამოაშორა და შეცვალა მასწავლებლით, რომელსაც სრულფასოვანი ლიცენზია არ ჰქონდა.

ჰოლმსმა მორალური ზიანის კომპენსაციისთვის 75 ათასი დოლარი მოითხოვა. სკოლაში აცხადებენ, რომ ყველა პრეტენზია უსაფუძვლოა.

# ჯოკო 100 მილიონი ღირს


ნოვაკ ჯოკოვიჩი

მსოფლიოში ცნობილმა სადაზღვევო კომპანია Lloyd's-მა გამოაცხადა, რომ მსოფლიოს საჩოგბურთო რეიტინგის ლიდერი, სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** 100 მილიონი დოლარი ღირს.

კომპანიის თანამშრომლები შემდეგნაირად ასაბუთებენ თავიანთ დასკვნებს: ჯოკოვიჩი ახლა 24 წლისაა, უმაღლეს დონეზე ის მინიმუმ 33 წლამდე ითამაშებს. ასე რომ, სათვალავში ილებენ ჩოგბურთელის კარიერის ცხრა წელს. 2011 წელს ნოვაკმა 11 მილიონი დოლარი გამოიმუშავა, ამიტომაც ცხრა წელიწადში 99 მილიონის მიღება შეუძლია. გადაწყვიტეს ამ თანხის 100 მილიონამდე დამრგვალება.

მრავალი წლის განმავლობაში Lloyd's ცნობილ ადამიანებს აზღვევს. თანაც, არა მხოლოდ ადამიანებს, არამედ მათი სხეულის ცალკეულ ნაწილებს. მაგალითად, ადრე კომპანიამ ერთ მილიარდ (!) დოლარად დააზღვია **მერაია ქერის** ფეხები, **სელინ დიონის** ხმის იოგები, **ჰოლი მედისონის** მკერდი და **ჯენიფერ ლოპესის** უკანალი...

ჯოკოვიჩს ჯერ არ მიუმართავს Lloyd's-თვის დაზღვევის თაობაზე.

# ორანტესი დიდების დარბაზში

ლეგენდარულ ესპანელ ჩოგბურთელ **მანუელ ორანტესს** ჩოგბურთის დიდების დარბაზში შეიყვანენ. ცერემონია ამერიკის ქალაქ ნიუ-პორტში 14 ივლისს გაიმართება.

ორანტესი 63 წლისაა. მისი პროფესიული კარიერის წლებია - 1968-84. ამ დროის განმავლობაში მან ორჯერ ითამაშა „დიდი სლემის" ტურნირების ფინალში - 1975 წელს **ჯიმი კონორსი** დაამარცხა აშშ-ის ღიას ფინალში, ერთი წლის შემდეგ კი **ბიორნ ბორგთან** დათმო გადამწყვეტი მატჩი როლან გაროსზე. 1973 წელს ესპანელი რეიტინგის მეორე ნომერი იყო.

დევისის თასზე ორანტესს 87 მატჩი აქვს ჩატარებული და აქედან 60-ში გამარჯვებას მიაღწია. 1978 წელს მანუელმა ესპანეთის ნაკრებთან ერთად პირველად მოიგო დევისის თასი - ფინალში ავსტრალიის ნაკრები დაამარცხა.


მანუელ ორანტესი

ფორმულა 1

# რედ ბული თუ მაკლარენი?


ფეტელის იმიტაცია

ბარსელონას სატესტო სერიის მეორე დღეს **სებასტიან ფეტელმა** („რედ ბული") და **ლუის ჰემილტონმა** („მაკლარენი") რბოლის იმიტაციის რეჟიმში იმუშავეს. გერმანელმა 55 წრე გაიარა ორი პიტსტოპით, ბრიტანელმა - 58 წრე პიტსტოპების შემდეგ მცირე პაუზებით (გუნდს უნდოდა ლუისი თავისუფალ ტრასაზე გასულიყო). წრის საშუალო დრო ჰემილტონს უკეთესი ჰქონდა - 1.29,329 ფეტელის 1.29,833-ის წინააღმდეგ.

ბარსელონას გარეუბანში ტრასა კარგ სატესტო პოლიგონად მიიჩნევა, რომელიც მანქანის ძლიერ და სუსტ მხარეებზე ობიექტური მსჯელობის საშუალებას იძლევა. მელბურნის ეტაპამდე ტესტების ექვსი დღეა დარჩენილი, გუნდები ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ მაქსიმუმს მიაღწიონ, სიტუაცია შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ, როგორც ჩანს, წელს მართლაც დაძაბული ბრძოლა გველის.

ცნობილმა ჟურნალისტმა **დიტერ რენკენმა** გააანალიზა ბარსელონას ტესტების პირველი დღეები: *„ახლა რთულია იმის განსაზღვრა, რომელი უფრო ძლიერია - „რედ ბული" თუ „მაკლარენი"? როგორც ჩანს, გასული სეზონის ორი საუკეთესო გუნდი ახალ ჩემპიონატს თანაბარ პირობებში დაიწყებს. გასაკვირი არ არის, რომ ფეტელი ბარსელონაში რამდენჯერმე შურით ლაპარაკობდა „მაკლარენის" სიჩქარეზე, ჰემილტონი კი კმაყოფილებას ვერ მალავდა. ავსტრალიის გრან-პრი ხვალ რომ ტარდებოდეს, მე „რედ ბულის" ან „მაკლარენის" გამარჯვებაზე ჩავიდოდი ფსონს.*

*რაც შეეხებათ დანარჩენებს, ჯერჯერობით რთულია „ფერარის" ფორმაზე მსჯელობა. თავად ფერნანდო ალონსო ამბობს, რომ არ შეიძლება F2012-ს სწრაფი მანქანა უწოდო. გუნდს სერიოზული პროგრესის მიღწევა სჭირდება იმისთვის, რომ მელბურნში გამარჯვებისთვის იბრძოლოს.*

*ასევე რთულია „ლოტუსის" ფორმაზე ლაპარაკი, მით უმეტეს, რომ გუნდმა დატოვა ბარსელონას ტესტები. „მერსედესის" სისწრაფეც გაურკვეველია, რადგან ამ გუნდს არ ჰქონია რბოლის იმიტაცია. ახლა ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ „რედ ბულსა" და „მაკლარენს" უპირატესობა აქვთ, მაგრამ არავინ იცის, რა იქნება ერთი თვის შემდეგ".*


პასტორ მალდონადო

# ამჯერად მალდონადო

ამასობაში, ბარსელონაში ტესტების მესამე დღე დასრულდა. გუნდების უმრავლესობამ პილოტები შეცვალა, ამიტომაც მუშაობა ტრასაზე ოდნავ გვიან დაიწყო - საჭირო გახდა სხვა სავარძლების დამონტაჟება, სარბოლო მახასიათებლების კორექტირება და იმაში დარწმუნება, რომ პილოტები თავს კომფორტულად გრძნობენ. წინა დღის პილოტებიდან მხოლოდ **ვიტალი პეტროვი** ვიხილეთ ტრასაზე, თუმცა „კატერჰემის" მექანიკოსებს რთული დღე ჰქონდათ, რადგან პირველი წრეებიდან წინა დაკიდების პრობლემები წარმოიშვა.

სესიის დაწყებიდან საათ-ნახევრის შემდეგ წითელი დროშები ააფრიალეს - ტრასაზე **პოლ დი რესტას** მანქანის ძრავას ნაწილი აღმოაჩინეს. მორიგი საათ-ნახევრის შემდეგ ტესტები **ტიმო გლოკის** მოცურების გამო შეაჩერეს, მაგრამ გერმანელმა შეძლო ბოქსებში დაბრუნება. დილის სესია წითელი დროშების ფონზე დასრულდა, როცა ტრასაზე გაჩერდა **კამუი კობაიაში** - მაგრამ მიზეზი ტექნიკური გაუმართაობა არ ყოფილა - „ზაუბერი" საწვავის სისტემას „ტესტავდა". დღის მეორე ნახევარში ტესტები ორჯერ შეწყდა - ჯერ **მარკ უებერის** მერვე მოსახვევში გაჩერების გამო, სამუშაოს დასრულებიდან ორი წუთით ადრე - **ფელიპე მასას** პრობლემების გამო.

გუნდები სხვადასხვა პროგრამით მოქმედებდნენ. „ფერარი" მარანელოდან ჩამოტანილ ტექნიკურ სიახლეებზე მუშაობდა, „რედ ბულმა" და „მერსედესმა" რბოლის იმიტაცია გამართეს - **მიხაელ შუმახერმა** 66 წრე გაიარა ერთი პიტსტოპით, **მარკ უებერმა** 58 წრეზე ორჯერ გამოცვალა საბურავები. გარდა ამისა, პილოტები საწვავის მინიმალური რაოდენობით წრეების მოკლე სერიაზე გადიოდნენ. მათ შორის იყო **პასტორ მალდონადო** („უილიამსი"), რომელიც გუშინდელი დღის გამარჯვებული გახდა ამ კვირის საუკეთესო დროით.

გუნდები მეთოდურად ამუშავებდნენ პიტსტოპებსა და სტარტის პროცედურას - სეზონის დასაწყისისთვის ყველა კარგი ფორმაში უნდა იყოს, მათ შორის მექანიკოსების ბრიგადა. ამ მხრივ „რედ ბულმა" პრობლემები ვერ აიცილა თავიდან - უებერის მანქანის მომსახურებისას მცირე შეფერხებები შეიქმნა.

ოთხმა პილოტმა გაიარა ასზე მეტი წრე. ყველაზე გრძელი დისტანცია მიხაელ შუმახერმა დაფარა - 127 წრე, რაც კვირის ახალი რეკორდია და კარგი ამბავი გუნდისთვის, რომელმაც წინა ორ დღეს მანქანასთან დაკავშირებული პრობლემების გამო შეწყვიტა მუშაობა.

დღეს მეორე სატესტო სერიის ფინალური დღე გაიმართება.

| III დღე | |
|---|---|
| 1. პ. მალდონადო (Williams) | 1.22,391 (106 წრე) |
| 2. მ. შუმახერი (Mercedes) | +0,993 (127) |
| 3. კ. კობაიაში (Sauber) | +1,191 (99) |
| 4. ჯ. ბატონი (McLaren) | +1,527 (114) |
| 5. ჟ. ვერნი (Toro Rosso) | +2,042 (78) |
| 6. მ. უებერი (Red Bull) | +2,380 (97) |
| 7. ფ. მასა (Ferrari) | +2,380 (84) |
| 8. პ. დი რესტა (Force India) | +3,255 (83) |
| 9. ტ. გლოკი (Marussia) | +3,782 (108) |
| 10. ვ. პეტროვი (Caterham) | +4,057 (70) |

# ბაჰრეინი გადაწყვეტილია


ბერნი ექლტოუნი

ტელეკომპანია SkySport-თვის მიცემულ ინტერვიუში ფორმულა 1-ის მთავარმა პრომოუტერმა **ბერნი ექლსტოუნმა** დარწმუნებით განაცხადა იმის შესახებ, რომ რბოლა ბაჰრეინში აუცილებლად გაიმართება.

*„დღეს აღარავინ ამბობს, რომ გუნდები ვერ შეძლებენ ეტაპზე ჩასვლას. ყველას პოზიტიური განწყობა აქვს და გუნდებს უკვე ვუთხარი, რომ პრობლემა არ არსებობს. 100 პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ ბაჰრეინში გავემგზავრებით და იქ არანაირი სირთულე არ შეგვხვდება.*

*ვიცი, რომ რბოლის ორგანიზატორები და ქვეყნის მთავრობა ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ეტაპის მშვიდი ჩატარება უზრუნველყოს. ეჭვი არ მეპარება - ყველაფერი კარგად ჩაივლის"*, - განაცხადა ბრიტანელმა.

ბაჰრეინის გრან-პრის თარიღია 22 აპრილი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**